

652
1964/3.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
Ազգային
Գրադարան

652/3

7

19164

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივი - პოლიტიკური
უნიალი

კვერცხი

საქართველოს მფრინავთა
კავშირის აკადემია
გაცემის დღის იუნიანო

გ ი ნ ა კ რ ბ ი

3. სამხარაძე — ხალხის მედროშე (ლექსი)	3
4. ცოტივა — ლენინური სტილი (მოვონება)	4
5. გვარიშვილი — ლექსები	9
6. რუსი — ფიცი მწამს... (მოთხრობა)	12
7. ჩალვაში — ლექსები	21
8. მეტრევილი — ლიანა (მოთხრობა)	24
9. ზოიძე — ჩემზე ამბობენ (ლექსი).	32
10. ჭავანაძე — ლექსები	33
11. ჩხარტიშვილი — ლექსები	35
12. ჯირვაშვილი — მღერის ჰავანა (ვიესა)	36
13. გამზათოვი — დალისტნის ვარსკვლავი (ლექსი, თარგმნა გ. სალუქვაძემ)	52
14. გედრი ბორე ვერა — ბრივი (მოთხრობა, თარგმნა პ. ჩარკვიანმა)	57

საზღვაოგარეთ

15. ჩხაბუძე — იტალიური ურაბეჭდილებანი...	62
--	----

პრიტიკა და პუბლიცისტიკა

16. ბაბილონი — განუხრელი კულტურული აღმაფლობის გზაზე	75
--	----

იანვარი
თებერვალი

1964

8 აგ. „საბჭოთა აზრის“ გამოცემები



3. ციციაშვილი — სიმონ ჩიქოვანის მხატვრული
აზროვნების სპეციფიკის შესახებ 79

3. გოგოლები — ი. ჭავჭავაძის ეტიული
„უცნაური ამბავი“ 89

ზიგნის თარო

4. კილაძე — ესთეტიკურის არსის შესახებ 93



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მღიგანი),

პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მღიგანის — 33-72.

გიორგი სამხარაძე

ხალხის გედროშე

საქართველოს კომპარტიის 22
ყრილობას

ჩემს სამშობლოში ქვაც კი ყვავილობს,
ბალახის ღერიც ტურფა ვარდია.
პარტიის ფრთებით სივრცეში დავჭრით,
ვარსკვლავთა შორის გვინავარდია.
ხალხის მედროშე, ხალხის თავკაცი,
ხალხის სიცოცხლე არის პარტია.

ხარაჩის მხრები იწევენ მაღლა,
თვალწინ იქმნება, თვალწინ იგება.
გამარჯვებათა ფოლადის ფუძე
იყო, არის და კვლავაც იქნება —
ჩვენი რიგების ერთიანობა,
ჩვენი პარტიის ურყევი ნება,
ჩვენი დიადი ბრძოლა და შრომა,
ჩვენი სამშობლოს აღორძინება.



ღ. ფრინველი

ღ ე ნ ი ნ ი ნ ი ნ ი ნ ი ნ ი ნ ი

განაგები მღელვარებით ვშლი „იზვესტიის“ 1922 წლის ოქტომბრის გაყვითლებულ ფურცლებს. აი 4 ოქტომბრის ნომერი, რომელშიც სათაურით „ამხ. ლენინი მუშაობას შეუდგა“ დაბეჭდილია ცნობა: „გუშინ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომას დასვენების შემდევ პირველად ესწრებოდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ამხ. ლენინი ცხოვლად დაინტერესდა სამუშაო ხელფასისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკითხებით“.

ვლადიმერ ილიას ძე ავად გახდა 1922 წლის ზაფხულში. თავი იჩინა მრავალი წლის ემიგრაციის, 1918 წელს მძიმედ დაჭრის, განუწყვეტელი, თითქმის დაუსვენებლად დაძაბული მუშაობის შეღეგება. ავადმყოფობამ ლენინს გორკაში მოუსწრო. იქ მას მოუხდა ოთხ თვეზე მეტ ხანს დარჩენა.

იძულებითი უმოქმედობა ვლადიმერ ილიას ძეს განსაკუთრებით უმძიმდა, ჩანრთელობის გაუმჯობესების პირველი ნიშნებისთანავე ვანახლა პოლიტიკური მოღვაწეობა.

გორკაში დარჩენილი ვლადიმერ ილიას ძე სულ უფრო და უფრო ებმება საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის. სახელმძღვანელო მიმღინარე სამუშაოებში. განსაკუთრებით ინტენსიური იყო მისი საქმიანობა სექტემბერში. ორთვენახევარში — შუა ივლისიდან მოსკოვში დაბრუნებამდე ვლადიმერ ილიას ძემ 70-ზე მეტი დოკუმენტი დაწერა.

მაგრამ ამით სულაც არ ამოიწურება ვლადიმერ ილიას ძის მუშაობა იმ თვეებში. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის საუბრებს ხელმძღვანელ

შუშაკებთან. ასეთი საუბარი ამ პერიოდში ოცდაათზე მეტი გაიმართა. ვლადიმერ ილიას ძე ავადმყოფობის დღეებშიც თავისი ავტორიტეტითა და გავლენით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამხანაგები უმნიშვნელოვანესი საკითხების არასწორი გადაწყვეტისასაც აეცდინა.

ლენინი შეურიგებელი იყო, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპებზე, პარტიის ერთიანობაზე. სექტემბრის ბოლოს ვლადიმერ ილიას ძემ გადაჭრით და უაღრესად აქტიურად გაიღიაშვრა ცეკას ორგბიუროს კომისიის დადგენილების წინააღმდეგ. კომისიამ მიიღო სტალინის თეზისები „ავტონომიზაციის შესახებ“. ლენინმა დაბეგითებით განუმარტა ამხანაგებს სტალინური პროექტის მავნეობა და მიაღწია პრინციპულად სწორ გადაწყვეტილებას. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანების შესახებ.

სექტემბრის ბოლოდან ვლადიმერ ილიას ძე ენერგიულად ემზადება მოსკოვში დასაბრუნებლად. იმ დღეებში მისი სულ პატარა ბარათებიც კი სუნთქავს ენერგიით, მხნეობით და საყვარელ სამუშაოზე მალე დაბრუნების სასიხარულო შეგრძნობით. ლენინი გზავნის წერილებს, ბარათებს, განკარგულებებს. ვლადიმერ ილიას ძეს აწუხებს ის ამბავი, რომ ყოვნდება სახალხო კომისართა საბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ციურუბას დაბრუნება, რომელიც მაშინ გერმანიაში მკურნალობდა. ვლადიმერ ილიას ძე თავის აპარატს ავალებს შეარჩიონ და გაუგზავნონ სახალხო კომისართა საბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებები, გაზეობის ამონაშვრები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოქმები, ცენტრალური კომიტეტის ყველა ოქმი.

ვლადიმერ ილიას ძე სწერს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილეს ვ. სმოლიანინოვს: „ჩამოვდიგარ 1 ან 2 ოქტომბერს. სამშაბათს, 3 ოქტომბერს, თავმჯდომარე ვიქენები. სხდომა 5-9 საათი. შესვენება $\frac{1}{4}$ საათი.

გააფრთხილეთ მწეველები. არ მოსწიონ. მკაცრად. შესვენებისას (მეზობელ ოთახში) ჩაი და მოწევა“:

და, ბოლოს, 1 ოქტომბერს მივიღეთ სასიხარულო ბარათი: „ხვალ ჩამოვალ, მომიმზადეთ ყველაფერი, ოქმები, წიგნები“.

2 ოქტომბერს ლენინი მოსკოვში დაბრუნდა. მეორე დღესვე, 3 ოქტომბერს, მისი თავმჯდომარეობით გაიმართა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა. სხდომაზე ბევრი ხალხი იყო. ესწრებოდა 54 კაცი. მოვიდნენ არა მარტო სახალხო კომისართა საბჭოს წევრები და მათი მოადგილეები, არა-მედ ყველანი, ვისაც ოღნავი უფლება მაინც ჰქონდა დასწრებოდა სახალ-

ხო ქომისართა საბჭოს სხდომას. ყოველ მათგანს სურდა რაც შეიძლებოდა მალე და უფრო ახლოს ენახა ძვირფასი ილიჩი.

ამხანაგებს უნდოდათ ამ სხდომას განსაკუთრებით საზეიმო ხასიათი ჰქონდა. მოიწვიეს ფოტოგრაფი, მოამზადეს მისასალმებელი სიტყვები. მაგრამ ყველაფერი სხვანაირად გამოვიდა. ვლადიმერ ილიას ძე თავისი კაბინეტიდან შეუმჩნევლად შემოვიდა დარბაზში, დაჯდა თავმჯდომარის ადგილზე, გახსნა სხდომა და შეუდგა დღის წესრიგის საქმიან განხილვას, არავის მისცა საშუალება მომზადებული სიტყვები წარმოეთქვათ. ლუნინი დათანხმდა მარტო იმაზე, რომ ყველასთან ერთად სურათი გადაეღო, ამასთან მხოლოდ მუშაობის დამთავრების შემდეგ.

როგორც კი სხდომა გახსნა, ვლადიმერ ილიას ძემ წინადადება წამოაყენა მიელოთ დადგენილება სახალხო ქომისართა საბჭოს სხდომებზე საკითხების დაყენების წესის შესახებ, რომლითაც დასტურდებოდა აღრინდელი გადაწყვეტილება: საკითხები შემოვიდეს სხდომის დაწყებამდე 72 საათით აღრე, იმათი გამოკლებით, რომელთა მიმართაც იქნება სახალხო ქომისართა საბჭოს ან შრომისა და თავდაცვის საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილება. იმ საკითხებისათვის, რომლებიც შემოვა მცირე სახალხო ქომისართა საბჭოსა და საფინანსო კომიტეტებისაგან, ეს ვადა დროებით 24 საათამდე მცირდებოდა. ეს წინადადება გამოიწვია ლენინის შეუპოვარი და მუდმივმა სწრაფვამ დამყარებულიყო წესრიგი და ორგანიზებულობა მთავრობის ორგანოების სხდომებზე საკითხების დაყენებაში. ამავე მიზანს ემსახურებოდა დადგენილება მეორე პუნქტის გამო საკოდიფიკაციო მუშაობის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ვ. სმოლიანინოვის მოხსენების შედეგად.

რა საკითხები განიხილა სახკომსაბჭომ ამ დღეს?

დაამტკიცეს ოქტომბრისათვის ხელფასის ფონდი მუშებისა და მოსამსახურებისათვის, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, რომელთა შენახვა გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტით, ამასთან მითითებულ იქნა, რომ მრეწველობის ფონდი პირველ ჩიგში უნდა წარიმართოს მძიმე ინდუსტრიის საჭიროებისათვის. მიიღეს დადგენილება ი. რადჩენკოს განთავისუფლების შესახებ საგარეო ვაჭრობის სახალხო ქომისარიატში მუშაობისაგან და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განკარგულებაში მისი გადაყვანის შესახებ. დაამტკიცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება მოსკოვში მოსამსახურეთა ერთდღიანი აღწერის შესახებ. განიხილეს რსფსრ თევზის მეურნეობის სამმართველოს ჩამოყალიბების საკითხი, აგრეთვე პროექტი კანონისა აღგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

სხდომა ხანმოკლე იყო, ვლადიმერ ილიას ძე თავს კარგად გრძნობდა.

და კვლავ დაიწყო ლენინთან სიახლოვის ჩვენთვის სასიხარულო დღე-
ები. ვლადიმერ ილიას ძე მისთვის დამახასიათებელი ენერგიით შეუდგა
მუშაობას.

ექიმები დაბეჭითებით მოითხოვდნენ მკაცრ რეჟიმს, მუშაობისა და
დასვენების რეგულარულ განაწილებას. ექიმების წინადადებით ვლადიმერ
ილიას ძის სამუშაო დრო უნდა განსაზღვრულიყო დღეში 5 საათით და
განაწილებულიყო შემდეგნაირად: 11-დან 2-მდე და 6-დან 8 საათამდე,
ამასთან კვირადღის გარდა კვირაში კიდევ ერთი დღე მუშაობისაგან სრუ-
ლიად თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ვლადიმერ ილიას ძემ ოთხშაბათი
აირჩია. მაგრამ 11 საათის ნაცვლად თავის კაბინეტში მოდიოდა დილის
9 საათსა და 30 წუთზე და მიღებულ ყველა გაზეთს კითხულობდა. როცა
კაბინეტში მოძრაობას გავიგონებდით, შევიხედავდით ხოლმე. ვლადიმერ
ილიას ძე ლიმილით ამბობდა: „არ ვმუშაობ, მხოლოდ ვკითხულობ“.

10 საათსა და 45 წუთზე გამომიძახებდა ხოლმე მოხსენებისათვის, ნიშ-
ნავდა მიღებას, იძლეოდა დავალებებს, რითაც მკაცრ რეჟიმს კიდევ 15
წუთს ართმევდა. 11 საათიდან იწყებოდა ინტენსიური მუშაობა: მიღება,
ტელეფონით ლაპარაკი, თათბირები, სხდომები და სხვა. 2 საათზე ვლადი-
მერ ილიას ძე შინ მიღიოდა, თან ქაღალდების მთელი გროვა მიჰქონდა
და თავის კაბინეტში ბრუნდებოდა საღამოს 6 საათზე, მუდამ ზეპირი ან
უბის წიგნაკის ფურცლებზე დაწერილი და მდივნებისათვის განკუთვნი-
ლი ბევრი დავალებით.

მალე ვლადიმერ ილიას ძის სურვილით სახალხო კომისართა საბჭოსა
და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომები, რომლებსაც იგი თავმჯდომა-
რეობდა, 6 საათიდან 5 საათსა და 30 წუთზე გადმოიტანეს. ამჩიგად, მან
კიდევ ნახევარი საათით გაზარდა თავისი „კანონიერი“ სამუშაო დღე. დარ-
წმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იმ დღეებში ვლადიმერ ილიას ძე არა
ნაკლებ ინტენსიურად მუშაობდა, ვიდრე ავადმყოფობამდე.

1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ლენინი დაკავებული იყო მრავალ-
რიცხოვანი უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური საკითხით, საუბრობდა
ბევრ მუშაკთან, აწარმოებდა მიმოწერას, თავმჯდომარეობდა პოლიტბი-
უროსა და სხვადასხვა კომისიის სხდომებს, აქტიურად მონაწილეობდა
სხდომებზე კამათში, შემოჰქონდა წინადადებები, განაგრძობდა ჯერ კიდევ
გორეკაში აგვისტო-სექტემბერში დაწყებულ საქმეებს: ურკარტის კონცე-
სიაზე; საბჭოთა რუსეთის დამხმარე ამერიკული სატრაქტორო რაზების
მუშაობაზე; საგარეო ფაჭრობის მონოპოლიაზე; სსრ კავშირის შექმნასა
და სხვა საკითხებზე.

ამავე დროს ლენინი ხელმძღვანელობდა რუსეთის ცენტრალური აღ-
მასტულებელი კომიტეტის IV სესიაზე შესატანად კოდექსების შემუშა-

ვებას მიწის, შრომის, ადგილობრივი ბიუჯეტის კანონის შესახებ, დაკავებული იყო გემთშემკეთებელი პროგრამის, ჰიდროტორფის, ელექტრომრეწველობის, ბაქოს ნავთობის მეურნეობის, გზათა სახალხო კომისარიატის, მიჩურინის ცდების, სომხეთის სამეურნეო აღმავლობისათვის დახმარების, საქართველოში ჰიდროელსადგურების აგების საკითხებით.


მუშაობით დატვირთული, დაღლილი ვლადიმერ ილიას ძე ადამიანებისადმი ისევე ყურადღებიანი, გულითადი იყო, როგორც მუდამ. იგი კვლავ მზრუნველად ადევნებდა თვალს ამხანაგების ჯანმრთელობას, შესფოთებული იყო ა. ციურუბას ჯანმრთელობის მდგომარეობით. სახალხო კომისართა საბჭოს სხდომის მიმღინარეობისას უგზავნის უბის წიგნაკის ფურცელზე დაწერილ ბარათს: „გაყიცხვის ღირსი ხართ. ცუდად გამოჯანმრთელებულხართ...“.

ჩემს მეხსიერებაში განსაკუთრებით მკაფიოდ აღიბეჭდა ლენინის სახე აქტომბრის ამ დღეებში მუშაობისას.

სალამოა. ლენინი თავის კაბინეტშია საწერ მაგიდასთან, რომელიც მაგიდის ლამპით არის განათებული. როცა მნახველი არა ჰყავს, ლენინი აქრობს ჭალს, ზოგავს ელექტროენერგიას. ხომ ცნობილია, რომ „რუსეთი წყვდიადშია...“.

მაგრამ აი ლენინთან მნახველია, იგი გაფრთხილებულია, რომ ვლადიმერ ილიას ძესთან 15 წუთზე მეტხანს არ შეიძლება დარჩეს. მაგრამ 20 წუთიც და მეტიც გავიდა. შევდივარ კაბინეტში, მრავლისმეტყველად დავცერი საათს. „ჩვენ არ ვმუშაობთ, მხოლოდ ვსაუბრობთ“, — იღიმება ლენინი.

ლენინისადმი მხურვალე სიყვარულითა და მაღლიერებით გვივსებს გულს მისი გმირული ცხოვრება. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენი პარტია ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიღის ლენინური გზით, ასრულებს მის ანდერძს. აღმოფხვრილია პირვენების კულტი, აღდგენილია პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმები, საბჭოთა ხალხი — მომავლის პირველაღმომჩენი — სძლევს რა სიძნელებს, მიემართება კომუნიზმისაკენ.



ნანა გვარიშვალი

მრავალ ახალ წელს, ამხანაგებო!

კიბეზე მორბის ახალი წელი,
ნაძვის ხეს ბავშვთა ღიმილი აწვიმს.
ალისფერ გამში ცვიგა ფანტელი.
ალავერდი ვარ, სასმისი ასწითა.

დე ჭაბუკებმა ლამაზ ასულებს
ჭამოუშინონ კვლავ თოვლის გუნდა,
ამ წელშიც მქონდეს ზღვა სიხარული,
სხვას გახარება რამდენიც უნდა.
ჩემი სამშობლოს ცისფერ ზეცაზე
მშვიდობის მტრედი დაფრენდეს გუნდად.

ზღვის ნისლების ხეტიალი

მე ზღვა მიყვარს, ზვირთთა სრბოლა
და ნისლების ხეტიალი,
იქ, შორეთში ჩაღვენთილი
ოცნებათა ლურჯი ალი.
ნაზ თოლიას ფრთაზე თეთრი,
ფრთაფარფატა აფრის თრთოლვა,
ჩემი ყრმობის ია-ია

განა ყველა ჩაითოვლა?!.
 ჩემს ძარღვებში მჩქროლავ განცდებს
 ზღვის ტალღები მატებს ფიქრებს.
 „წყალნი წავლენ და წამოვლენ“...
 მე ის ქვიშა ვიქნე იქნებ?..
 ნუ მატყუებ, თეთრო ნისლო,
 ეს ვინ იცის ვისთვის თქმულა...
 მე პატარა კენჭი თუ ვარ,
 სულ პაჭია ჭრელა-ჭრულა.



ჩანახატები ზღვაზე

თოლია დაფრენს პორტთან სულ ახლოს,
 კრთიან ტალღების მწვანე სერები.
 გემუდარებით, არ დამანახოთ
 ზღვაზე პირქუში კრეიისერები!

* * *

შეიკრნენ უცებ ნისლები ზვინად,
 წამოიმართნენ ღრუბლის კოშკები.
 მზემ უცებ ტალღებს გადაურბინა
 პაჭაჭინტელა ოქროს ქოშებით.
 დასალიერთან ტირიფებივით
 თმა დაისველეს თეთრმა ნისლებმა.
 ზღვაში შეუშვეს ლამაზ დებივით
 ჩრდილნი კენარმა კიპარისებმა.

* * *

დარონინებენ შორს იალქნები
 ყელმოლერებულ თეთრ-თეთრ გედებად,
 ქოჩორწამოყრილ ზურმუხტის ტალღებს
 ახლა გიშერის ფერი ედებათ.
 სიბნელემ ზღვაში გასცურა ნავით,
 სინათლე დარჩათ მარტო ნაპირებს,
 ისე გადმოდგა ჩრდილი ჩინარის,
 თითქო თევზების ჭერას აპირებს.

* * *

ტალღა ათროთოლებს მეწამულ ფერებს,
 უკანასკნელად მზემ გაიელვა.

მერე ტალღებში ობობასავით
ჩაჯდა და ზეცას დაუწყო ქსელვა.



* * *

ზღვა გაისროდა ზვირთების გრავნილს,
გვეხვია ბინდი და ჩუმად ცრიდა.
მე სასოებით იდუმალ ძახილს,
არ ვიცი რატომ, ველოდი ზღვიდან.

* * *

გემბანზე ღასხდნენ მწუხრის ქულები,
ხომალდის ანდა ნისლებში ასხლტა.
ისე ჰყიდია სანათურები,
როგორც აივანს ზაფრანის ასხმა.

* * *

ჩიბუხს აბოლებს გემი,
ტალღას თოლიაც ახლავს...
ნეტავ, საღა ხარ ახლა,
ან მე რისათვის გელი?

* * *

უკაცურ ზღვაში გადაიკარგა
ის ერთადერთი აფრა ეული...
მზეში ბრჭყვიალებს ტალღების სარკე,
ჩემი კენჭებით მიმომსხვრეული.
ქაჯეთის ციხეს გვანან ღრუბლები
და ზვირთებს გაპკრეს ქაჯთა ეშვებმა.
თითქოს კოშკიდან ნესტანის თმები
ცისფერ ნისლივით ზღვაში ეშვება.



კავიზონ რესიპე

ზ ი ც ი მ წ ა მ ს ...

ხვავრიელად ბარღნიდა.

ღრუბლებს ცა თითქოს დაბლა, დანისლულ ზღვამდე ჩამოეტანა.

სანაპიროსთან მოჯარულ, უთვალავი ელნათურებით აბრჭყვიალებულ დიდ-პატარა გემებს თოვლის ფიფქი სულ უფრო და უფრო სქლად ეფინებოდა.

ლამპიონებით გადაჩახახებული, წყლიანი თოვლით მოთეთრებული ქუჩა შებინდებისთანავე სიწყნარეს მოეცვა.

მოხუც პროფესორს შეორთქლილი ფანჯრის მინა შუაში ამოეწმინდა და იმ სათოფურისოდენა სარკმლიდან უჭვრეტდა უკაცრიელ ქუჩას.

პროფესორის ჭალარა მეუღლე და ახალგაზრდა დიასახლისი დაბალ სავარძლებში გვერდი-გვერდ დამსხდარიყვნენ და ტელევიზორის ეკრანს მოჯადოებულივით შესცემოდნენ, მასპინძელი კი, წარმოსადეგი, შავ-ულვაშა მოწიფული კაცი საახალწლო ნუგბარ-ნუგბარი საჭმელ-სასმელით დატვირთული სუფრის თავში კედელს ზურგით მიყრდნობოდა და უურნალს ფურცლავდა.

— იცით, რა? — პროფესორი ფანჯარას მოშორდა და ნიკაპზე თოვლისფერი წვერი შეითხანა. — ერთი სასაცილო ამბავი მომაგონდა... სწორედ ახალწლის ღამეს შემემთხვა... მართალია, ცრუმორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ... როგორც მოგეხსენებათ, ადამიანები უხსოვარი დროიდან ცდილობდნენ განსაკუთრებით აღენიშნათ ახალი წლის დადგომა, შემოღებული ჰქონდათ და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე

ათასგვარი რიტუალი — სიმდიდრის დაბედება, ფერხვა... საახალწლო შე-
ხედრისას ჭიქა ან თეფში შემთხვევით რომ გასტეხოდათ, ამას რაღაც აფის
მომასწავებლად თვლიდნენ და ასე შემდეგ... ერთხელ მეც ავყევი ასეთ
„წესებს“ და ის სასაცილო ამბავიც მაშინ შემემთხვა...

პროფესორი შეჩერდა. სათვალე მოიხსნა და ეშმაკურად მოჭუტა თვა-
ლები.

— მოგვიყევით, ბატონო პროფესორო! ძლიერ გვაინტერესებს! —
მკვირცხლად წამოდგა დიასახლისი.

— სიამოვნებით! — პროფესორმა სათვალე კვლავ ჩამოიდო კეხიან
ცხვირზე. — სიამოვნებით მოგვიყვებით, ოღონდ ერთი პირობით: თვითე-
ულმა თქვენგანმაც უნდა მოგვითხროს თავისი საახალწლო შეხვედრიდან
ისეთი შემთხვევა, რომელიც სასაცილოც იქნება და ცრულწმენათა საწი-
ნააღმდეგოც!

— მე უკვე ვხვდები, როგორ შემთხვევებზეა ლაპარაკი, — გაიღიმა
ჭალარა მანდილოსანმა.

— თუ არ ვცდები, მეც! — დასძინა დიასახლისმა.

— მე კი რა მოგახსენოთ, — ხელები გაშალა მასპინძელმა. — არც
ცრულმორწმუნე გახლავართ და არც მოყოლის ნიჭი მაქვს... როგორმე უნ-
და მაპატიოთ...

— ნუ ჩქარობ, ჩემი ჯუმბერ, — სიცილით შეაწყვეტინა პროფესორ-
მა. — ჯერ მოისმინე და მერე ეგებ შენც მოგაგონდეს მსგავსი რამ პირა-
დი ცხოვრებიდან.

— ღმერთმა ქნას! — მსწრაფლ დაეთანხმა მასპინძელი. — თქვენ და
თქვენი მეუღლე ჩემი სტუმრები ბრძანდებით, მე კი, როგორც მასპინძე-
ლი, მოვალე ვარ სტუმრებს ყველა სურვილი შევუსრულო! შევეცდები,
ეს სურვილიც შეგისრულოთ, თუმცა, კვლავ ვიმეორებ, არც ცრულმორწმუ-
ნება არასოდეს გამომიჩნია და, მაშასადამე, არც სასაცილო ამბავი შემ-
თხვევია!.. თქვენ კი... გისმენთ, პატივცემულო ღლექსანდრე!

პროფესორს აღარ გაუპატიჟნია, მანდილოსნების ახლოს ჩაჯდა სა-
გარძელში და ხმაღაბლა დაიწყო:

რ ა მ ღ ა დ ვ ს ?

— ეს იყო ოცდაათიან წლებში. ცოლი ახალშერთული მყავდა. სოფ-
ლის სკოლა დავამთავრეთ, გვინდოდა ქალაქში გადასულიყავით და სწავ-
ლა მუშთაკში გაგვეგრძელებინა. განცხადება სამაზრო კომიტეტში გავგ-
ზავნეთ და პასუხს მოუთმენლად ველოდით. ამასობაში ახალი წელიც მო-
ახლოვდა. ღარიბად ვცხოვრობდით. ღამეს ვითევდით ოდა-სახლად ვაღა-
კეთებულ პატარა ბელელში, საღილ-გახშამს კი ისლის სახურავიან, მიწურ

ქოხში შუაცეცხლზე ვამზადებდით. ლამლამობით იმ ქოხის ერთ კუნძულში გვება ჩვილხბოიანი ძროხაც...

ახალი წლის წინ ჩემმა მეუღლემ გამოაცხო ორი თუ სამი ხაჭაპური, შესაბრაწავად გაიმეტა ერთადერთი კვერცხისმდებელი დედალი, დაალაგა ესენი ხის გობზე, გვერდით მიუდგა ერთი ბოთლი ღვინო და მითხა:

„რა იქნება, ალიოშა, ერთხელ ჩვენც მივბაძოთ ძველებს და ეს ხორავი განთიადამდე არ ავიტანოთ ოდა-სახლში?! განთიადისას შენ ამოიტან და დამიძახებ: „კარი გამიღე!“ მე კი სამჯერ გვითხავ: „რა მოგაქვს?“ შენ სამივეჯერ მიასუხებ: „მომაქვს ბეღნიერება, ჯანმრთელობა, სიუცვე და სისარული, ყველა იმედისა და ოცნების ახლომა!..“ რა გაცინებს?.. მომავალ წელზე ჩვენ ბევრ იმედს ვამყარებთ. ასეთი მოქცევა ხელს თუ არ შეგვიწყობს, ზიანს მაინც ვერ მოგვაყენებს!... ჰოდა, რა იქნება, რომ ვცადოთ!“

კარგი-მეთქი, დავეთანხმე და ის იყო, ოდა-სახლში უნდა ავსულიყავთ, რომ გადამთიელი მათხოვარი მოგვადგა კარზე. ჩემმა მეუღლემ ხაჭაპური დასაჭრელად ვერ გაიმეტა, მათხოვარს ცივი მჭიდის ნატეხი და ყველის ნაჭერი ჩაუგდო ტომარაში. მათხოვარმა რალაც უკმაყოფილოდ წაიბუზონა და სიბრძელეში გაუჩინარდა. ჩვენ ხორავიანი გობი კერასთან, სამფეხ სკამზე დავდგით, ქოხის კარი გადავრაზეთ და ოდა-სახლში მოვისვენეთ.

მეუღლემ მამლის მესამე ყივილზე გამაღვიძა და ქოხისაკენ გამისტურა, თან შემახსენა, ხორავიან გობს რომ მოვიტანდი, მის კითხვაზე როგორ უნდა მეპასუხნა.

რაზა გადავწიე და ქოხში სინჯვა-სინჯვით შევედი, რაღგან სამარესავთ ბნელოდა. კერას ფრთხილად მივუახლოვდი, სამფეხა სკამიც ვიპოვე და გობზე ორივე ხელი მოვაფათურე, რომ დავრწმუნებულიყავი, ხორავი კატებს ხომ არ შეუსანსლავთ-მეთქი. ორივე ხელი მოვაფათურე და... ვაი, თქვენს მტერს! საღლაა ხაჭაპურები ან ქათამი! ელდანაცემივით გავიქეცი და ოდა-სახლის ჩაეტილ კარს მივაწყდი.

„რა მოგაქვს?“ — შემეკითხა მეუღლე ოთახიდან.

„გამიღე, ქალო, გამიღე კარი!“ — შევლრიალე ნაღირივით.

„რა მოგაქვს?“ — კვლავ მკითხა მეუღლემ. მას, ალბათ, ეგონა, დაავიწყდა, რა უნდა მიპასუხოს. ბრაზმორეულმა კარს ფეხი გვარი და უფრო ხმამაღლა დავიყვირე:

„კარი გამიღე-მეთქი!“

„უიმე, დედავ, — გაიოცა მეუღლემ. — ხომ არ გაგიუდი?! მიპასუხე და გაგიღებ!.. რა მოგაქვს?“

ვეღარ მოვითმინე და ავლრიალდი:

„რა მომაქვს და სიკვდილი, გათავება. ცეცხლი და ხანძარი!.. გამიღე
კარი, თორემ მართლა გავგიჟდი კაცი!“

ახლა კი მიხვდა მეუღლე, საქმე რომ სახუმაროდ არ იყო, და გადაიტანია სწრაფად გააღო...

როგორც შემდეგ გავიგეთ, ეს ოინი იმ მათხოვარმა მოგვიწყო. ჩვენ რომ დასაძინებლად ოდა-სახლში წავედით, იგი თურმე ქოხის კედელს ეფარებოდა. შესულა ქოხში, ხორავის ნაწილი მიურთმევია, ნაწილიც საგზლად წაუღია...

— უჰ, რა ბოროტი ვინმე ყოფილა! — გადაიხარხა მასპინძელმა.

მანლილოსნებიც გულიანად იცინოდნენ.

— ასე, რომ, — განაგრძო პროფესორმა, — ახალი წლის პირველ დღეს გაქურდული აღმოვჩნდით და ხაჭაპურის ნაცვლად მჭადით გავე-დით. ჩემს მეუღლეს, როგორც იტყვიან, დანა არ გაუღებდა პირს. იგი შიშობდა, ვაი; თუ ამ გაქურდვამ და „სიკვდილის, გათავების, ცეცხლისა და ხანძრის“ დაბედებამ ცუდი საქმე წაგვკიდოსო... მაგრამ პირიქით მოხ-და: იმ წელს მუშთაკმიც ჩაგვრიცხეს, ქალაქში მშვენიერი ბინაც მოგვცეს და კარგხელფასიანი სამუშაოც გამოგვიძებნეს. ერთი სიტყვით, ჩვენი ნამ-დვილი ბედნიერება იმ წლიდან დაიწყო!.. ახლა თქვენი ჯერია, ქალბატო-ნებო!

პროფესორის მეუღლემ დიასახლისს გადახედა. ამ უკანასკნელსაც ბევრი თხოვნა არ დასჭირდებია.

პ ა რ გ ი ზ ე ნ ი

• — ომის დროს სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი. სამ წელს ზე-დიხედ ისე წარწყო საქმე, რომ ახალი წლის პირველ დღეს ვის ოჯახშიც კი შევდგი ფეხი, უველგან იმ წელსვე გათხოვდა გასათხოვარი. პოდა, ხმა გამივარდა, კარგი ფეხისა არისო. ერთ ჩემს მეზობელ ქალიშვილს ძლიერ ეჩქარებოდა გათხოვება. მომდგა და ახალ წლამდე ორი თვით აღრე და-მიწყო ხვეწნა, როგორმე მითერხე და სამაგიერო პატივისცემა ჩემზე იყო-სო. მეც ავდექი და ვუფერხე.

იგი ეგრეთწოდებული ვერის ბაზრის ზემოთ, ბელინსკის ქუჩაზე ცხო-ვრობდა, მე კი უფრო ზევით, იმავე ქუჩის თავში. მივედი, მივულოცა, სურვილების შესრულება ვუსურვე და მალე უკანვე გამოვბრუნდი.

ასიოდე მეტრი აღმართი უნდა გამევლო.

ომის წესების თანახმად, ყველა ფანჯარა სინათლეგაუმტარი ფარ-დებით ჩაეშავებინათ და ქუჩაში ძლიერ ბნელოდა. ქვაფენილზე თოვ-ლი დაყინულიყო. წამდაუწუმ მიცურდებოდა ფეხი. დაბლიდან, ლენინის ქუჩის მხრიდან მომავალი მამაკაცი დავლანდე. მე რომ ავუჩქარე ფეხს,

იმანაც აუჩქარა. „მომდევს! უთუოდ მე მომდევს! — გავიფიქრე და ში-შისაგან ამაცახცახა. — ალბათ, ჩემი ახალი პალტო დაინახა!.. ხომ ამბობენ, ღამით ვიღაც მძარცველები გამვლელებს ტანთ ხდიანო!.. ჰოდა, უთუოდ გასაძარცვავად მომდევს!..“

ამის გაფიქრებამ მთლად მომჭრა მუხლები. სუნთქვა შემეგუბა. მაინც ავრბივარ აღმართზე. ისიც მომდევს. ჴა, საღაცაა მწვდება!.. ვაი, თუ პალტოს წართმევას არ დამჯერდა და ან დანა დამკრა, ან... ოხ, ჯანდაბას იქით პალტო, ჯობს მივუგდო და თავიდან მოვიშორო!.. თვალის დახამხაშებაში ვიხდი პალტოს, უკან არ ვიხედები, ისე ვესკრი და მინდა გავიქცე, მაგრამ უცებ ქვაფენილზე ვეცემი და გონებას ვკარგავ...

თვალი რომ გავახილე, თავს მაღვნენ დედახემი, მამახემი, უმცროსი ძმა და კარის მეზობლის მდგმური, ახალგაზრდა ვაუი, რომელიც ჩვენს ინ-სტიტუტში სწავლობდა, ოლონდ წინა კურსზე. თურმე ის მოდიოდა ქუ-ჩაში, უნდოდა დამწეოდა და გამსაუბრებოდა, მე კი მძარცველად მივიჩნიე...

— მერედა, არ იყითხავთ, ვინ იყო ის ვაუი? — ულვაშებში ჩაიღიძა მასპინძელმა.

— ვინ იქნებოდა, თუ არა შენ! — ტკბილად მიუგო დიასახლისმა. — ოჳ, რა შიში ვჭამე!.. მაგრამ ეს როდია მთავარი!.. მე იმ წელსვე გავთხოვდი, ის ქალიშვილი კი, ვირი რომ მომჭამა, კარგი ფეხისა ხარ და მიფერხეო, ღლესაც გაუთხოვარია!

— საბრალო! — ჩაიცინა პროფესორმა. — ნეტავი, ახლაც ოცნებობს გათხოვებაზე? — და მეუღლეს მიუბრუნდა: — თქვენი ჯერი მოვიდა, ჩე-მო ირინე!

— კეთილი და პატიოსანი! — მოხუცმა მანლილოსანმა ქმარს სიყვარულით. შეხედა. — ერთ შემთხვევას მეც მოგიყვებით, თუმცა ეს უფრო ჩემი ქმრის ცხოვრებიდან იქნება, ვიდრე ჩემი პირადი ცხოვრებიდან...

— შენც ერთი! — ხუმრობით ხელი იქნია პროფესორმა. — ჩემი და შენი პირადი ცხოვრება ვინ გაყო, უკელაფერში თანავტორი ხარ!

ჭალარა მეუღლემ ღიმილით დაუქნია თავი და ღიმილითვე განავრძო:

მ ღ ვ პ ა რ ი

— ამბავი, რომელიც უნდა მოგითხროთ, ორი წლის წინათ, სწორედ დღევანდელ ღლეს მოხდა. როგორც ამ საღამოს თქვენი ქალ-ვაუი, ისევე იმ ღლეს ჩვენი ერთადერთი ქალიშვილი ბალმასკარადზე წავიდა. მე და ალექსანდრე ვსხედვართ გაშლილ სუფრასთან და ველოდებით. საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა და წინა კარსაც მოაწყდა ვიღაც. მე და ალექსანდრე დავფეთღით, დერეფანში ერთმანეთს გავუსწარით და იქ აქოშინებული, დამფრთხალი, აკანკალებული ჩვენი ქალიშვილი შეგვრჩა ხელში.

„რა მოხდა, ცირა, რა დაგემართა?!“ — შევყვირეთ ერთად.
„მდევარი... ვიღაც უხეში... დამედევნა... აქვე, გზაჯვარედინთან!“ —
ძლივს ამოიკნავლა ცირამ.

„მე“მას ვაჩვენებ, როგორ უნდა დადევნება!“ — წამოიძახა ალექსანდრე
და და გარეთ გავარდა.

ქუჩაში ერთადერთი ახალგაზრდა კაცი მიიჩქაროდა.

„უთუოდ ის არის!“ — გაიფიქრა ალექსანდრემ, შეჩერდიო, გასძახა
და წინ გადაუდგა.

„მე არა ვარ, ბატონო, დამნაშავე!“ — უთხრა ახალგაზრდამ.

ალექსანდრემ იფიქრა, ეს არამზადა თავს იმართლებს და კიდევ ჩემს
ქალს აღანაშაულებსო. ვეღარ მოითმინა და, ჰერი, ბიჭო! აქედანაც და
იქიდანაც გააწნა სილა.

„შეჩერდით, გონს მოდით, ბატონო! — ახალგაზრდამ ხელი არ შეუბ-
რუნა. — ვიღაცაში გეშლებით!“

ამ დროს მე და ცირაც მივვარდით მოჩხუბრებთან.

ცირამ ახალგაზრდას ერთი შეხედა და შეჰკივლა:

„ეს არ არის, მამაჩემო!.. აჲ, ეს სხვაა!.. იმას ნაცრისფერი ლაბადა
ეცვა!.. ვაიმე, უდანაშაულო კაცი შეურაცხყო?!“

„რაო?! ეს არ არისო?! — ამოიგუგუნა ალექსანდრემ. — იქნებ მარ-
თლა უდანაშაულო კაცი გამალახვინე! ვაი, სირცევილო!.. რა გეკუთვნის,
გოგოვ, ახლა შენ, ა?!“ — და ქალიშვილისაკენ წაიწია.

ცირას წინ ავეფარე, ის ახალგაზრდაც მკლავში სწვდა ალექსანდრეს,
თორემ ჩვენს ქალიშვილს ერთი „კაი ლავაში“ არ ასცდებოდა.

„ფურ, როგორი სირცევილი ვჭამე! — შეწუხდა ალექსანდრე. — ამ
დროულ კაცს ეს რა დამემართა! აღარ ვიცი, რით გამოვისყიდო დანაშაუ-
ლი!.. ან შენაც დამარტყი, ახალგაზრდავ, ან სხვა რამეთი გადამიხადე სამა-
გიერო, თორემ...“

„რახან ბოდიშს უხდი, ურიგო კაცი არა ჩანს და გაპატიებს! — შევაწ-
ყვეტინე დაბნეულ ქმარს. — მაგრამ შინ აუცილებლად უნდა შევიპატი-
უოთ! დაე, ამ უცნაური შემთხვევის გამო ერთ ჰერქვეშ გავითენოთ ახალი
წელი!.. სამახსოვრო იქნება!.. წამობრძანდით, შვილო!“

ახალგაზრდა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაგვყვა და სუფრას ერ-
თად მივუსხედით...

ცრუმორწმუნე არც მე გახლავართ, მაგრამ, მართალი გითხრათ, გულ-
ში ხინჯივით ჩამრჩა ეს უხერხულად მოსაგონარი შემთხვევა და ნებით თუ
უნებლიერ ვდარდობდი — ვაი, თუ მთელ წელიწადს ჩემს ქალიშვილს
ხულიგნებმა დაუწყეს დევნა, ჩემი ქმარი კი ცემა-ტყეპით შეიქნა ცნობი-
ლი-მეთქი!..

გავიდა წუთი თუ ექვსი თვე.

იმ ახალგაზრდამ, ჩემს ქმარს რომ შეცდომით შემოელახა, ანკარაში თუ პრალაში უძლიერესი მოჭიდავეები ბეჭებზე დასცა და მსოფლიო პირ ველობა მოიპოვა. ჩემს ცირას სულ მისი სახელი ეკერა პირზე. პოლა, ერთ მშვენიერ დღეს ქალიშვილისაგან ასეთი წერილი მოვდის: გინდ მომიწონეთ, გინდ არა, მაგრამ მე სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო და იმ ჭაბუტს ცოლად გავყევიო!

რა უნდა გვექნა?!

ამნაირად, მოხდა პირუკუ: ახალწლის ღამეს ჩემს ცირას სხვა დაედევნა, შემდეგ კი თვითონ ჩემი ცირა სხვას აედევნა!

— ახლაც მისდევს, უცხოეთში თან გაჰყვა! — დასძინა პროფესორმა და მასპინძელს მიუბრუნდა: — ჯუმბერ ჩემო, უკვე შენი ჯერია, ახლა შენ უნდა მოხსნა გუდას თავი!

მასპინძელმა დიასახლისს ყურში რაღაც წასჩურჩულა, ოთახიდან გაისტუმრა და პროფესორს შემდეგ მიუგო:

— მაპატიეთ, ბატონო ალექსანდრე, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჩემი პირადი ცხოვრებიდან ვერაფერი მომიგონებია იმის მსგავსი, როგორიც თქვენ, თქვენმა მეუღლემ და, ასე განსაჯეთ, ჩემმა მეუღლემაც ფრიად საინტერესოდ გვიამბეთ!

— ვერ დაგიჯერებთ! — მოუჭრა პროფესორმა.

მასპინძელმა მოხუც მანდილოსანს სთხოვა:

— თქვენ მაინც მომეშველეთ, ქალბატონო ირინე!

— ვერც მე დაგიჯერებთ! — სიცილით მიაგება მოხუცმა ქალმაც.

ე რ თ ი ბ ე ჭ ო ნ ა გ ა ვ ი

მასპინძელი კიდევ კარგა ხანს უარობდა.

ამასობაში დრომ შეუმჩნევლად გაირბინა.

ტელევიზორის ეკრანზე გამოჩნდა ფუნჩულა გოგონა და ენამოჩლექით, ტქბილად გაისმა:

— მოგილოცავთ ახალ წელს!..

მასპინძელმა მაჯის საათზე დაიხედა. სრული თორმეტი იყო! ახალშა წელმა უკვე შემოაბიჯა!

„ნეტავი, ამდენ ხანს რა იქნა ჩემი ცოლი?! უკვე დროა, სუფრასთან ვისხდეთ!“ — გაიფიქრა მასპინძელმა, სტუმრებთან ბოდიში მოიხადა და უკანა კარში მიიმალა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ წინა კარზე ზარი აწკრიალდა. სამზარეულოდან მაშინვე გამოვარდა დიასახლისი და კარი გააღო. მას ეგონა,

ქალ-ვაჟი დაბრუნდნენო, მაგრამ თავპირმოთხუპნული, ახალ კოსტიუმშე
ნაგავდაყრილი ქმარი რომ დაინახა, ლამის გული შეუღონდა.

— ჯუმბერ!.. რა... რა მოგივიდა?! — ენა ძლივს მოაბრუნა დიასახ-
ლისმა.

— თუ ქალი ხარ, ჯერ წამიყვანე და ტანისამოსი გამომაცვლევინე!—
ნაძალადევად გაიღიმა მასპინძელმა. — ბოდიში, ბატონო პროფესორო!..
ბოდიში, ქალბატონო ირინე!.. ამ წუთას გეახლებით! — და ცოლს უკანა
ოთახში შეჰყვა.

პროფესორმა და მისმა მეულლემ მრავალაზროვანი ღიმილით გადა-
ხედეს ერთიმეორეს.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მართლაც მალე გამოვიდნენ. მასპინძელს
პერანგიანა და ჰალსტუხიანა გამოეცვალა ყველაფერი.

— მეც თითქმის ბატონ ალექსანდრესავით მომივიდა! — დამნაშავე-
სავით გაუბედავად დაიწყო მასპინძელმა. — თუმცა ღირსიც ვიყავი...

— თანმიმდევრულად მოყევი, ყმაწვილო, თანმიმდევრულად! — შე-
აჩერა პროფესორმა. — დასკვნა კი ჩვენ მოვგანდე!.. აბა, ჰე, ჩქარა, თო-
რემ მოგვშივდა!

— უიმე, მართლა! სუფრასთან მობრძანდით, ბატონებო! — დაფა-
ცურდა ღიასახლისი.

— არა, ჯერ არა, გეთაყვა! — პროფესორი წამოდგა. — ჯერ მოყვეს!..
ვატყობ, საინტერესო იქნება!

— საინტერესო რა ვიცი, მაგრამ სასაცილო კია, — წამოწითლდა მას-
პინძელი. — ახლავე მოგახსენებთ... წელან ჩემს ცოლს რომ რაღაც წავ-
ჩურჩულე, თქვენც შენიშნავდით...

— დაიცა, დაგეხმარები, ჯუმბერ! — გადაიკისკისა ღიასახლისმა. —
იცით, პატივცემულნო, წელან რა წამჩირჩულა?.. ნაგავი თუ არის
გადაუყრელი, წავიღებ და გადავყრიო. მე ვუთხარი, ნაგავი ერთი ბეჭრა,
მაგრამ შენ სტუმრებთან იყავი, მე გადავყრი-მეთქი... მართლაც გადავყა-
რე. უკანა კარში რომ შემოვდიოდი, მეზობლის ქალმა შემიხმო — რაღა-
ცაზე წამეხმარეო. ჰოდა, იქ შევრჩი...

— ჰო, შენ საკმაოდ დაგაგვიანდა, — ახლა მასპინძელმა ჩამოართვა.—
ვიფიქრე, რა მოუვიდა ამ ქალს-მეთქი, და ეზოში ჩავედი. იმ კუთხეში, სა-
დაც სანაგვე ყუთი დგას, ბნელოდა, მაგრამ კარგად დავინახე, ვიღაც მოვრა-
ლი მამაკაცი როგორ ეხვეოდა ქალს, რომელსაც ჩემი მეუღლის ხალათი
ეცვა და ხელში ვედრო ეკავა... სისხლი ტვინში ამივარდა. ერთ წუთში
იმათთან გავჩნდი და უცნობ კაცს მუშტი ჩავარტყი. იგი მაშინვე გაიშხ-
ლართა. ახლა ქალისათვის, ესე იგი ჩემი ცოლისათვის უნდა გამეწნა სილა,
მაგრამ ქალმა უცებ წრიპინა ხმით შემომიტია:

„— უი, ქა, ვინ გიუია, ვინ გადარეული!.. ქმარი ძლიერს მომიტიდა აა-
ზლში, ეგ კი მიკლავს!.. აპა, შენა!“—და მთელი ვეღრო ნაგავი თავზე გადამა-
ყარა...“

— ოპო, კაი საახალწლო საჩუქარი მიგილია! — გადაიხარხარა პრო-
ფესორმა.

მოხუც მანდილოსანსაც სიცილისაგან ცრემლი სდიოდა.

— უთუოდ მოპირდაპირე სახლში მცხოვრები ცოლ-ქმარი იქნებოდ-
ნენ, — ბაგის კვნეტით ოქვა ახალგაზრდა დიასახლისმა. — იმ ქალსაც ზუ-
სტად ჩემი ხალათისფერი ხალათი აცვია, ტანადაც ჩემხელაა. ვაი, თუ ვიც-
ნეს!

— რომ ვერ მიმხვდარიყვნენ, რომელ ბინაში შევდიოდი და ვერ ვე-
ცანი, — ცხვირში წაიღუდუნა მასპინძელმა, — ამიტომ გავვარდი ქუჩა-
ში და წინა კარიდან შემოვიჭერი!.. ცნობით ვერ მიცნობდნენ, მაგრამ
ახალთახალი კოსტიუმი კი...

— ახია შენზე! — ნიშნისგებით მიუგო პროფესორმა. — ტრაბახობ-
დი, ცრუმორწმუნე არა ვარო, ის კი არა გსურდა, ძველი წლიდან ერთი
ბეწო ნაგავიც გადაგყოლოდა ახალ წელში! ამაზე უთქვამთ, ფიცი მწამს,
ბოლო მაკვირვებსო!.. ჩინებულია, ყმაწვილო, აწ მაგნაირი ცრურწმენისა-
განაც განიკურნები!.. რაც შეეხება ნაგავში ამოსვრას, არ შეგეშინდეს, ამ
წელიწადში მუდამ სუფთად და აზიზად იქნები!.. აბა, გვეყო, სუფრასთან
ახლა! დროა დავლოცოთ ახალი წლის მობრძანება! — და ქარვისფერი
ღვინით სავსე სასმისი ასწია.



თეილონ ხალვაში

მინაჭვილი ძველ ცერატიზე

ვინაც დაეცა და ვეღარ მოვა,
იმისი ბედი ისევ მაწუხებს.
შომაგონდება სექტემბრის თოვა
და ცივი ქარი მიჭერს მარწუხებს.
ფოთოლთა ცვენა ვამგვანე შიმშილს,
სახლები იღვნენ თვალდახუჭული.
ერთი რომ ჰყავდა,

შშობელი იმ შვილს
მიაცილებდა კვნესა-ჩურჩულით,
დიდი ტკივილი მინდოდა მეთქვა,
შენთვის მინდოდა მეთქვა რალაცა,
და ნისლმა, ახალ თოვლივით თეთრმა,
ის ფიქრი ცივი ცეცხლით გადაწვა.

მერე მოვიდნენ დარები დიდი,
ააბიბინეს სულში მაისი.
მაგრამ ეს გული ტბასავით მშვიდი
შენ დაგეძებდა თავისთავისით.

შენ, შუალლეზე დაღამებულო,
ჩემზე უმცროსო და ჩემზე დიდო.
მე ომმა იმით დამკოდა გულში,
რომ უშენობის ტკივილი ვზიდო.



ალბათ წინაპარს უთხრა ჯალათმა:
შენ შენი ცრემლი უნდა დალიო.
მაშინ მთებს შავი ჯანღი დაადგა,
ამოიგვნეშა მიწამ, ვაიო.
ვაიო — დაცდა მწუბარე ტოტებს,
აპრილის შუქი კვირტში ქრებოდა.
მტერი გვიწვავდა ენას და ოდებს
და ჩვენს სიმღერას ემუქრებოდა.
ვაიო — კვენესა ჩარჩა ხეობებს
და წლებმა ბევრი წუხილი ზიდეს,
მაგრამ დროს სწამდა — დაირხეოდნენ
ქართული წიგნის ფურცლები კიდევ.
ვაიო, მითხარ, რატომ დაგარქვეს,
სიტყვა ააგეს რომელ მასალით?
დღეს ეს სახელი, სოფელო კარგო,
გაქვს მოშუშებულ იარასავით.

300 ტენამელი მეგობრები მწვანე კოცხევა

ჩვენ სიყვარულით ავავსეთ თასი,
ერთი აქვს მზე ჩვენს მწვანე მაღლობებს.
და ტკბილი არის, ვით ანანასი,
ეს თქვენი ძმობა და სიახლოვე.
მე მინდა თქვენთვის ქართული სიტყვაც
იყოს ნაცნობი და გასაგები,
რადგან ერთმანეთს გავს ჩვენი სითბო,
ღიმილი, ზღვები, ხეები, ქვები.

* * *

უშენოდ მართლაც გული მტკიოდეს,
ამიტომ ზოგჯერ შენაც აღელდე.
იმ შენი ქუჩით მე დავდიოდე,
შენ კი ქუჩისკენ კარებს აღებდე.
გამათბოს შენი სახის ამინდმა
და ნუ მაჩვენებ თვალებს უნდობელს,
თუ გაიხედავ ღია კარიდან,
ის გამოხედვა მე მექუთვნოდეს.

ქ უ თ ა ი ს ი



საყვარელი ყვავილების ლანქერებით მოვარდნილი,
ძგერს ქალაქი
შორეთიდან მომავალი ხომალდივით.
მკერდი კლდეში ნათალია,
მაგარია, მაღალია.
ის ქვასავით ძველი არის
და ქვასავით ახალია.
რა სახლი არ დაიდგმება,
რა ხილი არ დაირგვება...
დგას ბაგრატის ნანგრევით,
რომ არასდროს დაინგრევა.
შემიყვარდი, ქალწულივით მოლიმარო ქუთაისო,
ჩემი ნატვრის ასრულებავ,
ჩემი ხვეწნა-მუდარისა.
ჯანმაგარი მშრომელი ხარ,
მშვენიერი ოვალად, ტანად,
აქ მინდოდა პოეზიის ქანდაკებაც გაეთალათ...
ქარი მკოცნის რიონისა
და შფოთივით ფოთლებს ურევს,
მაგრამ სხვაა, როცა ხიდზე ხვდები ქალებს
ქუთათურებს.

ფიქრებივით შეგრჩებიან
და სიყვარულს ჩუმად ელი,
გულს ტკივილი წამოყვება ბედნიერი ურუანტელით.
შენი ცეცხლი მომაცხუნე,
შენი გული მინაწილე,
მზექალაქო,
საქართველოს სიბერევ და სიყმაწვილევ!





ბორის მაზრაველი

ღ ი პ ნ ა

არასდროს დამავიწყდება ის მზიანი დილა. მახსოვს, თვალი გავახილე თუ არა, მზის ბრწყინვამ და ლურჯი ცის კამკამმა უჩვეულო ხალისით ამიგსო გული.

ფანჯრების მიღმა, მოსარეულ ცაში პარაშუტებივით ეკიდა ხეხილის წვეროებინები. ნაყოფით მორკალულ ტოტებში დილის მზე გახლართულიყო და ანკარა ცვარ-ნამს სვამდა ფოთლების პეშვებით. სიოც სადღაც გაღაკარგულიყო და ფოთოლიც არ ირჩეოდა.

უცებ გამახსენდა, რომ შორეული რაიონიდან ჩამოსული სხვის ლოგინში ვიწექი და ჩავთიქრდი:

კარგია, რომ ექიმის რჩევა დავიჩერე. ახლა მეც ვიცი, რომ ზღვა მოუხდება ჩემს ნერვებს, მაგრამ შესაფერი სამსახური თუ ვერ ვიშოვე, ხომ მომიხდება ამ მშვენიერი ქალაქის დატოვება?!

— ნუ დაიწყებ ახლა წუწუნს, ჭობს საქმეს მიხედო! — ხმამაღლა ვუთხარი ჩემს თავს და წამოვდექი.

იმ დღესვე მივედი ნერვოპათოლოგთან. ექიმმა გულმოღვინედ გამ-სინჯა და მითხრა:

— მართალია, თქვენ უურნალისტი ყოფილხართ, მაგრამ ჯერჯერობით ამ საქმეს თავი მიანებეთ. მონახეთ საღმე მსუბუქი ფიზიკური სამუშაო. ერთი წელი მაინც იმუშავეთ ფიზიკურად, თან ზღვაზე იარეთ აღრე დილით, ან გვიან სალამოს. შემდეგ, კარგად რომ გახდებით, დაუბრუნდით თქვენს საყვარელ საქმეს.

მეორე დღეს შემთხვევით გავიცანი ჩემი მასპინძლის მეზობლის ვა-
უ აფთანდილი. იგი თურმე ღვინის კომბინატში მუშაობდა ყუთებრს შემ-
კეთებლად.

მან მირჩია, დროებით მასთან დამეწყო მუშაობა და მეორე დღეს ერ-
თად მივეღით კადრების განყოფილების გამგესთან. ცოტა ხნის საუბრის
შემდეგ გამაფორმეს ძველი ყუთების შემკეთებლად კომბინატის არაყის
საამქროში.

მეწყინა, რომ ავთანდილთან ვერ მოვხვდი. იგი ღვინის საამქროში მუ-
შაობდა.

მეორე დღეს, როდესაც საწყობის გამგემ ოცი კილოგრამი ლურსმა-
ნი, მავთულის კონა, გაზი და ჩაქუჩი ჩამაბარა, ძალიან უუმურ ხასიათზე
დავდექი; ოთხი წელი რედაქტიაში ვმუშაობდი, მსატვრული ნარკვევების
ქარგები და გვერდების მაკეტები მეწყო თავში. ახლა კი უცებ ჩაქუჩი და
ლურსმანი!

საამქროს ფანჩატურში, სადაც უამრავი დამტვრეული ყუთი ეყარა,
გამოვნახე მყუდრო ადგილი და უხალისოდ შევუდექი საქმეს.

ცოტა ხანში ავთანდილმა გამომიარა; მიხვდა ჩემი მოწყენის მიზეზს
და თამამად მითხრა:

— ხალისიანად მოკიდე საქმეს ხელი და იმუშავე! რა მოვიწყენია, შე
კაცო! შენისთანა უურნალისტები ჭერეხივით ყრია; ერთ ჩაის ბუჩქთან
ორი რეპორტიორი დგას და ერთ მეჩაიეს ორმოცი კორესპონდენტი მის-
დევს უკან!

მისი სიტყვები ცოტა მკვახე კი იყო, მაგრამ რაღაც სიყვარული დაკ-
კრავდა, როგორც მწიფობას მიტანებულ ბუსუსებიან ატამს სურნელი.

„ნეტავ, როგორ ამზადებენ აჩაყს? როგორი ხალხი მუშაობს აქ?“,
გავიფიქრე და, ოდნავ რომ დავიღალე, საამქროსაკენ გავწიე. ფართოდ გა-
ღებულ კარებს მივადექი თუ არა, ათი წყვილი თვალი შემომაშტერდა,
მაგრამ სიამაყით არ ამძვერებია გული; მივხვდი, ვინც არ უნდა ყოფილი-
ყო ჩემს ადგილზე, მასაც ასე მიაჩერდებოდნენ.

ამ საამქროში სულ ქალიშვილები მუშაობდნენ, გარდა ერთი ქალისა
და პატარა ბიჭუნასი. ეს იყო საამქროს პირველი განყოფილება, სადაც
ჭუჭყიანი ბოთლები ირეცხებოდა.

ქალიშვილები ბოთლების სარეცხ მანქანას მისეოდნენ. ზოგი თბილი
წყლით სავსე ბუნკერში ალაგებდა ბოთლებს, ზოგი მანქანის მბრუნავ დის-
კოზე მიმაგრებულ ჯაგრისიან რკინის რიკულებზე აცვამდა თბილი წყლით
სავსე ბოთლებს; ჯაგრისიანი რიკულები სწრაფად ტრიალებდა და ასუფ-
თავებდა ბოთლების კედლებს. ზოგი კიდევ ახალგარეცხილ ბოთლებს
თავდაყირა ალაგებდა საწრეტზე.

ერთი გოგო ცოტა მოშორებით იდგა. იგი ცალი თვალის მოჭუტვით
ჩაცეროდა ახალგარეცხილ ბოთლებს: ზოგს კონვეირზე ალაგებდა, ზოგს
კი — ჭუჭყიანებს — ყუთებში.

აქედან საამქროს მეორე განყოფილებაში გაღიოდა კონვეირზე არა
მელზეც სუფთა ბოთლები მისრიალებდნენ. იქ ბოთლები ავტომატურად
ივსებოდნენ უზარმაზარი რკინის კასრებიდან ჩამოღვრილი არაყით, ეტი-
კეტებს აკრავდნენ და ისევ კონვეირზე აწყობდნენ.

კონვეირის ბოლოს, მესამე განყოფილებაში ორი ტანმალალი ქალი
მუშაობდა და სავსე ბოთლებს გასაოცარი სისწრაფით ალაგებდნენ ცარი-
ელ ყუთებში.

აქაც მთელი დღე ლია იყო კარები. მოდიოდნენ ცარიელი ავტომან-
ქანები, იტვირთებოდნენ არაყიანი ბოთლებით და კაპოტის ცახცახით ტო-
ვებდნენ საამქროს ეზოს.

საამქროს მეორე განყოფილებაში ერთ დიდ მაგიდასთან მიმჯდარიყო
საამქროს უფროსი ვალიკო ლომიძე, რომელიც შინა დღით გავიცანი. და-
მინახა თუ არა, სათვალის ზემოდან ყინულივით ცივი მზერა დამადევნა.

ახლა საამქროს დათვალიერების დრო არ არისო, ამოვიკითხე მის
თვალებში და მეც მივაშურე ჩემს სამუშაო ადგილს.

სასაღილო შესვენება რომ გამოაცხადეს, მანქანები ერთბაშად და-
დუმდნენ და ქალიშვილებმა ეზოსა და სასაღილო ოთახში იწყეს სირბილი.
ზოგი აჩქარებით იბანდა ხელ-პირს, ზოგი აბურდულ თმებს ისწორებდა,
ზოგი სავარცხელს ითხოვდა, ზოგი საპონს, ზოგი სარკეს.

ერთ გოგოს გამოველაპარაკე. მან სასაღილოში შემიყვანა და გამაც-
ნო დანარჩენი ქალიშვილები.

მათ შორის ერთი, სახელად ლიანა, მაშინვე დამამახსოვრდა. მეტად
კეკლუცი და მოხდენილი გოგო იყო. სიცილის დროს ვაშლივით მკვრივი
ღაწვები უვარდისფერდებოდა და თაფლისფერ თვალებს ეშხიანად ხუ-
ჭივდა.

იმ დღეს კარგად ვიმუშავე. ყუთებს ვაცლიდი დამტვრეულ ლარტყებს
და სამაგიეროდ ახლებს ვაკრავდა. თან ლურსმნებზე ვახვევდი და ყუთებს
სალტესავით ვუჭერდი მავთულს, რომ სავსე ყუთებს ფსკერი არ გავარდ-
ნოდა.

საღამოს, სახლში რომ მივედი, მართალია, სამი თითი მქონდა შეხ-
ვეული, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი და თავს ბეღდნერად ვგრძნობდი.

მალე დავუმეგობრდი არაყის საამქროში მომუშავე ქალიშვილებს;
შესვენების დროს ერთად დავდიოდით სასაღილოში. საღილობის დროს,
რომ იგრძნობდა ხარბად ვუცეროდი, ლიანას ამაყური იერი გადაეფინე-
ბოდა სახეზე და მორცხვად და უხერხულად ჭამდა.

ერთ ღამეს ძილი გამიტეხეს ტკბილ-მწარე ფიქრებმა: — რა უსუსური ვარ! დავყანყალებ უსაქმოდ სანაპიროზე და ვერ ვამჩნევ, წლები როგორ მირბიან. ოცდახუთს გადავაბიჭე და საცოლეც არ მყავს. კი, მაგრამ ლიანა? ლიანა, ლიანა! სუსტნება და უხასიათოა, რა უნდა გამიგოს იმან. არა, ჯობს სხვა ვინმე გამოვნახო, უფრო განათლებული, კულტურული და მტკიცე ხასიათის გოგო.

აღარ მივაქცევ ყურადღებას, აღარ შევხედავ! მივანებებ თავს! მორჩა და გათავდა!

ასე გადავწყვიტე იმ ღამეს, მაგრამ მეორე დღეს ლიანას აშოლტილ ტანს და ანაკერძნებულ სახეს რომ შევხედე, ეს გადაწყვეტილება სისულელედ ჩავთვალე.

იმ დღესვე გადავწყვიტე, რომ ლიანას გამოვტყობომოდი სიყვარულში, სათქმელი მეთქვა.

ვმუშაობდი და წამდაუწუმ ვიხედებოდი საამქროს ღია კარებისაკენ. გულის საამო ძევრით ველოდი, როდის გამოჩნდებოდა ლიანა ყუთების წასალებად. იგი ახალგარეცხილი ბოთლების წუნმდებლად მუშაობდა და ყუთები ჭირდებოდა დაწუნებული ბოთლების ჩასალაგებლად.

როგორც იქნა, ამიხდა ნატვრა. თეთრ ხალათში გამოწყობილი ლიანა მიახლოვდებოდა და თან მოჰქონდა ტკბილი ურეოლა. რომ მომიახლოვდა, უცბად წავხდი.

„ნუ ხარ ლაჩარი!“

„მიდი, უთხარი!“ — მიკარნახებდა სიამით ათრთოლებული გული.

„აქ არ ივარგებს!“

„არა, მიდი, უთხარი!“ — მირჩევდა ტკბილი ბურუსით მოცული გონება.

„არა, არა, უადგილოა, აქ არ შეიძლება, ულამაზოა!“

— ბიჭო, იმუშავე, რავა სულ ზიხარ ზარბაცივით! — მომესმა ლიანას სიცილნარევი საამო ხმა. მივხვდი, კი არ მესაყვედურებოდა, ისე, უბრალოდ, გამოლაპარაკება უნდოდა.

წამით მომხედა აწითლებული სახით, ორ ყუთს დასწვდა და წასასვლელად წელში გაიმართა.

მთვრალივით წამოვდექი:

— ლიანა, მოიცა, ერთი წამით მომისმინე!

მას ანაზღად ალმური მოედო სახეზე. მიხვდა, რის თქმასაც ვაპირებდი.

— ბიჭო, რა ღროს ლაპარაკია, გაცხარებული მუშაობაა, — თქვა დაბნეულად, მაგრამ ყუთები, რატომლაც, მაინც დააწყო და ჩემს ჭინ დადგა.

უჩვეულო თრთოლვით რეტდასხმულმა ძლიერ ამოვიდგი ენა:

— ლიანა, იცი, რას გეტყვი? ძალიან მომწონხარ და რა ვქნა?

— გაჩუმლი! ხუმრობას თავი დაანებე!

ეს თქვა და ღაწვებაჭარხალებულმა უცებ წამოავლო ყუთებს ხელი, კარგად მოიმარჯვა და არეული ნაბიჯით წავიდა საამქროსაკენ.

ვიცოდი, ერთი შემოკვრით ხე არ წაიქცევა დ გული არ გამტეხდა კარგისა.

შემდეგ ყოველ სალამოს ვაცილებდი ლიანას სახლამდე. იგი გარეუბანში ცხოვრობდა და ხილნარით დაფარულ სერზე შორიდან მოჩანდა მისი ორსართულიანი თეთრი სახლი.

აი იმ მთის ძირამდე მივყვებოდი ლიანას. იქ ვსაუბრობდით ტკბილად, პირველ ხანებში ორ-სამ წუთს, შემდეგ კი ოცჯერ მაინც ვიტყოდით „კარგად იყავის“ და ბოლოს ძლივს ვცილდებოდით ერთმანეთს.

* * *

უჩვეულო სიამით ამევსო გული, როცა ლიანას ეზოში შევდგი ფეხი. ხალისიანად შემომეგებნენ დედამისი, რძალი და სამი ძმა.

ჩვენთან მუშაობს, ჩემი მეგობარია და სტუმრად მოვიყვანეო, ასე გააცნო ჩემი თავი შინაურებს ლიანამ. მათაც ეშმაკური ღიმილით დაუღასტურეს ნათქვამი.

სასტუმრო ოთახში, დიდ მრგვალ მაგიდასთან დამიდგეს სკამი. თეფურით ყურძენი და ლელვი მომიტანეს, პატარა ჭიქაში კი არაყი დამისხეს. სტუმარო, ჯერჯერობით ეს მიირთვი და მერე ვნახოთო, — მითხრა სიცილით ლიანას რძალმა ბაბომ და ქორივით დაედევნა ეზოში ხიდან ჩამოყრილ ქათმებს.

სუფრაზე, როცა მათი ოჯახის სადლეგრძელოს ვსვამდი, დრო ვიხელო და ვთქვი, სიძობას გიპირებთ და, თუ მხარს დამიჭერთ, ბეღნიერი ვიქნები-მეოქი.

ჩემს გვერდით მჯდომ ლიანას თავი ძირს დაეხარა, ლოყებზე ალმური მოსდებოდა და პატარა თითებით აწვალებდა მუშამბის ძგიდეს.

ნაშუალამეეს ავდექით მაგიდიდან. ახლა ავტობუსს ვერ იშოვიო, მითხრეს და დილამდე იქ დამტოვეს.

* * *

მეორე დღეს უხმო სიცილში გარეული ჩურჩული დაცოცავდა არაყის საამქროში. ლიანას მთელი დღე ნაღვერდალივით ანთებული ჰქონდა სახე.

შუადღისას, ყუთების ჩემონტით რომ ვიყავი გართული, საამქროს უფროსი ვალიკო ლომიძე მესტუმრა. დიდკაცურად დადგა ახლოს, ყუთზე დაჭდომა არ იყადრა და მითხრა:

— შენ, ბიჭო, მართლა სიძობას გვიპირებ?

— თქვენ არა, ვალერიან! — ვუთხარი მე.

— ჲო, გავიგე, გინდა ლიანა წაგვართვა?

- რა ვიცი, ვნახოთ!
- შენ, ბიჭო, იცი რა გითხრა?
- გისმენთ, ვალერიან!
- ბიჭო, კვდარი კვდარს აეკიდაო, ხომ გავიგია, ასეა თქვენი საქშე!
- რატომ, კაცო?!
- მისმინე, არც შენ გაქვს ბინა, არც ლიანას.
- რა ვუყოთ, მერე იქნება, ვალერიან!..

— დაიცა, მომისმინე! სამსახური არც შენ გივარება, არც ლიანას. თქვენ, ბიძიკო, ვერ იცხოვრებთ, ავაღმყოფ სკასავით გამოიშრიტებით. მე შენ გირჩევ, მონახო უფრო დაჭალებული, ცხოვრებაში გამოსული, ბინიანი, კარგი სამსახურის ქალი. რა უნდა ქნათ შენ და ლიანამ თქვენი კაპიკებით!

ირონიულად ჩავიცინე:

- გმაღლობთ, დარიგებისათვის, ვალერიან!
- შენ თუ ლიანას მართლა შეირთავ, ჭიუა არ გქონია თავში! — მითხრა ამრეზილი სახით და გამცილდა.

* * *

— ბონდო, იცი რას გეტყვი? — მითხრა ერთხელ ნაღვლიანად ლიანაშ. შევატყვე, რაღაც არასასიამოვნოს მეტყოდა.

— რას მეტყვი, ლია? — ვთქვი და სმენად ვიქეცი.

— შარშან ერთი იმერელი ბიჭი დაჟინებით მოხვდა ხელს. მე სასტიკი უარი ვუთხარი. გუშინ იმ ბიჭმა ვალიკო ლომიძე მოგვიგზავნა.

— მერე, მერე! — ძლივს ამოვლერლე ფერდაკარგულმა.

— მერე და ჩვენებს თხოვა, ლიანა თუ არ გამატანეთ, თავს მოვიკლავო.

— მერე, მერე!

— ვალიკო ჩვენებს დაჟინებით ეუბნება, ის ბიჭი ძალიან მდიდარია და ლიანა მის ხელში ბედნიერი იქნებაო.

— მერე, შენ?..

— მე სასტიკი უარი ვუთხარი, რადგან ის ბიჭი არც მომწონს და არც მიყვარს. მაგრამ ჩვენებმა დაიუინეს, ის ბიჭი ბონდოზე უკეთ შეგინახავსო.

— შენ რატომ უსმენ სხვას, შენ გულს ვერ დაეკითხები?! ამ წუთში მითხარი, მე მოყვები, თუ იმას?

— ის ბიჭი სრულებით არ მიყვარს, მაგრამ სუყველა იმას მეუბნება, იმ ბიჭს გაყევით და მეც ალარ ვიცი, რა ვქნა! წამოდი, მოელაპარაკე ჩვენებს.

დაღვრემილი სახით და დარღით გულდამძიმებული მივყევი ლიანას სახლში. პირველი შეხვედრის ხალისი ნისლივით გამჭრალიყო მასპინძელთა სახეზე. უხმოდ, უხალისოდ დამიდგეს სკამი.

ნოემბრის ნისლიანი ბინდი ულიმლამოდ იხედებოდა ფანჯრებში. მუქ, გაცრეცილ ფერებში ხვევდა გარეუბნის მთავორებს. წვიმის წვრილი, ციკლი ვი წვეთები უსიამოდ წყაპუნობდნენ ფანჯრების მინებზე.

როდესაც მათ განვუცხადე, რომ მე და ლიანა ქორწილს ვაპირებო-მეოქი, ლიანას უფროსმა ძმამ კაკომ მწყრალად გააქნია თავი.

— ეგ არ მოხდება, ჩემო ბონდო!

— რატომ არ უნდა მოხდეს?!

— ჩვენ ვიკითხეთ ოქვენი ამბავი და გავიგეთ, რომ ჯერ არ გაქვთ ვირობები. ის ბიჭი კი ყოველმხრივ მზადაა.

— იმ ბიჭივით სოფელში მეც მაქვს მშობლების სახლი.

— არა, ჩემო ბონდო! — გადაჭრით მითხრა კაკომ. — ლიანა იმას უნდა გაყვეს, ვინც უკეთ შეინახავს.

მწარე ღიმილით მივაშტერდი კაკოს.

— ოქვენ დას ერთხელ მაინც აღარ ეკითხებით, ის ბიჭი უყვარს თუ მე?

— ლიანას რა უნდა ვკითხო? მან ჯერ რა იცის ცხოვრება. რომ გათხოვდეს თავის ნებაზე და გაუჭირდეს ცხოვრება, მერე შე უნდა მომაღვეს კარზე...

კამათი დიღხანს არ გაგრძელებულა. ბოლოს მითხრეს, კიდევ შევხელავთ საქმეს და ვნახოთ.

ორი დღის შემდეგ ლიანა სამსახურში არ მოვიდა. მისი მეგობარი ქალიშვილები მთელი დღე ნაღვლიანად მიცქერდნენ და რაღაცას ჩურჩულებდნენ. გულმა ცუდი მიგრძნო.

დღის ბოლოს გულნარამ ცალკე გამიხმო და მოწყენილი სახით მითხრა:

— ბონდო, იცი, ლიანას ბრალი სრულებით არ ყოფილა!

— როგორ, რა მოხდა?!

— წუხელ ჩამოვიდა ის ბიჭი, კოპაძე. ლიანას დედამ, ძმებმა და რძალმა თავგამოდებით დაუჭირეს მხარი იმ ბიჭს და ლიანა ძალით დაითანებეს. დღეს დილით ნიშნობაც მოაწყვეს და პატარა ქორწილიც. იმ ბიჭმა ხუთასი მანეთი დააწყო ლიანას დასანიშნავად.

მოკლედ, ფულმა გადარია ლიანას ძმები. ლიანა არც სამსახურიდან მოხსნილა, არც არავინ დაპატიჟა კომბინატიონ, შე რომ არ გაგეგო ეს ამბავი. დღის ოთხ საათზე წავიდნენ მატარებლით იმერეთში...

ფერდაკარგული და ენაჩავარდნილი დავბრუნდი სახლში.

* * *

ერთი წლის შემდეგ სამსახურშიც დამაშვინაურეს და ბინაც მივიღე. მაგრამ სულ დაღვრებილი დავდიოდი. ორი წელი კიდევ დარდსა და მწარე ფიქრებში გამეპარა.



ერთხელ ავთანდილი შემხვდა ქუჩაში და სიცილით მითხრა:

— ბონდოია, შენი ყოფილი შეყვარებული ლიანა, თავს რომ იყვლოდა
და მისთვის, სანაპიროზე ზის მარტოკა.

— რას ამბობ! — წამოვიძიახე დაბნეულად.

— კი, ნამდვილია! გამოველაპარაკე კიდევაც. ქმარს გაცილებია, შენ
გახსენე და ცრემლები მოერია.

თვალების ცეცებით გავედი სანაპიროზე. კარგა ხანს ვიარე, მაგრამ
ლიანას ვერ მოვკარი თვალი. ხმის გაცემას არ ვაპირებდი. უბრალოდ მა-
ინტერესებდა, როგორ იმოქმედებდა მასზე ჩემი ღანახვა. მივდიოდი აღელ-
ვებული. ხელში ლამაზყდიანი უურნალი მეჭირა და უაზროდ ვიქნევდი
იქით-აქეთ.

მაგნოლიებთან რომ გავიარე, სადაც ბლომად ისხდნენ ქალები, ორი
თუ ორნახევარი წლის ბიჭუნა ჩაცუცქულიყო მიწაზე და კენჭებს ათამა-
შებდა. როცა მივუახლოვდი, უურნალს ხარბად მიაშტერდა და ისე წამო-
ბაჭბაჭდა ჩემკენ, რომ უნებურად შევჩერდი და უურნალი მივაწოდე. ბავ-
შვმა უსიტყვოდ ორივე ხელით ჩამომართვა იგი.

— ბონდო, მოდი აქ! — მომესმა ნაცნობი ხმა, რამაც უცნაური ურუო-
ლა მომკიდა ტანში.

გაოგნებული, ცივოფლდასხმული მივტრიალდი ზურგისაკენ; მაგნო-
ლიის ძირის, ძელსკამზე, ფერწასული ლიანა იჯდა განმარტოებით და თვა-
ლებგაფართოებული მიყურებდა.

— ბონდო, მოდი აქ, ბიჭო! გაუშვი უურნალს ხელი! — ლიანა მწყრა-
ლად მიაშტერდა ბავშვს და ბრაზიანად დაუქნია ხელი ისე, რომ მიმახვედ-
რა, ბავშვს ეძახდა.

ბავშვს მიწაზე დაეგდო უურნალი და ფურცლებს აწვალებდა.

გაოგნებულმა ბავშვთან ჩავიმუხლე:

— ბიჭიკო, შენ რა გქვია? — ვუთხარი ისე, რომ დედამისს გაუგონა.

— ბონდო, — ამოილუდლულა მან.


— ეს როგორ მოუვიდა გლახა დედაშენს?

— დედა ალ ალის გლახა. გლახა მამიკო ალის!

— დედაშენიც გლახა... ვერ მოგინახა კარგი მამიკო?

წელში გავიმართე და ლიანას შევხედე. იგი გულამომჯდარი ტიროდა.

მეც მომაღვა ცრემლები. უურნალი ვიღას გაახსენდა, რეტდასხმული
გავცილდი იქაურობას.



შოთა ზობე

ჩემი ამბობენ...

ჩემზე ამბობენ: ყმაწვილს ჭალარა
გასჩენია და რა ელექსება?..
მათ რა იციან, ეს ჩემი გული
რა ცეცხლითა და განცდით მევსება?!
იქნებ ჰერინიათ თმაში ჭალარა
იანვრისა და ზამთრის თოვლია?
რა იციან, რომ ზღვასთან ალერსში
ფრთა დამაფერთხა თეთრმა თოლიამ?!
მათ რა იციან, ეს ჩემი სული
აბობოქრდა და აღარ ჩერდება.
ერთი მტრედი ხომ ამიფრინდება,
თუ „მერანი“ არ გამიჭენდება?!



ნოღა გამანაპე

დ ა მ ს ფ ი ზ რ ი 0

ძმის შეხვედრით ხომ ვხარობ და ვხარობ,
 ძმიშვილების ნახვა უფრო მახარებს,
 ომის შემდგომ გაჩნდნენ ლხენის წყაროდ,
 წამოგვესწრო ეს ამდენი სახარე.
 ძმაც იბრძოდა, სპობდა ღრუბლებს აშლილს,
 ჩვენს მიწაზე სვავები რომ დაეშვნენ;
 და ეს ფიქრი ცეცხლად მივლის ტანში,
 ერთ ბრძა ტყვიას ხომ შეეძლო მაშინ, —
 მუდამ მევლო ამ ძმიშვილთა გარეშე!

მ ს ი ქ ნ ე ბ ა

შემიძლია ახლაც ვსდიო ჩიტუნებს
 და მიზანში სწორად ვსტყორცნო შურდული;
 სავსე ბალში უხელულა ვისკუპებ,
 ვერ შემაკრთობს ღობე გადალურსმული.
 ლახტის წრეში უყოყმანოდ ჩავდგები,
 დე დაჭრელდეს დალახტული წვივები!
 ნაწვიმარზე ცისარტყელას გავყვები
 და ოცნებით მზეს და მთვარეს მივწვდები.
 ქუდს მოვიხდი, — პეპლებს ვესვრი ფრთაჭრელებს,
 ეჟვანს შევხსნი ნიშას თვალებსაცერას,

ცხენს დავიჭირ, შარაგზაზე ვაჭენებ
 და შევსძახებ: მე ვარ ბიჭი არსენა!
 შემოვხვდები გოგოს თვალებციმციმას,
 გუნდებს ვესვრი ამოვლებულს გუბეში,
 რომ შემხედავს, თვალს ჩავუკრავ სიცილით,
 შევირიგებ „უზრდელი“ და „უხეში“.
 ღერეფანში სათოფელას დავკიდებ,
 კარს მეზობლებს უკითხავად შევულებ,
 მარცვალ-მარცვალ ჩამოვკენკავ აკიდოს,
 დაგაბრალებ მერე საწყალ ბეღურებს.
 პეშვს ავიგსებ ლოლუების ნაჯურით
 და გადავკრავ, როგორც სავსე ფიალას;
 მაგრამ ვაგლახ! ეს იქნება ბავშვური
 და ბავშვობა კი არა!



କେତୀଙ୍କ ହେଠାଳିମାନଙ୍କ

ତତ୍ତ୍ଵଶାସ୍ତ୍ର

ମନ୍ଦିରରେ ହୃଦୟ-ହୃଦୟରେ ଏହାକିମ୍ବାଦ
ହାତରେ ଦାରଶି, ମତରେ ତଜ ଗଢାଥେ...
ମର୍ମାମ୍ବିଶ: ଫ୍ରେଶର୍ ମିସ୍ଟର୍ ଉତ୍କରସା
ନିଷିଦ୍ଧ, ସିକ୍ରିଯେ ଏହା ସିଲ୍ଲାମାହେ.

ବିଜ୍ଞାନଶାସ୍ତ୍ର

ନେତ୍ରାଙ୍କ, ଶାର ସଦିନାଙ୍କୁ ଝୁରିଲେବାନ୍ତି,
ଘୁଣ୍ଣିଲେ ରାମ ଉତ୍ତରିଲେ ଲ୍ଲବିନିଲେ,
ଫିରି ଫିରି ଦିନ ସନ୍ତୁଷ୍ଟିଲେ,
ଲକ୍ଷ୍ମିନି ହୃଦୟ ପାଦମନଗ୍ରିଲେବା.



ამირან შერევაშიცა

გ ლ ე რ ი ს ჰ ა ვ ა ნ ა

დრამატურგმა ა. შერვაშიძემ დაწერა ახალი პიესა „მღერის ჰავანა“, რომელიც წარმოადგენს მისივე „ვივა კუბის“ თავისებურ გაგრძელებას.

„მღერის ჰავანა“ ასახვს რევოლუციური კუბის არსებობის პირველ წლებს (1959-1962 წ.) და გვიჩვენებს, თუ როგორ ებრძოდნენ ახალ კუბას ამერიკელი იმპერიალისტები შინაურ კონტრრევოლუციასთან ერთად. რა ვერაგულ მეთოდებს მიმართავდნენ ისინი თავისუფლების კუნძულის წინააღმდეგ.

ებეჭდავთ ამ პიესის პირველ მოქმედებას მცირეოდენი შემოკლებით.

ს უ რ ა თ ი ი პ ი რ ა ვ ლ ი

სენიორა როსარიო ერნანდესის სახლის სასტუმრო ოთახი, ქუჩიდან მოისმის ხალხის მხიარული ხმაური და „26 ივლისის“ მარშის მელოდია. როსარიო ფანჯარასთან დგას და შორს გასცემრის.

როსარიო — ესეც ახალი ხელისუფლება, მშრომელი ხალხის ხელისუფლება! ოდესაც დაჩაგრული და ახლა კი თავისუფალი ხალხის ხელისუფლება! ბოლოს, როგორც იქნა, გაიმარჯვეს ფიდელისტებმა. ვნახოთ რა იქნება. საით, წაიყვანენ ჩვენს განაწამებ ქვეყანას? (შემოღის მერსედესი, აღელვებულია).

მერსედესი — ჰავანაში... მე ჰავანაში მივდივარ... დაუყოვნებლივ და გადაუდებლად! ღმერთო ჩემო, რა ხდება, რა დღეში ვარ.

როსარიო — მერსედეს, რა დაგემართათ, თქვენ ტირით?

მერსედესი — დავიღუპე, განადგურებული ვარ, სენიორა როსარიო.

- როსარიო — იქნებ, მაინც მითხრათ, რა მოხდა?
- შერსედესი — ო, რა ჯილდო მერვო იმდენი მსხვერპლის, ერთგულებისა
და უმწიკვლო სიყვარულის საზღაურად! არ მეგონა, არასოდეს არ შე-
გონა, რომ მისი უზნეობა ასეთ საძაგლობამდე მივიდოდა.
- როსარიო — მოხარული ვიქნები, თუ პატივს დამდებთ და ამიხსნით თქვე-
ნი უბედურების მიზეზს.
- შერსედესი — ლაფში გამსვარა, გამანადგურა, მზად ვარ საკუთარი ყელი
გამოვიდოდრო, დავხოცო ყველა, ყველა!
- როსარიო — თქვენ უცნაური, ძლიერ უცნაური ბრძანდებით, სენიორა
მერსედეს!
- შერსედესი — გაყიდა ყველაფერი, რაც კი შეეძლო... თან წაიღო ჩვენი
დანაზოგი, მთელი ჩვენი ქონება და ჰავანიდან შტატებს მიაშურა, მა-
იმაში ამოყო თავი... თან წაიყვანა ის საზიზღარი გომბიო ანჭელა.
- როსარიო — ვინ? თქვენმა ქმარმა? ალბერტო?
- შერსედესი — ო, ალბერტო, რამდენ წვალებად, რამდენ ცრემლად და
რამდენ მწარე წუთებად მიღირხარ! რალა ვარ ახლა მე? ლატაკი,
სულს იქით არაფერი გამაჩნია, სრულებით არაფერი, გარდა მამის
დანატოვარი კაბარე „პანტერასი“.
- როსარიო — მე ვალდებულად ვთვლი თავს აგინაზღაუროთ საფასური
ძვირფასი ყელსაბამისა, რომელიც ჩემს ოჯახში დაიკარგა, ან ფულით,
ანდა ამავე ლირებულების ძვირფასი სამკაულით. არჩევანი თქვენზეა.
- შერსედესი — სენიორა როსარიო!
- როსარიო — ახლა უარს ვერ მეტყვით, თქვენ ხელმოკლედ ხართ და მე
ვალდებული ვარ...
- შერსედესი — მაგრამ... (მოისმის კლოდომირას სიმღერა).
- როსარიო — კლოდომირა კი კვლავ მღერის.
- შერსედესი — რამდენი ნაღველია მის ხმაში.
- როსარიო — მიეზღო მისი დაუდევრობისათვის. იგი სპეტაკი გულითა და
კეთილი სურვილებით მოვიდა პარტიზანებთან, მათ კი ეჭვით შეხე-
დეს, საიდუმლო ძაფები აქვს გაბმული რიკარდო მასფარერასთანო,
რომელსაც თავის ღროზე კლოდომირამ ტყვია ესროლა.
- შერსედესი — ამბობენ, რიგორდო რალაც სასწაულით გადარჩა და ახლა
საღლაც იმალებათ. კლოდომირას დავუძახებ.
- როსარიო — დაუძახეთ! მე კი ახლავე დავბრუნდები (როსარიო გადის).
შერსედესი ტელეფონის ნომერს აკრებს. უსმენს, მაგრამ არ უპასუ-
ხებენ. მიღაუს დადებს. ამ ღროს შემოდის როსარიო, რომელსაც წელ-
ში ორი ძვირფასი ყუთი უჭირავს).
- როსარიო — რაო, კლოდომირამ?

შერხედესი — ეტყობა, სადღაც წავიდა.

როსარიო — (გახსნის ორივე ყუთს) აირჩიეთ, ფული ან... (მოულოდნე-
ლად შემოდის ორი შეიარაღებული პარტიზანი — ლიკო და კრიკ-
თითქოს დაყნოსესო, პირდაპირ ძვირფას ყუთებთან მივლენ).

ლიკო — ეტყობა, გველოდნენ.

კიკო — კი, თვითონვე მოამზადეს.

როსარიო — როგორ ბედავთ?!

შერხედესი — აქ როგორ მოხვდით?

ლიკო — იყუჩეთ, სენიორა!

კიკო — კი, ცოტა ხმადაბლა, უმაღლესო კლასო! (მარმარილოს ბიუსტზე
მიუთითებს) ვისი ძეგლია?

როსარიო — ჩემი ქრისა. რა გნებავთ ჩვენგან?

კიკო — წარმავალო კლასო! ჩვენ რევოლუციის სახელით მოვედით. ჩაგ-
ვაბარეთ თქვენი კაპიტალი! (ოთახის მდიდარ მორთულობას გადახე-
დავს). ლიკო, ხელავ, როგორ გამძლარან ჩვენი სისხლით, ჩვენი ოფ-
ლით?

როსარიო — მე როსარიო ერნანდესი ვარ.

ლიკო — კიკო, გესმის? როსარიო ერნანდესი ვარო!

კიკო — იქნებ რომის პაპი! წურბლები!

შერხედესი — როგორ ბედავთ! სენიორა როსარიო ერნანდესი ჩვენი ხალ-
ხის სიამაყეა, იგი დიდი პოეტია, იგი...

ლიკო — კმარა ლაყბობა. გადმოალაგეთ მთელი თქვენი კაპიტალი, ცოცხ-
ლად!

შერხედესი — ხომ არ გაგიუდით?

კიკო — სენიორა, თქვენ ცოტა არ იყოს, ზრდილობა გაკლიათ.

ლიკო — თქვენ უნდა ისწავლოთ, როგორ უნდა ილაპარაკოთ ნამდვილ
მამაკაცებთან (ყუთები უნდა აიღოს, მაგრამ როსარიო გადაეღობება).

როსარიო — არ გაბედოთ, უფლება არა გაქვთ! მე პროტესტს ვაცხალებ!

ლიკო — გესმის, კიკო? პროტესტი გამოვგიცხალა.

კიკო — თქვენ რევოლუციის წინააღმდეგი ხართ?

როსარიო — რევოლუციონერები კი არა, მძარცველები ხართ. ბოლოს და
ბოლოს, არსებობს თუ არა რაიმე კანონი?

კიკო — გესმის, ლიკო? მაღალი კლასი ღელავს.

ლიკო — არაფერია, კიკო, ამით ქარიშხალი არ ამოვარდება (როსარიოს გა-
სწევს და ყუთებს წავლებს ხელს).

როსარიო — ყაჩალები!

ლიკო — სენიორა, წყნარად, აქ კარაბის ზღვა არ არის, ზვირთებს ნუ ის-
ვრით...

კიფო — გაღმოალაგეთ კიდევ რაც გაქვთ, ცოცხლად! ბევრი დრო არ გვაქვს!
მერსედესი — ბანდიტებო!

ლიფო — ფრთხილად, სენიორა, ფეხი არ წამოიკრათ.

კიფო — კაპიტალი ჯერჯერობით აქ დარჩეს, მერე გავარკვევთ. ამლა კი გა—
ათავისუფლეთ სახლი და მოუსვით აქედან, ცოცხლად! (როსარიო ნა—
ღვლიანად გადახედავს ოთახს, ქმრის ბიუსტთან მივა და მიმართავს
პარტიზანებს):

როსარიო — ნება დამრთეთ თან წავილო ეს ბიუსტი, წიგნები და ხელნა—
წერები.

კიფო — არ შეიძლება!

ლიფო — სწორია!

მერსედესი — დაპატიმრებული ვართ?

ლიფო — არა, მხოლოდ დროებით დაკავებულად ითვლებით, მერე კი ვნა—
ხოთ...

კიფო — (წინ გაიგდებს როსარიოსა და მერსედესს) წავიდეთ, ლიკო!

სურათი ვერაზ

პატარა, ღარიბი და ბნელი ოთახი, სინათლე მხოლოდ როსარიოს ანათებს. იგი მარტო.

როსარიო — როგორი უკუნეთი ჩამოწვა ირგვლივ. ნუთუ რაც ხდება, ყვე—
ლაფერი მართალია; სინამდვილეა? ნუთუ, ასე დაეცა ქვეყანა? ვხე—
დავ და თვალებს არ ვუჭერი, ვგრძნობ და გონება არ მემორჩილება...
არა, ეს მოჩვენებაა, მხოლოდ მოჩვენება (შემოდის კლოდომირა).

კლოდომირა — დედა, ჩემო დედიკო! მე ხომ გეუბნებოდი, რომ შეცდო—
მაა-მეთქი, რომ ეს წარმოუდგენელია, რომ ეს თვითნებობაა უვიცი
და უზნეო ადამიანებისა, რომლებსაც რევოლუცია თავისებურად
წარმოუდგენიათ.

როსარიო — მაპატიე, შვილო, არ მესმის შენი სიტყვები.

კლოდომირა — მე უკვე ვიყავი, სადაც ჯერ არს. ისინი ძლიერ აღშფოთე—
ბული არიან ამ უვიცი ადამიანების საქციელით. ბოროტმოქმედნი უკ—
ვე დაისაჭნენ. სახლს გვიბრუნებენ და რევოლუციური ხელისუფლების
სახელით ბოდიშის მოსახდელად შენთან მოვა რევოლუციის სახელო—
ვანი გმირი — კამილო მაჩადო (კარებში გამოჩნდება კამილო მაჩადო).

კამილო — პატივცემულო სენიორა როსარიო! მე კამილო მაჩადო გახ—
ლავართ და დავალებული მაქვს ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე
უპასუხისმგებლო ადამიანთა საქციელისათვის. გაღმოგცემთ გისაღე—
ბებს თქვენი სახლისას, რომელიც ესოდენ წმინდა და პატივსაცემია
ყველა კუბელისათვის.

როსარიო — გმაღლობთ, სენიორ პარტიზანო! (ოთახში შემოიჭრება მერ-
სედესი).

მერსედესი — ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! სენიორა როსარიო, თქვე-
ნი სახლი იწვის... ერთნი ამბობენ, რომ მას ცეცხლი წაუკიდეს ფი-
ლელისტებმა.

კამილო — სენიორა, როგორ ბედავთ...

მერსედესი — (ყურადღებას არ აქცევს) მეორენი ამბობენ, ამ საქმეში
„კუბის ოქროს ახალგაზრდობის ორგანიზაციის“ ხელი ურევიაო.
ღმერთო ჩემო, რამდენა ხანძარია!

როსარიო — (მერსედესსა და კლოდომირას) ნუ გახვალთ... მე არ მინდა,
რომ ულირსმა ადამიანებმა უცქირონ ჩვენს ცრემლებს... (ფანჯრიდან
შემოჭრილი ხანძრის სინათლე თთხივეს სახეზე დასთამაშებს).

კამილო — ჩვენ უეჭველად აღმოვაჩენთ დამნაშავეებს. ისინი სასტიკად
დაისჯებიან.

კლოდომირა — დედა, დავილუპეთ, ჩემო დედიკო! (თვალებზე ხელს იფა-
რებს).

როსარიო — ნუ სტირი... გამხნევდი და პირდაპირ თვალებში უცქირე ადა-
მიანთა სისაძაგლეს.

კლოდომირა — ფანატიკოსები...

კამილო — სანამ ადამიანებს სხვადასხვანაირი და ერთმანეთის საწინააღმ-
დეგო იდეები აქვთ, სხვადასხვაგვარად ესმით ხოლმე მოვლენები.

როსარიო — ადამიანები!! ადამიანებს მხოლოდ შიში და გამორჩენა ამო-
ძრავებთ. მე მრცხვენია, რომ ადამიანი ვარ! ღმერთო ჩემო, სანამდე
მივეღი!

კამილო — დიახ, სენიორა, თქვენ კარგავთ წონასწორობას... ადამიანი არც
მხეცია და არც ანგელოსი. იგი უმაღლესი არსება და ნამდვილ ადამი-
ანებს ამოძრავებთ არა შიში და გამორჩენა, არამედ იდეები... და რო-
დესაც არის იდეა, რომელიც ბეღნიერებისათვის მსხვერპლის
გაღებას ასწავლის და როცა თავაწეული მიღინარ სამსხვერპლოზე ამ
ბეღნიერების დასამკვიდრებლად, მაშინ თამამად შეგიძლია იამაყო,
რომ ნამდვილად ადამიანი ხარ.

მერსედესი — რა მოსაწყენი საუბარია.

როსარიო — (კამილოს) თქვენს სიტყვებში სიმართლის ანარეკლს ვგრძნობ,
მაგრამ... ნუ დაივიწყებთ, რომ დიდი გარდატეხების ეპოქაში ფასეუ-
ლობათა გადაფასება ხდება და მკვეთრად იცვლება ყველასი და ყვე-
ლაფრის სახე და შინაარსი... და აი, სწორედ აქ, აქ უნდა გამოიჩინოთ
აზრის სიმტკიცე და არ დაკარგოთ წონასწორობა...

მერსედესი — ცხოვრება — სიხარული, ზეიმი, მუსიკა, სიყვარული და

მხიარული დროსტარებაა... თქვენ კი — იღები! თქვენ დალუპავთ
კუბას!

კაშილო — თქვენთვის — ჰო! ხალხისათვის კი კუბა ბეღნიერებს. ჰვევა-
ნა გახდება.

გერსედესი — (უკმაყოფილოდ) მე დღესვე მივდივარ ჰავანაში.

კაშილო — (კლოდომირას განზე გაიხმობს) თქვენც უნდა წახვიდეთ ჰა-
ვანაში.

კლოდომირა — მე? ჰავანაში?

კაშილო — ჰო, და დაუყოვნებლივ.

კლოდომირა — რისთვის? (კაშილო გაიხმობს და ჩუმალ საუბრობს კლო-
დომირასთან).

როსარიო — მერსედეს, მე სიამოვნებით, მაგრამ ამჟამად, როგორც ხე-
დავთ, არ შემიძლია გადაგიხადოთ თქვენი...

გერსედესი — რას ამბობთ, სენიორა როსარიო... მე, მხოლოდ როგორმე
მივაღწიო ჰავანამდე და...

კაშილო — მე გაგამგზავრებთ... სრულიად უხილაოდ და კომფორტითაც
კი...

გერსედესი — გმაღლობთ.

კლოდომირა — დედა, მეც მივდივარ.

როსარიო — შენ, ჰავანაში? რისთვის?

კლოდომირა — ამის შემდეგ სანტ-იაკოში ვეღარ დაურჩები.

გერსედესი — წამოვიდეს, ჩემთან იქნება (როსარიო დუმს).

კლოდომირა — გმაღლობთ, დედა!

კაშილო — (კლოდომირასა და მერსედესს) წავიდეთ, თქვენ ახლავე შე-
გიძლიათ გაემგზავროთ (კლოდომირა და მერსედესი ემშვიდობებიან
როსარიოს). მე მალე დავბრუნდები, სენიორა როსარიო, რევოლუცი-
ური ხელისუფლება უყურადღებოდ არ დაგტოვებთ.

ს უ რ ა თ ი გ ე ს ა მ ე

ჰავანა. სენიორა მერსედესის კაბარე „პანტერა“. წინა პლანზე მაგიდას უსხედან ერ-
ნესტო და გარსია კულისებიდან მოისმის სენიორა მერსედესის სიტყვები: „მღერის
სენიორიტა კლოდომირა ერნანდესი“. ჯერ ორკესტრი დაუკრაფს, მერე კი კლოდომირა
ერნანდესის სიმღერა მოისმის. შემოღის სამი უცნობი. ისინი ერნესტოსა და გარსი-
ას მაგიდის გვერდით დასხდებიან. სიმღერა შეწყდება. მოისმის ტაში და „ბრავოს“ და-
ხილო.

ერნესტო — (ცდილობს მეზობლებსაც გააგონოს) მღერის სენიორიტა
კლოდომირა ერნანდესი... გესმის, გარსია, კლოდომირა კაბარეში მღე-
რის, გილიერმო ოფიციანტია.



გარსია — არაფერი არ შეცვლილა, ყველაფერი ძველებურად დარჩა.

ერნესტო — პირიქით, უფრო ცუდი დრო დადგა. ჩვენ კი...

გარსია — ბრძენმა თქვა: ცის ქვეშ არ იქნებოდა ამდენი უმსგავსობაზე.

ადამიანები ხელს რომ უშლიტნენ ერთმანეთს. მე არ ვიცოდი, რომ პატარა წყალში დიდ თევზს ვერ დავიჭირდი.

ერნესტო — კი, ჩვენ ხეზე ავედით და კიბეს თვითონვე ვკარით წიბლი.

რიკარდო — სემ! (შემოდის ოფიციანტი გილიერმო).

ბროგასი — სამი ვისკი სოდით.

ერნესტო — სემ, ორი ბოკალი „კუბა ლიბრე“

გარსია — სალამი, გილიერმო! როგორ ცხოვრობ?

გილიერმო — გახსოვს, სამშობლო ან სიკვდილი? სიკვდილი ყოველ ნაბიჯზე გვიდარაჯებს, სამშობლომ კი გაგვაცურა.

გარსია — და ჩვენმა ცარიელმა გოგრამ. ჩვენ უჟკუონი აღმოვჩნდით.

გილიერმო — ყველაფერში რიკარდო მასფარერაა დამნაშავე. იმან გაგვაუბედურა. ის რომ არ ყოფილიყო, ფიდელი ისე სასტიკად არ მოვვეპყრობოდა (გადის).

რიკარდო — საინტერესო ტიპია ეს ოფიციანტი.

ველასკო — საერთოდ, ცხოვრებაში ბევრი რამეა საინტერესო.

გარსია — ბრძენმა თქვა: საინტერესო მხოლოდ ისაა, რაც მხოლოდ მე მაინტერესებსო (გილიერმოს შემოაქვს ვისკი და „კუბა ლიბრე“). ორივე მაგიდას მოემსახურება და გადის.

რიკარდო — მაგალითად, ჩვენ „კუბა ლიბრე“ გვაინტერესებს. ამ ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კასტრომ გაიმარჯვა, ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა. ჰავანასაც ვეღორ ვცნობთ. გარდა ამისა, თითქმის ყველაფერს „კუბა ლიბრე“ — თავისუფალი კუბა შეარქვეს.

ერნესტო — ეს სასმელი ამჟამად ჩვენში ყველაზე უფრო პოპულარულია.

რიკარდო — მაგარია?

ერნესტო — არც ისე.

გარსია — მაგრამ თუ სამ ან ოთხ ბოკალს ზედიზედ გადაკრავთ, ადვილად დაამტკიცებთ, რომ გალილეი მართალი იყო.

ბროგარი — სემ! (შემოდის გილიერმო) სამი ბოკალი „კუბა ლიბრე“ (გილიერმო გადის. ბროგარი გაზეთს კითხულობს): ფიდელ კასტროს გამოსვლა კამატუებიში... დივერსანტთა და ჭაშუშთა ხროვის განადგურება (გაზეთს გადააგდებს). ეშმაქმა წაიღოს, ისევ ჩავარდნენ! (ბროგარი აღშფოთებული წამოდგება და გადის, მას ველასკოც მიყვება).

ერნესტო — ეტკობა, მოჟიდავეა.

რიკარდო — არა, მისტერ ნიკერბოკერი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორია. ჩვენც შტატებიდან გახლავართ.

გარსია — ტურისტები ბრძანდებით?

რიკარდო — არა. პროფესორი ნიკერბოკერი, მაგალითად, ტროპიკულ

სეულებებს სწავლობს აქ... ჩვენ კი მისი ასისტენტები ვართ.

ერნესტო — დარწმუნებული ვარ, ჰავანა მშვენიერი აღგილია ოქვენი ზე-

ცნიერული მუშაობისათვის.

რიკარდო — რასაკვირველია.

ერნესტო — დიდ დროს ატარებთ ჭებირებთან?

რიკარდო — რამდენიც საჭიროა ცდებისათვის. გარდა ამისა, ჩვენ იქ თევ-
ზის ჭერითაც ვირთობთ თავს.

გარსია — ბევრი დაიჭირეთ?

რიკარდო — მაგალითად, დღეს ჩინებულად ვითევზავეთ. სხვანაირად არც

შეიძლებოდა... ჩვენ საუცხოო ანკესები გვაქვს.

ერნესტო — და თქვენს ანკესებს ფრიად საინტერესო სამძიმებლები ამ-
შვენებს.

რიკარდო — როგორ?

ერნესტო — თქვენ მათ ქონს უცხებთ... რასაკვირველია, მხოლოდ იმისა-
თვის, რომ კარგად გაიგოთ წყლის ხასიათი და სიღრმე.

რიკარდო — ეს იმიტომ, რომ ისეთი ჭიშის თევზი, რომელიც ჩვენ გვა-
ინტერესებს, მხოლოდ იქაა, სადაც სილანარევი ფსკერია.

ერნესტო — და ისიც განსაზღვრულ სიღრმეზე... აი რისთვის არის თქვე-
ნი ანკესების ჯოხებზე სხვადასხვა ზომა აღნიშნული.

რიკარდო — ვხედავ, თქვენთვის ცნობილია ყველაფერი, რაც თევზის ჭე-
რას ეხება. საინტერესოა, საიდან იცით?

ერნესტო — ჩვენ ისიც ვიცით, თუ ვინ ბრძანდება მისტერ ნიკერბოკერი...
(უბის ჯიბიდან ფოტოსურათს ამოილებს) აი, შეხედეთ!..

რიკარდო — არ უნდა... საკმარისია, მაგრამ არც ჩვენ ვართ უცოდინარე-
ბი, სენიორ ერნესტო სანტოს!

ერნესტო — აა, ესე იგი, ჩვენ ძველი ნაცნობები აღმოვჩნდით, სენიორ
რიკარდო მასუარერა.

გარსია — კარამბა... ბრძენმა თქვა...

ერნესტო — რა დროს ბრძენია...

რიკარდო — (სათვალეს მოიხსნის) სავსებით სწორია... ბრძენთა ნათქვამი
არავის სჭირდება, თვითონ უნდა გამოიჩინო სიბრძნე, რომელმაც გი-
ლალატათ და... ახლა ჩვენთვისაც კარგად არის ცნობილი, თუ რა
დღეში ხართ.

გარსია — ცეცხლზე ნავთს გვისხამს.

ერნესტო — იყუჩე, გარსია!

გარსია — ეს ხომ თვითონ რიკარდო მასფარერა ყოფილა. დაუყოვნებლივ უნდა შევიპყროთ.

რიკარდო — მე მზად ვარ, შემიძყარით. მე დავიღუპები, მაგრამ არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე: ჩემს გამო ერთხელ უკვე იგემეთ მაგარი პანლური. მეორეჯერ კი აღვილად შემიძლია დავარწმუნო ისინი, რომ თქვენ ჩვენი მოკავშირეები ხართ...

ერნესტო — როგორც ვატყობ, თქვენი მიზანია დაგვაშინოთ.

რიკარდო — როგორ გეკადრებათ, ჩვენ სულ სხვა რამე გვსურს.

ერნესტო — ვისთვის?

რიკარდო — თქვენთვის.

ერნესტო — ერთხელ სასტიკად მოვტყუვდით, როცა თქვენ დაგენდეთ. ახლა კი...

რიკარდო — თქვენ სასტიკად მოტყუვდით, როცა ბრძად დაენდეთ რევოლუციას. მაგრამ შეცდომა უნდა გამოასწოროთ. ნამდვილი შეცდომა არის მხოლოდ ის შეცდომა, რომელსაც არ ასწორებენ.

გარსია — ჩვენი შეცდომა ის არის, რომ...

რიკარდო — არ არის საჭირო. მხოლოდ სულელს შეუძლია დაიცვას თავისი შეცდომა.

გარსია — ბრძენმა თქვა: ქვეყნად ჭერ არ ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეცდომა არ ჩაუდენია.

რიკარდო — ბრძენმა ისიც თქვა: ბევრი ვინმე სიკეთისა და კმაყოფილებას მონანიებაში ხელავს, ვიდრე იმ ცდაში, რომელსაც აღვილად შეუძლია მათი აცილება. მთავარია — შეცდომა არ განმეორდეს.

ერნესტო — რას გვთავაზობთ?

რიკარდო — მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამ თქვენი დამსახურება წყალს გაატანა, თქვენ მაინც განსაკუთრებული მდგომარეობით და ავტორიტეტით სარგებლობთ კუბაში... ჩემს მეგობარს შეუძლია თქვენს ამ მდგომარეობას სათანადო თანხაც დაუმატოს.

ერნესტო — რა დამსახურებისათვის?

რიკარდო — იგი ძლიერ დაინტერესებულია იმ დახმარებით, რომელიც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ აღმოუჩინოთ. ვინც ჰქვიანია, უკვე დარწმუნდა, რომ ახლა იდეების დრო აღარ არის... ფული, მხოლოდ ფული, აი რა არის ახლა მთავარი ადამიანისათვის.

ერნესტო — მაინც, რა გაქვთ მხედველობაში?

რიკარდო — ძალიან საინტერესო და სარფიანი საქმე... მაგრამ მე არ ვარ უფლებამოსილი ყველაფერი დაწვრილებით მოგახსენოთ... ამას თვითონ ჩემი მეგობარი გააკეთებს თქვენთან შეხვედრის დროს.

ერნესტო — ვინ არის ის თქვენი მეგობარი?

რიკარდო — მისტერ ბროგარი.

ერნესტო — თანახმა ვართ.

გარსია — (უკმაყოფილოდ) ერნესტო!

ერნესტო — გარსია, დროა ჭყას მოცუხმოთ და საკუთარ თავზეც ვიდიოს, ქროთ... ჩაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ კასტროს,

რომ არც ისეთი წყალწალებულები ვართ, როგორც მას ეგონა.

რიკარდო — მოიტათ ხელი! (ისინი ხელს მაგრად ჩამოართმევენ). მაპატი—
ეთ, მაგრამ ხელში რა გიჭირავთ?

ერნესტო — ყელსაკიდია, ძვირფასი ყელსაკიდი, რომელიც ოდესლაც სე—
ნიორა მერსედესს ეკუთვნოდა და ერნანდესების სახლში დაკარგა
სანტ-იაგოში ყოფნის დროს.

რიკარდო — თქვენთან როგორ მოხვდა?!

ერნესტო — იგი ვიპოვეთ თქვენს საფულეში, რომელიც ჩვენი ბანაკიდან
გაქცევისას დაგეკარგათ.

რიკარდო — კმარა.

გარსია — რატომ?! თქვენი გულისთვის ფიღელმა სასტიკად დაგვსაჭა.
როგორც ჩვენ, ისე კლოდომირა... ფოტოსურათები, რომლებიც თქვე—
ნი გაქცევის შემდეგ აღმოაჩინეს, ბრალდებად წაუყენეს კლოდომი—
რას... როგორც თქვენთვისაც ცნობილია, იმ სურათებში საკმაოდ ინ—
ტიმურ პოზაში ხართ აღბეჭდილი თქვენ და კლოდომირა.

ერნესტო — კლოდომირაზე ეჭვი მიიტანეს და გააძევეს, როგორც არა—
საიმედო პიროვნება. მაგრამ ფიღელისტები ამით არ დაკმაყოფილ—
დნენ და ერნანდესების სახლი სანტ-იაგოში მთლიანად გადაბუგეს.

რიკარდო — ვინ, პარტიზანებმა?!

ერნესტო — ჰო, თუმცა ფიღელისტები გაჰყვირიან, რომ ეს რეაქციონე—
რების ნახელავიაო.

გარსია — ბრძენმა თქვა: ცეცხლი თივაში არ დაიმაღლება.

ერნესტო — კმარა, გარსია! ჩვენ უკვე შევთანხმდით (რიკარდოს): ამ ყელ—
საკიდის გამო კლოდომირა სენიორა მერსედესის კაბარეს მომღერა—
ლი გახდა... ვალი სიმღერით უნდა დაფაროს... გარდა ამისა...

რიკარდო — მაგრამ ყელსაკიდი რომ პატრონს დაუბრუნდეს?

ერნესტო — მაგ შემთხვევაში კლოდომირა...

რიკარდო — თავისუფალი იქნება... სამი ათასი პესო... საკმარისია?

ერნესტო — მაგრამ... ეს ჩვენ უფასოდ გვერგო და...

რიკარდო — მე კი სამ ათას პესოს ვიძლევი (ფულს გადასცემს და ყელსა—
ბამს ჯიბეში ჩაიდებს), მხოლოდ ერთი პირობით — ამ ყელსაკიდზე

თქვენ არაფერი იცით...

ერნესტო — კი, მაგრამ ფული?

რიკარდო — მაგ ფულს ჩვენ კიდევ დავუმატებთ... მაგალითად, კიდევ ორმოც ათასს.

გარსია — ორმოც ათასს?

რიკარდო — მხოლოდ იმ პირობით — ჩვენი მოკავშირეები იქნებით.

ერნესტო — თანახმა ვართ.

რიკარდო — ხელწერილი.

ერნესტო — სიამოვნებით.

რიკარდო — გთხოვთ! (რიკარდო, ერნესტო და გარსია გადიან. შემოდის ბონიტე, მას ერთ ხელში ბოკალი და მეორეში ლვინით სავსე ბოთლი უჭირავს).

ბონიტე — გაიძვერა მისტერი კიდევ არ ცხრება... იგი თურმე კუბის სა-
კეთილდღეოდ იღვწის. კი, იანკი იღვწის ჩვენი ქვეყნისათვის და არა
საკუთარი სიკეთისათვის, რომელიც თითქმის მთლიანად გაუსხლტა
ხელიდან. როგორი ცბიერებაა, როგორი ფარისევლობა! ეს, მისტერ
ბროგარ, მისტერ ბროგარ! ადამიანებო, სად არის თქვენი სინდისი?!
ხა-ხა! აი, სინდისი... (ლვინით სავსე ბოთლს უყურებს, დაისხამს, შეს-
ვამს). მისტერ ბროგარი თურმე მართლა ფიქრობს, რომ მე ემიგრა-
ციაში წავალ და ისიც მაინცდამაინც შვეიცარიაში... ალპები... ძა-
ლიან მჭირდება თქვენი ალპები! აი, ჩემი ალპი! (ისევ დაისხამს და
სვამს). კი, აქ მე ნამდვილი ალპინისტი ვარ (პაუზა). აგრარული
რეფორმა! კასტრო თითქმის ყველა გუახიროს მიწას ურიგებს, მაგ-
რამ ვისია ეს მიწა, ვისი? გაგვძარცვა, თითქმის კუდის ძირამდე გაგვ-
ყვლითა... ჩვენ კი? საჭიროა მოქმედება... უნდა ვკლათ, ვხოცოთ, გა-
დავბუგოთ, გავანადგუროთ. კი, საჭიროა მოქმედება... და მისტერ
ბროგარი მოქმედებს, იგი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. იანკები
გვეხმარებიან. მე კუბელი ვარ, მაგრამ ახლა ჩვენ ძმები ვართ... გეს-
მის, მისტერ ბროგარ? მტრებთან ბრძოლაში შეიძლება ეშმაკსაც რომ
დაუმეგობრდე! კი, ეშმაკსაც, თუ კი იგი შენი მოკავშირე გახდება.
ამბობენ, წყალში ჩავარდნილი გველსაც კი წაეპოტინებაო. ჩვენა
მეგობრობის საღლეგრძელო უნდა შევსვა, გესმით, მისტერ ბროგარ?
საღა ხარ? ხმა გამეცი! სატანა, მორიელო, ფალანგა! (გადის. მოისმის
კონგულსიური ჯაზის რიტმი. დაძრწიან გახელებულ მოცეკვავეთა
ჩრდილები. შემოდის ლამაზი, ელეგანტური ალფა).

ალფა — ვიცი, იგი აქ არის, იგი მხიარულობს. იგი, ალბათ, ისევ იმ საძა-
გელ სანტ-იაგოელ ქალიშვილთან ერთადაა. იგი მღერის და რიკარდო,
ალბათ, სიამოვნებით უსმენს. მე არ ვმღერივარ, მაგრამ შენ მაინც
მომისმენ. ოო, ლამაზო რიკარდო მასფარერავ, სიყვარული შენთვის
გასართობი ყოფილა თურმე. შენი სილამაზე ვეშაპივით შთანთქავს

ქალთა გულებს, მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს. მიყვარდი, ძლიერ
მიყვარდი, ახლა კი... მეზიზლები! გესმის, რიკარდო მასფარერა? (შე-
მოდის კამილო). იმედი მაქვს, უარს არ იტყვით იცეკვოთ ლამაზე ქა-
ლიშვილთან!

კაშილო — სიამოვნებით, სენიორიტა! (ცეკვავენ. ცეკვის დამთავრების
შემდეგ ალფა იცინის).

ალფა — სანტა მარია! ჩემს ცხოვრებაში პირველად მოვხვდი ასეთ აღგილ-
ზე და ისიც მარტო... პირველად ვთხოვე მამაკაცს ეცეკვა ჩემთან და
ისიც უცხო მამაკაცს.

კაშილო — ნანობთ?

ალფა — არა, მაგრამ ეს ხომ სასაცილოა.

კაშილო — ჩემი აზრით, თქვენ უცნაური ქალიშვილი ბრძანდებით, სენი-
ორიტა! როგორ მოხვდით აქ და ისიც მარტო?!

ალფა — ჩემთვის აუცილებელია აქ ყოფნა. გესმით, ძლიერ საჭიროა ერ-
თი-ორი საათი რომ დავრჩე აქ, მაგრამ მარტო ყოფნა უხერხულია.

კაშილო — მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

ალფა — გმადლობთ... მაგრამ ჩვენ ხომ ერთმანეთისათვის უცნობები
ვართ? ვთხოვთ მიცნობდეთ, მე არქიტექტორ კრესენიო რივერა
ავრამონტეს ქალიშვილი ვარ.

კაშილო — სასიამოვნოა. თქვენი სახელი?

ალფა — ალფა. თქვენი?

კაშილო — ომეგა.

ალფა — თქვენ ხუმრობთ... მსგავსი ნაკვესი მე ხშირად მსმენია.

კაშილო — მაპატიეთ, სენიორიტა!

ალფა — მიპატიებია... მაგრამ თქვენ ვინდა ბრძანდებით?

კაშილო — მე კამილო მაჩადო გახლავართ, რევოლუციის არმიის მაიორი.

ალფა — მოხარული ვარ თქვენი გაცნობით... ბევრი მსმენია თქვენზე...
მართალი გითხრათ, არასოდეს მომწონდა თქვენი მოქმედება, მაგრამ
თქვენს ვაჟეკაცობას მუდამ აღტაცებაში მოვყავდი.

კაშილო — ბედნიერი ვარ, მშვენიერო სენიორიტა! არასოდეს არ შევხ-
ველრივარ თქვენსავით წარმტაც ქალიშვილს.

ალფა — ო, თქვენ საშიში მამაკაცი ყოფილხართ.

კაშილო — ამბობენ: თუ გულს არ უნდა, თვალები ვერ ხედავენ.

ალფა — თუ ეგ თვალები კეთილშობილი გულისაა — მოხარული ვარ...
ახლა კი, წავიდეთ, მიყავალრეთ, მე მინდა ხალხში გავერიო.

კაშილო — წავიდეთ (გადიან. შემოდის როსარიო მერსედესთან ერთად)

როსარიო — როგორ დაეცა ჩვენი ოჯახი, ჩემი ქალიშვილი კაბარეში მღე-
რის... და ამ საქმეში...

მერსედესი — დამნაშავე მხოლოდ მე ვარ, არა?

როსარიო — მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს... იმედი მაქვს, თქვენ უკვე
მიიღეთ დაკარგული ყელსაკიდის საფასური?

მერსედესი — მივიღე და მაღლობელი ვარ.

როსარიო — მაღლობას მიცხადებთ? უმჯობესია ქალიშვილი დამიბრუნოთ.

მერსედესი — სანტა მარია! თქვენმა ქალიშვილმა თვითონ მთხოვა სამუშაო. თქვენ კი... თუმცა, უმჯობესია ამაზე თვითონ კლოდომირას ესაუბროთ. აგრე ისიც.

როსარიო — იგი მარტო არ არის.

მერსედესი — მასთან ერთად ამერიკელი მეცნიერია...

როსარიო — უმჯობესია თქვენთან მოვუცადო.

მერსედესი — თქვენ მართალი ხართ, მით უმეტეს, რომ კლოდომირა ნახევარ საათში დაამთავრებს გამოსვლას. გარდა ამისა, თქვენ ტყუილ-უბრალოდ სწუხსარო. კლოდომირა დიდი წარმატებით სარგებლობს და, დარწმუნებული ვარ, ჩემი კაბარე ერთგვარი ტრამპლინი იქნება კლოდომირას ნახტომისათვის უფრო დიდ ხელოვნებაში.

როსარიო — იგი უკვე გადახტა იმ ხელოვნებაში, მაგრამ ტლაპოში აღმოჩნდა (როსარიო მერსედესთან ერთად გადის. შემოდის კლოდომირა, უკან მოსდევს რიკარდო).

რიკარდო — მომისმინეთ...

კლოდომირა — ვიღაცა ხართ, უზრდელი ყოფილხართ, სენიორ!

რიკარდო — მაპატიეთ, მაგრამ მინდა მომისმინოთ.

კლოდომირა — დავიყვირებ!

რიკარდო — არ მეგონა, თუ ასეთი მხდალი იყავით... მაგრამ ეს ეპატიება ლამაზ სენიორიტას.

კლოდომირა — თქვენ საეჭვო პიროვნება ხართ.

რიკარდო — მხოლოდ ზოგიერთებისათვის.

კლოდომირა — რომ გაგცეთ?

რიკარდო — თქვენ ამას არ იზამთ.

კლოდომირა — საღლაც შეგვედრივართ... სად? (ლელავს) ო, თქვენ რიკარდო მასფარერა ხართ... მხოლოდ უარი არ თქვათ, არ იცრუოთ.

რიკარდო — (შლაპას მოიხდის და სათვალეს მოიხსნის): ჰო, სენიორიტა!

კლოდომირა — როგორ მინდა ტყვია დაგახალოთ...

რიკარდო — თქვენ ერთხელ უკვე მესროლეთ. გახსოვთ, სიერა-მაესტრა? მაგრამ ვერ მომახვედრეთ, ან განგებ, ანდა იმის გამო, რომ ცუდად ისვრით.

კლოდომირა — ცდებით, სენიორ. მაშინ თქვენ ბედმა გაგიღიმათ.

რიკარდო — კმარა, კლოდომირა! მე ყველაფერი ვიცი. შენ გძულს ისინი.

შენ უკვე შეიგნე შენი შეცდომა და დროა ჰქუმას მოუხმო. შენი მე-
გობრები გამოსწორდნენ და ჩვენთან არიან, შენ რალას ფიქრობ?
კლოდომირა — მასტიე, რიკარდო, დამნაშავე ვარ, მაგრამ არც შენ ხარ
მართალი ჩემს წინაშე. ჩვენი სიყვაჩული შენ უბრალო გართობად
გადააჭირე... და მე, შენგან შეურაცხყოფილს, მინდოდა შური მეძია,
მაგრამ სასტიკად შევცდი... ახლა მე...
რიკარდო — ახლა შენ ვალდებული ხარ უფრო ფხიზელი თვალით შე-
ხედო ცხოვრებას.

კლოდომირა — თუ გვიან არ არის.

რიკარდო — ამ ღამით შენთან მოვალ.

კლოდომირა — მაგრამ სენიორა მერსედესი?

რიკარდო — მან ყველაფერი იცის და იგი ჩვენთან ერთად არის. შენ?

კლოდომირა — მით უმეტეს... მე მინდა შური ვიძიო დაკრეცული ბედ-
ნიერებისათვის!

რიკარდო — ჩვენ ერთად ვიძიებთ შურს.

კლოდომირა — მზად ვარ, ყოველგარი დავალება შევასრულო.

რიკარდო — ამ ბრძოლაში ჩვენ არაფერს ვკარგავთ... მოვებით კი შეგვი-
ლია ბევრი მოვიგოთ. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ დაგვიძრუნ-
დება წინანდელი პრივილეგია, შესაძლებელია უფრო მეტიც. წარუ-
მატებლობის შემთხვევაში კი... მივაშუროთ შტატებს!

კლოდომირა — ჰო, რიკარდო! (კაბარეში სინათლე თანდათან ქრება). მა-
გრამ, გხედავ, თავებეჭელალებულივით მოქმედებ... თავს გაუფრთხილ-
დი, უკვე გვიან არის, ბევრი წავიდა, მაგრამ ბევრი დარჩა და მათ
შორის მე შევამჩნიე კამილო მაჩალო და რამდენიმე ნაცნობი პარ-
ტიზანი. ფრთხილად იყავო.

რიკარდო — ნუ სწუხხარ, კლო! ყველაფერი კარგად იქნება! (ისმის ნა-
ბიჯების ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდება) ახლა კი წადი, მერ-
სედესთან შეეცვლებით (ერთმანეთს კოცნან). კლოდომირა გადის.
შემოდის ალფა. რიკარდო და ალფა პირისპირ დგანან).

ალფა — ტუჩებზე პომადა გაცხიათ.

რიკარდო — საინტერესოა, რას იტყვით ამაზე?

ალფა — რაზე?

რიკარდო — რომ ტუჩებზე პომადა მაცხია.

ალფა — თუ თქვენ ქალი არა ხართ, მაშინ თქვენთვის ქალს უკოცნია.

რიკარდო — გმობთ ჩემს საქციელს?

ალფა — ადამიანის საქციელი იგივეა, რასაც თვითონ ადამიანი წარმოად-

გნს. რიკარდო, შენ გიყვარს ის კუდიანი საწიგაგოელი.

რიკარდო — მე მხოლოდ შენ მიყვარხარ, ალფა!

ალფა — ტყუი!

რიკარდო — მე ძველებურად მიყვარხარ.

ალფა — შენ ძველებურად ტყუი.

რიკარდო — მე არასოდეს არ ვტყუივარ.

ალფა — შენ ტყუი, როცა მეუბნები, კვლავ ძველებურად მიყვარხარო...
და მე მჩუქვენია შენს მაგიერ, რიკარდო!...

რიკარდო — შენ იქნები კუბის ყველაზე ბეღნიერი ქალი... მე ასე მინდა
და ასეც იქნება.

ალფა — ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით... და მე შენი ცოლი ვიქნები?

რიკარდო — იქნები, ძვირფასო, იქნები... და მე ვიამაყებ შენით.

ალფა — არ მჯერა! რით დამიმტკიცებ, რომ მართალს ამბობ?

რიკარდო — რით დამიმტკიცებ, რომ გიყვარვარ?

ალფა — მე მზად ვარ ყოველგვარი გამოცდისათვის.

რიკარდო — ყოველგვარი?

ალფა — ჰო!

რიკარდო — მამაშენი ნავსადგურის გაფართოებისა და დამბების მშენებლობის უფროსია პავანიდან რეგლამდე.

ალფა — დიახ, ასეა!

რიკარდო — მიიღოს სამუშაოზე ჩემი მეგობრები, მხოლოდ ერთი პირობით — მან არ უნდა იცოდეს, რომ ისინი ჩემი მეგობრებია.

ალფა — სიამოვნებით. მამაჩემი უარს ვერ მეტყვის და მოხარული ვიქნები დავეხმარო შენს მეგობრებს... მაგრამ შენ?

რიკარდო — ჩემი მღვმარეობა ჯერჯერობით საიმედოა, რასაკვირველია, თუ არავინ შეიტყობს, რომ მე რიკარდო მასთარერა ვარ, რომელიც, როგორც ყველასათვის ცნობილია, სიერა-მაესტრიას მთებში მოკლეს... ამუამად მე არგენტინელი ერიბერტო ნავარა გახლავართ. აქ კი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს ჩამოვყევი პრაქტიკაზე. ჩვენ ტროპიკულ სნეულებებს ვსწავლობთ.

ალფა — ოღონდ შენ იყო და ჩემთვის. სულერთია, რაც უნდა გერქვას.
ახლა კი მამა უნდა გაგაცნო. თქვენ აუცილებლად მოგეწონებათ
ერთმანეთი.

რიკარდო — სანამ მამაშენს გამაცნობ, საშუალება უნდა მქონდეს გავეცნო იმ მშენებლობის პროექტებს, რომელსაც მამაშენი ხელმძღვანელობს. ეს საშუალებას მომცემს მამაშენის წინაშე მცოდნე ადამი-

ანალ წარვსდგე. ამით მე ადვილად მოვინაღირებ მის გულს და, რო-

გორც სასიძოს, ვეღარ დამიშუნებს.

ალფა — ჰქვიანი ხარ, ჩემო რიყარდო!

რიყარდო — ერიბერტო.

ალფა — ჰო, ერიბერტო... მაგრამ ქორწილი?

რიყარდო — მომეცი საშუალება ფართოდ გავშალო ფრთები... და ამას
ნანატრი ქორწილიც მოყვება.

ალფა — მაკოცე, რიყარდო! (ერთმანეთს კოცნიან). ახლა კი ჩვენთან წა-
ვიდეთ.

რიყარდო — მაგრამ... ეს ხომ ჩემთვის სახიფათო იქნება?

ალფა — ჩვენ მარტო ვიქნებით... მამა რეგლას გაემგზავრა და მხოლოდ
ხვალ სალამოს დაბრუნდება. შენ დღესვე შეგიძლია ნავსადგურისა
და დამბების პროექტების გაცნობა, რათა დროზე მოემზადო მამაჩემ-
თან შესახვედრად. ჰო, ერიბერტო?

რიყარდო — ჰო, ალფა!

ალფა — წავიდეთ.

რიყარდო — წავიდეთ (ერთმანეთს ხელს გალახვევენ და გადიან).

ფარდა



ჩასელ გამზათოვი

დაღისტნის ვარსკვლავი

ვარსკვლავი ვარსკვლავს ესაუბრება—
ლერმონტოვი.

მინახავს ქვეყნად ბევრი ქალაქი
და ოეატრების თბილი სვეტები,
აპოლონთა და ლომთა ქანდაკი,
გამოკვეთილი ქვისგან ღმერთები.

და ქალ-ვაჟები დახატულები
დარბაზში ფარდის ახდას ელოდნენ
და ისე, როგორც ნაკადულები,
მარმარილოზე ირეკლებოდნენ.

ვნახე ისინი, რა გახარებით
ავსებდნენ პარტერს, ქანდარას, ლოჟას...
ვნახე მოხუცნიც, შუბლზე ღარები
რომ დაეჩინია ულმობელ დრო-უამს.

ოტელოს, ეჭვით მთლად განახელებს
ვუმზერდი მაღლა ბალკონზე მჯდარი,
მეგონა ჩემს ყელს უჭერდა ხელებს,
დეზდემონას რომ ახრჩობდა მავრი.

დონ-კიხოტს ხშირად ვუხსნივარ ბავშვი,,
გრძნეული კატის მახსოვს ზღაპრები.

ავუტაცნიფარ შეც დემონს ცაში
და კავკასიის თავზე დავფრენდით.

მარია ჩემი იყო მგონია,
იმ ბებერ ჰეტმანს მივცემდი განა?
და ბროლის ქოშიც მე მიპოვნია,
ზოლუშკასათვის რომ მიმეტანა.

მარად ბოროტის მგმობლად ვრჩებოდი,
სიკეთისათვის ბევრჯერ ვეწვალე.
მეც სხვისი ტანჯვით ვიტანჯებოდი
და სხვათა ცრემლი მისებდა თვალებს.

ქუხდა ღარბაზი უცხოდ ნაფერი,
აღტაცებული ისმოდა ტაში.
მე არ მესმოდა აღარაფერი,
ქოხებს ვხედავდი დაღისტნის მთაში.

რამდენი იყო ოხრა და ტანჯვა,
რამდენი იყო ეჭვების მონა.
ხელის კანკალით სინჯავდნენ ხანჯალს
და თავზე აღგნენ ლეკ დეზდემონას.

ღრო — ასი წელი ულმობელია,
რამდენი გაქრა იღბალის ცდაში!
იყვნენ ჰამლეტი და ოფელია,
ოღონდ შექსპირი არ იყო მთაში.

მთაში ისმოდა მუსიკა ლალი,
ჩიტებმა, ლელემ ხმები მომართეს,
მაგრამ არ ჩანდა მთიელი ბახი,
არც ბეთჰოვენი წერდა სონატებს.

და ჯულიეტას — წარმტაც ფერიას
როცა ღაუხშეს შუქის კარები,
ამაზე მგოსნებს არ უმღერიათ,
ტყვიით გასწორდნენ მოსისხარები.

როცა ლექსებით მთიელს მთიელი
ანდობდა სევდას ძველსა და არჯილს,
ნაყიდი შკვლელის ბოროტი ხელით
მგოსანს მალულად ჩასცემდნენ ხანჯალს.
ხალხის მოსარჩევ რამდენი მოსპეს,
ათას წელიწადს სიმართლე დევნეს,

ენას აგლეჭდნენ სახალხო მგოსნებს
და შხამს ასმევდნენ თასებით ბრძენებს.

მეასედ ვლოცავ „ავრორას“ გრიალს,
ბედნიერების მაცნედ რომ იქცა,
ძველი სამყარო რომ შეარყია
და ჩემი მთებიც გამოაღვიძა.

ვიყავი სტუმრად მრავალ ზღვის გაღმა,
ვნახე ტოკიო და სინგაპური,
კარგად გაიგო უბრალო ხალხმა
ჩემი სიმღერა დალისტანური.

სად არ ვიყავი, ვერ ვიგრძენ დაღლა,
ვნახე ნილოსი, განგესი, სენა,
ყველან ვხედავდი მშობლიურ ვარსკვლავს
და ჩემი მთების მესმოდა ენა.

ციცქნა ვარსკვლავის კრთომას და ციმციმს
მთების მგოსანი მტკიცედ მიჰყება,
თუ ის ჩამიქრა, მე კარგად ვიცი,
თვალს სხვა სინათლე არ ეღირსება.

ვერ გამიგია, მაინც არ ვიცი,
ზოგი მთიელი რად მსჯელობს ასე:
„საკმარისია, ყველა ხალხისთვის
ერთი მნათობი რომ ენთოს ცაზე“.

აუტკივარ თავს რად ვიტკივებთო,
რადგან ვარსკვლავი ბევრია, ბარემ,
ყველა ისინი სჭობს შევაერთოთ
და ერთი დიდი ავანთოთ მთვარე.

მისი სინათლე გვეყოფა ჩვენაც,
მცირე ვართ, მიწაც მცირეა ჩვენი.
მეზობლისაგან ვისესხოთ ენა,
ჩვენც ვისაუბროთ მეზობლის ენით.

და მეცნიერის — თანასოფლელის
სიტყვები გულზე ეკლად მესობა:
— მოდი, კერაზე ავიღოთ ხელი
და ცეცხლი ვთხოვოთ კარის მეზობელს.
სამშობლოვ, ჰყვავის ბაღები შენი
და მოსავალიც უხვი იქნება.



ჩვენს მიწა-წყალსაც ხეხილი შვენის
 და ჩემს ბაღშიაც ხილი მწიფდება.

რა ვუყოთ, თუკი ნაზი აქვს ყლორტი
 და თუ ნაყოფით საკსე არ არი,
 შენს ხეს ვერ არყევს დღეს ქარაშოტი,
 წინათ არ იყო ასე მაგარი.

მესმის სიტყვები შემაშფოთები —
 ბოროტ მისანთა სიტყვები მესმის,
 ჩვენს ხეს დასცვივა თურმე ფოთლები
 და გაუხმება სულ მალე ფესვი.

არ ასრულდება სიტყვები მისნის,
 ვერავინ ნახავს ჩვენს ფესვებს გამხმარს,
 ტყუილად მორწყო ცრემლით და სისხლით
 ფესვები იგი მთიელმა ხალხმა?

დავნაძლევდები რაზედაც გინდათ, —
 ავარელები ხომ არ ვართ ბევრნი, —
 ჩვენც გვეყოლება მთიელი გლინკა
 და გვეყოლება პუშკინი ჩვენი.

ჩემმა მთამ მომცა, მე კარგი რაც მაქვს,
 და მისი მადლი მუდამ თან მახლავს...
 იქნებ კოსმოსში აჭრილმა კაცმა
 ჩემი სიმღერაც წაიღოს საგზლად.

აქ არ შობილა შექსპირი, ბახი,
 აქ არც პეტრარკა მღეროდა ნაზად.
 ვისი ბრალია, რომ ჩემი ხალხი
 ბრმად დაიბადა ამ ქვეყანაზე.

რომ გაეღწიათ ღამის ჩეროდან
 ტანჯვა-წამებას იტანდნენ რამდენს;
 თანამედროვევ ჩემო, გჯეროდეს,
 რომ მივლენ ჩვენი შვილები ზღვამდე-
 შთამომავლებო, იმღერეთ მედგრად!
 თქვენ შეგიძლიათ ცას ხელით შეწვდეთ
 და თუ ჩვენს ხმაში ბრინჯაო უღერდა,
 თქვენს ხმაში უნდა ბაჯალლო რეკდეს.
 შუალამეა. ოვალი ძილს კარგავს.
 ირმის ნახტომი ზეცას უხდება

და მოკამკამე ვარსკვლავი ვარსკვლავს
 თითქოს კაცურად ესაუბრება.

ვხედავ ვარსკვლავებს მკრთალს და ელვარებს,
 ცა სხივებს თოვლის ფიფქივით მაყრის
 და ჩემს თოვლიან მთების მწვერვალებს
 ჩემი ვარსკვლავიც დაჰყურებს მაღლით.

მას სხვა ვარსკვლავი უყვარს ძმასავით
 და ძმობას ძმობით უხდიან მასაც.
 არ ავიწროებს მას სხვა ვარსკვლავი,
 არ ავიწროებს იგი სხვა ვარსკვლავს.

ჩემო ვარსკვლავო, მინათე ასე,
 ეგ მშობლიური სხივები მტყორცნე.
 დაეტევიან ვარსკვლავნი ცაზე
 და დედამიწაც დაიტევს მგოსნებს.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



კედრო ხორხე ვერა

გ რ ი ყ 3 0

პედრო ხორხე ვერა თანამედროვე პროგრესული ეკვადორელი მწერალი. იგი რეალისტური სიმართლით ასახავს თავისი ხალხის ცხოვრებას.

საჯაროდ უნდა განვაცხადო: ზოგჯერ ისეთ რაღაცას გადაეყრება კაცი, თავგზა აებნევა. ადამიანები ხშირად ისე საკვირველად, უცნაურად იქცევიან, იტყვი, ეს ხალხი ნამდვილად ჭკუიდან გადამცდარანო. აი, თუნდაც, ჩემი საცოლე ავილოთ.

ადრე სულ იმას მეუბნებოდა, შენისთანა კარგი მეორე არ დადის დედამიწის ზურგზეო. გავიდა ხანი და უცნაური ვინმე ხარო, მითხრა, თუმცა ეს სულაც არ გამკვირვებია, იმიტომ რომ რაც თავი მახსოვს, ყველა ამას მეუბნება. მაგრამ აბა იმას რა მაფიქრებინებდა, რომ ჩეენი ბულალტერივით ისიც სულელს დამიძახებდა და ზოგიერთი ჩემი ამხანაგივით ბრიყვს მიწოდებდა.

არადა დანამდვილებით არავინ იცის, სულელი მე ვარ თუ ჩემი საცოლე.

იმ გახმაურებულ ამბავში, ჩემი შვილის თაობაზე რომ ატყდა, სინდის-ნამუსივით სუფთა ვიყავი და, ათასჯერაც რომ შემემთხვეს იგივე, ყოველთვის ისე მოვიქცევი, როგორც მაშინ მოვიქეცი.

შართალია, „ლიბერტი დანსინგის“ მოცეკვავე ქალთან სულ რაღაც ორიოდე კვირას დავდიოდი (მაშაჩემა საბულალტერო კურსების დამთავრების აღსანიშნავად ფული რომ მომცა, მეტ ხანს არ მეყო) და, როცა ის კონტორაში მომაღვა და განმიცხადა, ამ დღეებში შვილი შემეძინაო, ერთი

წელი მაინც იქნებოდა გასული. აბა იმას რა დიდი ცოდნა უნდა, რომ ბავშვები ცხრა თვეს არაფრით არ გადააცილებენ ამ ქვეყანაზე მოსვლას, მაგრამ ეგეც რომ არ მცოდნოდა, როგორც კი დავხედე ჩვილს, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი შვილი არ იყო. აბა, რად უნდა დავმალო, რომ ღმერთს თვალ-ტანადი არ გაუჩენივარ და ამ ოქროსთმიანი და ლოყაშითელა ჩვილის მამა მე ვერ ვიქნებოდი. ბავშვი არც დედას, ტიპიურ მულატ პაკის ჰეგვდა (როცა წამოიზარდა, სულ უფრო დაემსგავსა იმ მეზღვაუოს, რომლის სურათი საწოლის თავთან ეკიდა პაკის. ერთხელ ვკითხე, ვინ არის-მეთქი, მიპასუხა: ჩემი სათაყვანო კინომსახიობი ჰარი კუპერიაო. მე ეჭვიც კი შემეპარა, ნამდვილად არსებობდა თუ არა ეს მსახიობი, მაგრამ გამოკითხვით თვი არ შემიწუხებია, იმიტომ რომ ასეთ რამეებს საერთოდ არაფრად ვაგდებ).

თანაც უტყუარი საბუთების გამო კი არ დავუთშე პაკის, უბრალოდ გული დამეწვა, როცა წარმოვიდგინე, ბავშვი უმამოდ უნდა გაზრდილიყო. იმ ბავშვზე უარისთქმა მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა. ტყუილად ხომ არა ვარ ქრისტიანი?

აი, ასეთი რამ გადამხდა ჩემი შვილის გამო. ამხანაგები ამაზეც კარგახანს დამცინოდნენ. მე კი არხეინად ვგრძნობ თავს და ეს აზრი-ლა მზარავს: რა დღე დაადგებოდა ბავშვს, რომ არ მეზრუნა მისთვის. წარმოიდგინეთ, ერთი წელიც არ იყო გასული, რომ დედამისმა ორივე მიგვატოვა.

ანდა მამის წყალობით გახსნილი სავაჭრო გავიხსენოთ. მართალია, გავკოტრდი და სავაჭროს დახურვა მომიხდა, მაგრამ განა ამისთვის კაცს სულელი უნდა უძახო?

ბულალტერიაში განსწავლული ვიყავი და საქონლის თვითლირებულება არ შემეშლებოდა. მაგრამ აბა თვითონ განსაჭეთ. მომადგა ერთი ღარიბ-ღატაკი ქალი — უკანასკნელი ძვირფასეულობა დავაგირავე ლომბარდში, და პირდაპირ თქვენკენ გამოვეშურე, ჩემს ქალიშვილს კაბისათვის სამკაული უნდა ვუყიდო, სალამოზე საცეკვაოდ მიდის და იქნება შეძლებულ საქმროს გადაეყაროსო. თვალში რომ მოუვიდა, იმ ნივთისთვის ფული არ ეყო. ისე დაწყდა გული, რომ საბრალო დედა შემეცოდა. მდიდარ სასიძოს რომ ვერ გადაეყაროს მისი ქალიშვილი, გული უფრო დაწყდება და სულ ამ წყეული გულქანდის ბრალი იქნება-მეთქი. ვიფიქრე (სხვათა შორის, დღესაც ამ აზრზე ვდგავარ), კომერსანტს არაფრი დააკლდება, თუ საქონელს მოგების გარეშე გაყიდის-მეთქი. ავდეჭი და გულქანდა თავის ფასად მივეცი.

შემომეჩვია ეს ქალი. ოკი ჩემს ფინანსურ თეორიას კარგად იცნობდა, აღარ მომასვენა, ესა და ეს ნივთი თავის ფასად ან ცოტა ძვირად მომყიდვეო. მომაწყვდნენ მისი ნათესავები და მეგობრები, მერე იმათ თავისი ნათესავ-მეგობრები მოჰყვნენ, — ყველა იაფად ითხოვდა ნივთებს. მეუბნებოდნენ: „ჴო, მაშასადამე, იაფად მხოლოდ იმ ქალთან ვაჭრობთ, არა? რას ვიზამთ, გასაგებია, გასაგები...“ თან ეშმაკურად მიღიმოდნენ. აბა, იშვიალს სახელს ხომ ვერ გავუტეხავდი? ამას გარდა, ასეთი ვაჭრობით ჩემს კაპიტალსაც არაფერი აქლდებოდა. ამას როგორ ვიზამდი! აი, რას ვაკე-თებდი: თუ ნივთი ხუთი სუკრე ლირდა, მეც ხუთ სუკრედ ვყიდდი. მართალია, შემოსავალი არა მქონდა, მაგრამ ზარალიც ხომ არ მომდიოდ!

თუნდაც ჩემი ძველი, კოლეჯისდროინდელი მეგობრის ერნესტო ბორკასის შემთხვევა ავილოთ. საცოდავი აღებ-მიცემობაში შუამავლობას ეწეოდა და ამით ცხოვრობდა. საკუთარი კონტორის გასახსნელად ფულა არ ებადა; მთხოვა, შენს მაღაზიაში მიმიღე სამუშაოდო. რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. როგორც კი ჩადგა ჩემს სავაჭროში, საქმეს მაშინვე დაატყო თავისი ხელი. შეკვეთებს თავს ვეღარ ვართმევდით. მერე სხვადასხვა წვრილმანი ნივთების და კოსმეტიკისათვის რაღაცების ყიდვა დავავალე. შუამდგომლობითაც რამდენჯერმე კარგა ბლობა ფული იშოვა და მალე იმდენი დააგროვა, ტოლს ვეღარ დავუდებდი. რა თქმა უნდა, ისევ გამოჩნდა ხალხი, რომლებიც ბრიყვად მიხსენიებდა. იმიტომო, — მეუბნებოდნენ ისინი, — დიდი სისულელეა, როცა კაცი თავის ხარჯზე „ხელქვეითს“ (ასე ეძახდნენ ბოორკასს) ჯიბეს ასქელებინებსო. კი, მაგრამ განა ხე ყველას უსასყიდლოდ არ ითარებს ჩრდილქვეშ? განა ბოორკასმა თავისი შრომით არ მოიპოვა ქონება? განა ჩემი მიუთვისებია რაიმე?

მართალია, როცა ერთი თვის წინ შეკვეთილი საქონელი მივიღე ფაბრიკიდან, ბოორკასმა დირექციას დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც ხელშეკრულების პირობების გადასინჯვას მოითხოვდა და ურჩევდა, საქონელს ნისიად ნუღარ მისცემთო. ისიც მართალია, რომ იმ ბანკის მმართველს, რომელთანაც ჩვენ ვთანამშრომლობდით, ჩააგონა, სულსა ღაფავს და კრედიტს ნუღარ მისცემთო. დიდი ამბავი! პირველ შემთხვევაში ბოორკასი ხომ იმ ფირმის ინტერესებს იცავდა, რომლის წარმომადგენელიც თვითონ იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში — იმ ბანკის ინტერესებს, რომელშიც ანაბრებს ინახავდა და რომლის ნდობის მოპოვებაც ძალიან სჭირდებოდა. აი, ეს იყო ბოორკასის ღანაშაულის თავი და ბოლო და, თუ ის ცუდად

მომექცა, ამით მისდამი ჩემს დამოკიდებულებას, რომელიც მართალი და კუთილშობილური იყო, არაფერი დაკლებია. მეტსაც გეტყვით. ბოორკა-სის საქმეები კარგად რომ მიღის და ეს კაცი თანდათან შეძლებული კო-მერსანტი ხდება, ღიღ სიამოვნებას მგვრის. მერე რა მშვიდად ვგრძნობ თავს ბუღალტერის თანაშემწის თანამდებობაზე ჩემი თანასკოლელისა და კომპანიონის კონტორაში!

ამ ამბის შემდეგ საბრალო მამაჩემმა დაიჯერა ჩემი სისულელე, ერ-ნესტოს რჩევით საანგარიშო წიგნი გადამისინჯა და ჩემი წილი სავაჭროს გაუქმება გადაწყვიტა. რა დაგიმალოთ და რატომლაც მართლა ვზარალობდი. აჩეარება მაინც არ იყო საჭირო, მშვიდად უნდა გამოვერკვია ამის მიზეზები. აյი გითხარით, ჩვენ არაფერს ვიგებდით-მეთქი. იქნებ, ეს შენობის ქირის მომატებითაც იყო გამოწვეული. მაგრამ ერნესტომ განმი-მარტა (შემორჩენილი საქონელი იმან შეიძინა და ქირის მთლიანად გადახ-დაც მან იყისრა), კაცმა პატარა საქმე პატარა ხარჯებით უნდა დაიწყოსო. აյი სწორედ ასე მოიქცა თვითონ.

ჩემი ახლანდელი თანამშრომლები ახირებულ კაცად მთვლიან. ჩემი უფროსი ხომ ვეღარ ისვენებს: „რასა იქ, ჩალენ? შვილი ხომ კარგადა გყავს? მამიკო როგორა ბრძანდება?“ როცა იმის გულმავიწყობას გავიკ-ვირვებ და შევახსენებ, „აյი ახლახან გარდამეცვალა მამა-მეთქი“, „არა, მე შენი შვილის მამაზე გეკითხებიო!“ — გაჰყვირის ხოლმე სიცილით ჩა-ბჟირებული.

უფრო ხშირად კი ამას მეკითხება: „შენი აზრით, როგორ არის მაღაზი-ის საქმეები?“ ვეუბნები: „მე მგონია, თუ ჩვენ რეკლამას უკეთესად მო-ვაწყობთ, შემოსავალი საგრძნობლად გაგვეზრდება“. „ჩვენაო?! ვინ „ჩვენ-ზე“ ლაპარაკობ?“ „ჩვენზე — ბოორკასზე და კომპანიაზე მოგახსენებთ“. „აი, თურმე რა! გამოდის, რომ თქვენც ბოორკასის კომპანიონი ხართ, არა? იცით რა, ჩალენ, ღიღი ბრიყვი ვინმე ბრძანდებით!“

მე ასეთ რამეებს მაინც არაფრად ვაგდებდი. მართალია, ჩემი არავის ესმილა, მაგრამ გვერდში ღვთისნიერი, ნაზი, მოსიყვარულე საცოლე მე-გულებოდა. მაგრამ იმანაც...

ორი კვირის წინ მამა გარდამეცვალა. თორმეტი საათისათვის ყვე-ლაშ პანაშვიდზე მოიყარა თავი. სახლი ხალხით გაიცსო, სადარბაზო შესა-სვლელში და ქუჩებში ტევა არ იყო. ქვევით ჩავედი და ყველას სათითოოდ ვთხოვე, ზევით ამობრძანლით-მეთქი. მერე კუბოსთან მივედი და ჩემი და-წერილი ნეკროლოგის ჭითხვა დავიწყვ. ზოგი კაცი მართლა უცნაური რომ


იქნება! აქა-იქ სიცილი ატეხეს. თვალი მოვკარი, ჩემმა უფროსმა ბუღალტერმა, სიცილი რომ არ წასკდომოდა, პირზე ცხვირსახოცი როგორ აიფარა და ოთახიდან გივარდა. მოვალეობის სერიოზულობას ვგრძნობდი და დინჯად განვაგრძე კითხვა. ის იყო ნეკროლოგს ვამთავრებდი, რომ უცებ საცოლემ ისტერიულად შეკვიცლა: „გეყო ლაქლაქი, შე მართლა ბრიყვო, შე საცოდავო შენა!“

სასაფლაოზე აღარ წამოგვყვა, ადგა და წავიდა. იმ დღის შემდეგ ჩემი საცოლე თვალით აღარ მინახავს. სახლში მივადექი, მაგრამ შიგ არ შემიშვა.

დღემდე ვერ მივხვდი, რაში მიმიძლოდა ბრალი? იმას ხომ არ მითვლიან დანაშაულად, რომ მე, ნიკოლას ჩალენის შვილმა, რომელიც ასე კარგად ვიცნობდი მამას, გამოსათხოვარი სიტყვა წარმოვთქვი საზოგადოების წინაშე? განა უფლება მქონდა უკანასკნელად არ დამეფასებინა საყვარელი მამა? იქნებ, უბრალო აღამიანებს სამოქალაქო პანაშვიდი ეკრძალებათ? მე ხომ იმ პატიოსანი და გულისხმიერი აღამიანის წინაშე მოვიხადე ვალი, რომელსაც ყველა ჩემს სიკეთეს ვუმაღლი, განსაკუთრებით კი სამართლიანობას, რომელიც სწორედ მისი წაბაძვით შევიყვარე.

იქნებ, აღამიანებს სამართლიანობა არ უყვართ და იმიტომ დამცინიან? ალბათ, მართლა ასეა. არა, ამ ხალხის ნამდვილად არაფერი გამეგება!

თარგმანი პავლე ჩარკვიანისა.



ალექსანდრე ჩხეიძე

იტალიური გთავაზღილებანი

— თვალი გაახილე, უკვე იტალიაში ვართ, — მაღვიძებს ვიღაც.

ფარლა აუწევიათ, მაგრამ კუპეში ჯერ კიღევ ბნელა. სწრაფად ღლები და გავდივარ დერეფანში. აქ საქმაო სინათლეა, რადგან ფანჯრებს აღარ ეფარება მატარებელი და მტრედისფერ განთიაღში მოჩანს მთები, მთები, მთები...

მღელვარებით გავჭერი ქვეყანას, რომელთან შეხვედრაშე ვოწნებობდი (და განა მარტო მე) იმ დღითან, როცა პირველად გავიგონე სიტყვები: რომი და ვენეცია, გალილეი და სპარტაკი, პომპეა და ვეზუვი, გარიბალდი და ლანტე... და ი ახლა, როცა ოწნება რეალობად იქცა და იტალიაში ვარ, როგორლაც ძალიან მაგონებს ეს მთები, ნისლით მობურული შწერვალები, ფერდობებზე შეფენილი ნაძვნარი ჩემს სამშობლო კუთხეს — საქართველოს.

ის შავგვრემანი მესაზღვრე აფიცერიც, დერეფნის თავში რომ იმოწმებს საბუთებს, ძალიან ჰგავს ქართველს. მაგრამ ნაცნობი „დილა მშვიდობის“ ნაცვლად მესმის „ჯორნო, სინორი“ და საბოლოოდ

კრწმუნდები, რომ მართლაც იტალიაში ვარ და ჩემს წინ აზილულა არა კავკასიონი, არამედ ალპები.

მე ვიღებ ჯიბილან წითელყდიან საზღვარგარეთულ პასპორტს და მაშინვე მაგონდება მაიაკოვსკის სიტყვები: „წაიკითხევით, ალიგსეთ შურით, საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე“. იტალიელი მესაზღვრე ოფიცერი ჩემს პასპორტს დასცეკერის პატივისცემით და თავაზიანი ღიმილით მომართავს: „ზოვიერ უნიონ“, „ღრუება“, „ტერეშკოვა“... იმ დღეებში მთელი მსოფლიო აღტაცებით იმეორებდა პირველი კომინისტი ქალის სახელს და იტალიაში მიმავალმა ტურისტებმა პირდაპირ გავცალეთ მოსკოვის კიოსკები ვალენტინა ტერეშკოვას სურათებისაგან. ჩვენ გასაჩუქრებთ პირველ იტალიელ ნაცნობს ვალიას პორტეტით. მესაზღვრე გულისჯიბილან იღებს იური გაგარინის სურათს, რომელიც, ალბათ, ჩვენამდე მიუძღვნეს მას საბჭოთა ტურისტებმა, და ღიმილით ამბობს: „კორომა“.

ამ პატარა სასაზღვრო სადგურს ჰქვია თარვიზიო. ქედან იშევება ჩვენი მოგზა-

ურობა იტალიაში. თარვიზიონში დაგვეცელა
ტურისტული ბიუროს „კურუეის“ წარმო-
შადგენელი — ახალგაზრდა ქალი, რომე-
ბილსაც ჰქვია საესებით არაიტალიური
სახელი — ლენა. იგი შესანიშნავად ლა-
პარაკობს რუსულად. როგორც შემდეგ
შევიტყვეთ, დედამისი რუსია, მამა —
ბერძენი, ხოლო მეუღლე — იტალიელი.
ეს პატარა, დაუღალავი ქალი გახსლდა
მთელი ჩვენი მოგზაურობის დროს და
ყველაფერს იყეობდა იმისათვის, რომ
ამ მოკლე ღროში რაც შეიძლება ახლოს
და უკეთ გავვეცნ იტალია და იტალიე-
ლები. ლენა არასოდეს არ ყოფილა რუ-
სეთში, მაგრამ იგი შესანიშნავად იცნობს.
ჩვენს ქვეყნას, რომელსაც სთვლის თავისი
მეორე სამშობლოდ. ლენას აინტერესების
ყველაფერი — დაწყებული ახალი საბჭო-
თა სიმღერით და დამთავრებული რუსუ-
ლი „მატრიოშკით“. განსაყუთრებით ხში-
რად გვთხოვდა გვემდერა „სიმღერა სამ-
შობლოზე“ და, როცა ჩვენ ეუსრულებ-
დით ოხოვნას, მისი შავი თვალები ივსე-
ბოდა ნაღვლიანი სიხარულით.

ჩვენი გული ახალგაზრდულია და უმ-
სავლესობა პირველად არის კაპიტალის-
ტურ სახელმწიფოში. სხვა ქვეყნებთან
შედარებით ჩვენ ბევრი რამ ვიცით იტა-
ლიაზე და, ალბათ, არ გაგააკვირვებს
ვენეციის წყლით დაფარული ქუჩები, არც
კულიზეუმი იქნება ჩვენთვის უცხო და
არც ვატიკანი — ეს „სახელმწიფო სახე-
ლმწიფოში“.

უკან ჩამოვიტოვეთ მთები, უამრავი
გვირაბი და მივეჩივართ საშინელი სისწ-
რაფით. საერთოდ, მატარებლები იტალი-
აში დადიან სწრაფად და პირველ ხანებ-
ში, ცოტა არ იყოს, მიში გვიპყრობდა,
როცა ასიასათი კილომეტრის სიჩქარით
მივგრიალებდით შეუჩერებლად ერთი
ქალაქიდან მეორემდე. მაგრამ მალე ამას
ისევე შევეჩვიეთ, როგორც იმ რეკლა-
მებს, ყველა ნაბიჯზე რომ გიჭრიალებს
თვალებს.

ლენა უკვე შეუდგა თავისი მოვალეო-
ბის შესრულებას. მხარმარჯვნივ მთავრე-

ნილების ზოლისაცენ გვითითებს და გვი-
უბნება; ის აპენინებიან.

დაახლოებით ერთ საათში კი უნდა გვ-
მოჩნდეს ვენეცია, ქალაქი, რომლის შესა-
ხებ თვითეულ ჩვენგანს ამდენი სმენაა
და წაუკითხავს.

ლენას ზედამზე აყრიან შეკითხვებს:
— მართლა წყალში დგას მთელი ქალა-
ვი?

— ქუჩაში ფეხით არ გაივლება?
— რაიმე კინოფესტივალი ხომ არ ტარ-
ება ახლა?

ლენა ილიმება და მოკლედ ამბობს:
— ჩახვალო და ნახავთ.
კეთილი და პატიოსანი, ჩავალთ და ვნა-
ხავთ!

* * *

ლაპინავებისთანვე დავინტერესდი, რა-
ომ ატარებს ჩვენი პატარა სასტუმრო
ტიციანის სახელს, მაგრამ გარკვეულად
ვერავინ მიპასუხა. ბოლოს, ღამის პორ-
ტიებ მითხრა, ალბათ, იმიტომ, რომ აქვე
ახლოს ფრარიის ტაძარში ტიციანის ორი
სახელგანთქმული მაღონა ინახება და
პატრიონა ლამაზი რეკლამისათვის. უწო-
და სასტუმროს გენიალური მხატვრის სა-
ხელიო. როგორც კი ვიშოვე თვისუფა-
ლი დრო, მაშინვე ტიციანის მაღონების
სანახვად გავეშურე. ეკლესიის მსახურნი
ჩვენი სასტუმროს პატრიონზე ნაკლე-
ბალ პრაქტიკული ჭკუის როდი აღმოჩნდ-
ნენ. ტაძარში რომ შეხვიდე, ფული უნდა
გადაიხადო. განა იფიქრებდა ტიციანი,
რომ მისი კდებამომისილი მაღონები ვა-
ტიციანის სალაროს შემოსავლის წყარო
გახდებოდა? საბედნიეროდ, წირვა და-
იწყო, ხოლო ამ დროს უფასოდ შეიძლე-
ბა ეკლესიაში შესვლა. მე შევყვევი მლო-
ცველებს და წირვის დამთავრებამდე
ვტკბებოდი ტიციანის მაღონების მშვე-
ნიერებით...

სამი დღე ვაჭრობთ ამ პატარა სას-
ტუმროში. ხვალ მივემგზავრებით ვენეცი-
ილან. ეს სალამო თავისუფალი გვაქვს. და
აი ეზივარ ჩემს პატარა ნომერში ფანჯა-

რასთან. და ვიხსენებ ნანახსა და განცდილს.

თავდაპირველი წარმოდგენა, რომ ვენეცია მთლიანად წყალზე დგას და მს ქუჩებში მხოლოდ ნავით შეიძლება მოძრაობა, მცდარი გამოდგა. მართალია, ქალაქი დაქსელილია 160 დიდი არხით და უამრავი მცირე განშტრებით, მაგრამ ნამდვილი ქუჩები შაინც ჭარბობს — მათი რაოდენობა, ორი ათასს აღწევს. კუნძულები ერთმანეთთან დაკავშირებულია თხასამდე ხილით. დიდ არხზე მხოლოდ სამი ხილია, რომელთა შორის მთავარაა რიალტო. ვენეციის ქუჩები იმდენად ვიწროა, რომ ზოგიერთ მათგანზე ორი გამვლელი ძლივს აუვლის გვერდს ერთმანეთს. ზოგჯერ რამდენიმე ქუჩის გადაკვეთა ქმნის მოედანს, საჭაც, როგორც წესი, დგას რამდენ ძეგლი.

მაგრამ ქალაქის სასიცოცხლო არტერიას მაინც წარმოადგენს დიდი არხი, ურომლისოდაც, და კიდევ უგონდოლოდ, წარმოუდგენელია ვენეცია. კონტოლი! იგი ეკუთხის მხოლოდ ვენეციას. მას შენარჩუნებული აქვს ძველებური ფორმა — ვიწროა და გრძელი. აწეული და მოქაუპებული ცხვირი ფრინველის თავს ჩამოგეს და ისტატურაზა მოჩუქურობებული. გონდოლა ტრადიციულად შავი ფერისაა. მეგონდოლე ერთადერთი ნიჩით ხელში დგას კიჩოზე. იმისათვის, რომ ნიჩის ცალმხრივი მოსმისაგან გონდოლაშ მიმართულება შეინარჩუნოს, მისი ერთი ქიმი ოდნავ გამოზნექილია.

გონდოლები ძირითადად უცხოელ ტურისტებს ემსახურებიან. თვითონ ვენეცია ელები ამჯობინებენ ნაკლებად ეგზოტიკურ, მაგრამ უფრო იაფ და მოხერხებულ კატარლებს. სანაპიროზე, ხილებზე, მოედნებზე დგანან მეგონდოლეები და გთავაზობენ არხზე გასეირნებას. განსაკუთრებით დამამასხვერდა მოხუცი მეგონდოლე რიალტოს ხილთან. მან გვითხრა, რომ შემოსავალთან ერთად თანდათან მცირდება გონდოლების რიცხვი: ერთ დროს ვენეციაში ათი ათას გონდოლას

ითვლიდნენ, ახლა კი მათი რიცხვი 400-მდე დასულია. მე შევეკითხე, ხომ არ ემუქრება გონდოლებს გაქრობა, მარც და გითებით ვაკინა თავი: „არასოდეს მი შინ ვენეციაც აღარ იქნება“. მაგრამ ვინ იცის, იქნება გონდოლასაც ემუქრება გადაშენება? საერთოდ, ადგილობრივი მცხოვრებლები უკმაყოფილონი არიან მშობლიური ქალაქის გათანამედროვეობით, ეგრეთ წოდებული „ამერიკული ცხოვრების წესის“ უბოლიშო შემოყრით. სკვერი იქმდე მისიდა, რომ ბიზნესმენებმა წარმაყენეს პრაქტიკული წინადადება: რადგან ვენეციაში ჩასული ტურისტებისათვის სანახევროდაც არ ქმარა სასტუმროები, მათ ასაშენებლად ამოივსოს ზოგიერთი არხით. ვენეციის ქუჩებს არასოდეს სმენით ავტომანქანთა ბორბლების რატენი და მუხრუჭთა ჭრიალი, ზენზინს სუნიც უცხოა ვენეციელთათვის. ბიზნესმენთა გეგმები ამ სიახლესაც ითვალისწინებენ.

მოხუცი მეგონდოლე სავსებით მართალი იყო — ვენეცია უნდა დარჩეს ისეთი, როგორიც არის. და როცა ახლა ვიგონებ ამ განუმეორებელ ქალაქს, თვალწინ მიღდას სწორედ ის ჭარმაგი მეგონდოლე რიალტოსთან, და კიდევ ღამით მეგონდოლეთა ტრადიციული მსვლელობა, დიდ არხზე. ეს იყო ერთი იმ საღამოთავანი, რომელიც არასოდეს წამლება მეხსიერებაში. არხის ორივე მხარეს წამომართული კოშკები და სასტუმროები მილიონ შუქთა ცაალით ირკლებან წყლის ზედაპირზე. ჩვენ ვდგავართ ერთ-ერთ ნავმისადგომთან და ველოდებით გონდოლების გამოჩენას. აი ისინიც! თითქოს ციცინათელები ჩაყრილან წყალში საბანოდ, ისე მოდიან და მოქიაფობენ მაშხალიანი გონდოლები. ისინი ბევრია, ძალზე ბევრი. შუაში ზღაპრული ფასკუნგივით მოცურავს უვაკალებითა და ნაირფერი ელნათურებით გაცისკროვნებული ვეება კრწაპი. სირინოზთა გალობა აკლია ამ სიზმარივით სანახობას და აი ისიც... „ავე მარია!“ კარჭაპზე ორკესტრი მოთავსებუ-

ლა და მიქროფონით გაძლიერებული ქალის საამო ხმა იღვრება ლამის მყულროებაში. მას მამაკაცის ბელკანტო სცვლის და ახლა „მარეკიარე“ გვიტებობს სმენას. ორივე ნაპირიდან ტაშით აცილებენ მომღერლებს არაჩვეულებრივი კონცერტის მსმენელები და მაყურებლები. იმ დროს, ორცა ორკესტრიც და მომღერლებიც ის-გვებენ მცირე ხნით, გაისმის მეგონდოლეთა ომაზიანი გადახახილები. ჩვენ ნაბირ-ნაპირ, ფეხზაფეხ მივყვებით გონდოლებს და მათთან ერთად ვამთავრებთ მსვლელობას რიალტოსთან.

შემდეგ იქიდან გავდივართ წმინდა მარკოზის სახელგანთქმულ მოედნზე და შესანიშნავი სიმფონიური ორკესტრის შესრულებით ვისმერთ „რიგოლეტოს“. მოედანზე ირევიან ტურისტები მთელი მსოფლიოდან: ჯგუფ-ჯგუფად და წყვილ-წყვილად, დაჩაჩანაკებული ბერიკაცები და განიანი ვაჟაკაცები, სანახვრიდ გაშიშვლებული ქალები და ანაფორიანი კაპუცინები. ზოგიერთი მრგვალ მაგიდებთან სხედან და წრუპავენ გამაგრილებელ სასმელებს. სხვები კიდევ პირდაპირ მოედანზე მოკალათებულან. ჩვენს უკან დგას შუახნის, წარმოსადევი იტალიელი და დაბალი ბანით თავისითვის ღილინებს რიგოლეტოს პარტიას. ირგვლივ დაფუსულებენ საოცრად ენერგიული ადამიანები, რომლებსაც აბსოლუტურად არ აინტერესებთ არც ვერდის მუსიკა და არც დოკების სასახლის სილამაზე. ესენი სუვენირების გამყიდველები არიან. მათ ტანზე აუკადით ყველაფერი — დაწყებული ვენეციური მინის მძივით და დამთავრებული ახალი პაპის მინიატურული სურათით. მოხეტიალე ფოტოგრაფები მოურიდებლად გვიღებენ სურათებს და ხელში გვაჩრიან პატარა ტალონებს მისამართით, სადაც შეგვიძლია ერთ საათში მივიღოთ გამზადებული ფოტოები.

...ვენეციაში არის ქუჩა, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ აუვლი გვერდს. შეიძლება იცხოვრო ისე, რომ არ ისარგებლო დიდი არხითა და გონ-

დოლით, მაგრამ შეუძლებელია არ გახვდე მერჩერიაზე. მერჩერია ვენეციის ყველაზე ხალხმრავალი ქუჩა, რომელზეც მოთავსებულია მაღაზიები და წვერილ ვაჭართა დუქნები. აქ საქონელი დევა და ჰერიდი ყველგან — ვიტრინაში და პირდაპირ ტროტუაზე, დახლებზე და შენიბათა კედლებზე. აქ იყიდება ყველა-ფერი — ტანსაცმელი, სურათები, ხილი, სუვენირები. დახლებთან ფუსფუსებენ გამყიდველები, შემოგცერიან თვალებში, გთავაზობენ საქონელს. ისეთი შემოჩენა ძირიან, რომ გამოუცდელ და ხათრიან კაცს ადვილად დაიყოლიებენ და რაღაცას მაინც აყიდვინებენ.

მერჩერიის ბაზრის თვალისმომჭრელ სიჭრელეში ცისარტყელას ყველა ფერით კიაფობენ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ვენეციური მინის ნაკეთობანი. ჩვენ ვიყიდობოდით ქალაქგარეთ, კუნძულ ბურანზე, სადაც შესანიშნავი ოსტატები, მოკიდებული XIII საუკუნიდან, ამზადებენ ამ მინის ნაკეთობებს. ისინი ტურისტთა თვალშინ სულ ორიოდე წუთში გავარვარებული ფერადი მინიდან აქეთებენ ფრინველებისა და ცხოველების ულაბაზეს ფიგურებს. მაგრამ ჩვენ არანაკლებად გაგვაკვირვა წარმოების კუსტარულმა ღონებმ და იმ პირობებმა, რომლებშიც უხდებათ მუშაობა საქვეყნოდ ცნობილ მინის ისტატებს. გავგაკვირვა იმანაც, რომ გავარვარებულ ღუმელებთან იღენენ ათი-თოთხმეტი წლის ბავშვები. ჩვენ აგვიხსნეს, რომ თაობიდან თაობებს გადასცემენ მინის დამზადების ხერხებსა და საიდუმლოებას და ეს ბავშვები დღევანდელ ისტატთა შვილები არიანო. მერჩერიის გამზადებულ ვიტრინებში გამოფენილი მინის გასაოცარი ნაკეთობანიც და ჯოხოხეთურ სიცხეში მოჯუსტუსე ბიჭუნებიც ერთ-ერთი იმ კონტრასტობაზე იყო, რაც ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა იტალიაში მოგზაურობის დროს.

* * *

ვენეციიდან იტალიის მეორე ულამაზეს ქალაქ ფლორენციაში დამით ჩავედით და

დილადრიან უკვე ქუჩაში ვიყავი. ცველ-გან საშინელი სისწრაფით დაპქრიან მანქანები, აეტობუსები, მოტოროლერები... მყუდრო გვეცის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გვეხამუშება ასეთი ხმაური. ვენეციისაგან განსხვავებით, ქალაქი მწვანე-შია ჩაფლული. სიტყვა „ფლორენცია“ ხომ აყვავებულს ნიშნავს.

თოთქმის ცველა ნაბიჯზე გვხვდება მე-მორიალური დაფები. ჭარბობს სიტყვა „აკადემია“. თვითონ ატალიელები ტყუ-ილად არ ეძახიან ფლორენციას ქვეყნის კულტურული და სამხატვრო ცხოვრების ცენტრს.

ქუჩა მთავრდება ტაძრის მოედნით, რომლის ერთ მხარეზე აღმართულია იტა-ლიის ერთ-ერთი უდიდესი ტაძარი — სან-ტა მარია დელ ფიორე. ფერადი მარმა-რილოთი მოპირეობული მისი ულამაზე-სი კედლები მიზიდველია. გუმბათს უკ-ვი აკაფებს ამომავალი მზის სხივები. სწორედ ამ გუმბათის მიხედვით შექმნა მიქელ-ანჯელომ რომში წმინდა პეტრეს ტაძრის ცნობილი გუმბათი და ამავე დროს აღიარა: „შეიძლება გააკეთო უფრო დიდი ზომის გუმბათი, მაგრამ უფრო ლამაზი—არა“. ტაძრის გვერდით აღმართულია ცნობილი ტოსკანელი მხატვრისა და ხუ-როთომოძღვრის ჭოტოს სამრეკლო, რომ-ლის სიმაღლე ოთხმოცდაცხრა მეტრია. ტაძრის მოედნის ჰარმონიული ანსამბლის მესამე ელემენტს შეაღენს სამლოცვე-ლო, რომლის მოოქროვილ კარებთან ამ დილადრიან უკვე ირევიან ტურისტები. მოხუც ქალს მოლბერტი დაუდგამს წინ და რალიცას ხატავს. მტრედები დაფართა-ტებენ მოედანს.

ვაცი, სულ ახლოს სინიორიის მოედა-ნია, სადაც დგას მიქელ-ანჯელოს „დავი-თის“ ტიტანური სკულპტურა. სინიორიის მოედანზეა მედიჩების ყოფილი რეზიდენ-ციაც, ამჟამად ცნობილი მუზეუმი — პა-ლაც ვეჯიო და სურათების სახელგანთ-ქმული გალერეა — უფიცი, რომელსაც აშშევენებს ლეონარდო და ვინჩის, რა-ფაელის, მიქელ-ანჯელოს, ბოტიჩელის,

ტიციანის, ჯორჯონესა და სხვა დიდოს-ტატა გენიალური ქმნილებანი. მაგრამ დრო აღარ რჩება და სწრაფად ვბრუნ-დები უკან, რათა თანამგზავრ ტურის-ტებთან ერთად შემდეგ საფუძვლიანად დავათვალიერო იგი.

ნასაუზმევს ვსხვდებით ავტობუსში და მივემგზავრებით ქალაქის დასათვალიე-რებლად. თვალი და გონება ვერ ასწრებს ყველაფრის აღმას, ჩაწერაზე ხომ ლაპა-რაკიც ზედმეტია. ფოტომოყვარულები ადგილზე ცმუკავენ, ხან მარცხნივ, ხან მა-რგვნივ აწყდებიან ფანჯრებს. ლენა გვა-მშვიდებს, რომ ამ ადგილებს ხვალ ფე-ხით დავივლით. ჩვენ, ცოტა არ იყოს, შურით შევცემერით ეტლებს. მოსეირნე-ებს შეუძლიათ ყველაფრი საფუძვლია-ნადაც დაათვალიერონ და იმდენი სურა-თი გადაიღონ, სანამ ფირი ეყოფათ.

ერთ გზაჯვარედინზე მოძრაობა შეფე-რხდა. ჩვენს წინ გამოჩნდა დემონს-ტრანგრადა კოლონა. ზოგიერთს ხელში პლაკატი ეკავა. მძლოლი შემობრუნდა და გაგვიღიმა: „გაფიცულებია“. ჩვენ ცხოვ-რებაში პირველად ვხედავთ გაფიცუ-ლთა დემონსტრაციას და, რომ გამოგხა-ტოთ ჩვენი სოლიდარობა მათდამი, უფ-რო ომახიანად ვმღერით „მოსკოვურ სა-ღამოებს“. გაფიცულები ლიმილით გვიქნე-ვენ ხელს, გაიძახან: „ჩაო!“, „სალუტი!“. რამდენიმე ახალგაზრდა გამოეყო დემონ-სტრანგრადა რიგებს, აეტობუსთან მოიჩი-ნა და მოგვაჩენა მოყვითალო ნაბეჭდი ფურცლები. ლენა გვითარგმნის: გაიფიც-ნენ ქალაქის ტელეფონის მუშავები. ფირ-მა მათ ითხოვს სამსახურიდან იმ მოტი-ვით, რომ არ არის სამუშაო, მაშინ როცა მცხოვრებლები წლობით ელიან ტელე-ფონის დადგმას. გაფიცულები მოუწოდე-ბენ მოსახლეობას, მხარი დაუჭირონ მათ.

მიაბიჯებენ გაფიცულთა ბოლო რიგე-ბი. მსვლელობა მთავრდება პოლიციის ორი მანქანით. წესრიგის დამცველნი ჯე-რჩერობით შორიდან აღევნებენ თვალ-ყურს გაფიცულთა მოქმედებას. მოძრაო-ბა განახლდა და ჩვენც განვაგრძობთ გზას.

სამახსოვროდ ვინახავთ გაფიცულთა პრო-
კლამურიას.

გზაღაგზა ვეჩერდებით, რათა ღავათვა-
ლიეროთ განსაკუთრებით ღირსშესანიშ-
ნავი ადგილები. წმინდა ლორქნცოს ეკ-
ლესიასთან გადმოვდივართ ავტობუსიდან.
მის გვერდითა მეღიჩების კაპელა მიქელ-
ანჯელოს განთქმული შედევრებით. და-
მთვალიერებლები შეღიან და გამოიდინ
სათითოოდ, მბრუნავი კარებით. ისმის
მონოტონური კავუნი. მუშაუმებსა და
სასხატვრო გალერეებში სპეციალური
მოწყობილობა ავტომატურად ითვლის
დამთვალიერებლებს შესვლისას და ვა-
მოსვლისას, რათა ღამით არავინ დარჩეს
შიგ. როგორც გვითხრეს, იტალიაში არც-
თუ იშვიათია სურათების გატაცების შე-
მთხვევა.

კაპელის ღიაღებულ დარბაზებში ჩვენ
ვნახეთ მიქელ-ანჯელოს ალეგორიული
სკულპტურები — „დილა“, „საღამო“,
„დღე“ და „ღამე“, შეღიჩების საგვარე-
ულო სარკოფაგები. გენიალურმა სკულ-
პტორმა თავის ამ ქმნილებებში ალეგო-
რიულად გამოხატა სასხის ფიქრი და
მისწრაფება, ღია-ღამის ცვალებადობა-
ში ასახა დაყარგული თავისუფლებით
გამოწვეული წუხილი და ამასთან ნათე-
ლი მომავლის ორმა რწმენა.

...დანტე და ლეონარდო და ვინჩი, მი-
ქელ-ანჯელო და გალილეო გალილეი, რო-
სინი და ფოსკოლო... ყველა ესენი ცხოვ-
რებითა და შემოქმედებით მჭიდროდ
არიან დაკავშირებული ფლორენციასთან
და მათი ნეშტები დღეს განივენებენ
წმიდა ჯვრის ეკლესიაში.

საბედნიეროდ, ჩვენ ეკლესიაში მოვხვ-
დით დახურვის წინ და ამიტომ შივ შე-
დარებით ნაკლებად ირეოდა ხალხი. მე
დავბიჯებდი მყუდრო სიგრილეში და შე-
ვყურებდი საოცარ აკლდამებს. ალტაცე-
ბას იწვევდა არა სარკოფაგთა მხატვრუ-
ლი სიდიადე, არამედ ამ აღამიანთა ნიჭი
და რწმენა, რამაც ეკლესის მსახურთ მათ
წინაშე ქვედი მოახევინა პატივისცე-
მისა და აღიარების ნიშნად. განა კათო-

ლიკურმა ეკლესიამ არ დასაჯა დიდი ვა-
ლიერი, ციური სამყაროს მესაიდუმლე?
ეკლესის ალვირაბენილობას კიცხავდა
მუდამეამ „საიღუმლო სერობძეს“ ავტო-
რი, დიდი ჰუმანისტი ლეონარდო და ვინ-
ჩი. დანტე ალიგირმა ერთ-ერთმა პირ-
ელმა გადალახა ასკეტური შეხედულება
ბუნებასა და აღამიანზე (ჩვენი რუსთა-
ველის შემდეგ), სასტიკად გაიღაშეჩია პა-
პიზმისა და ფეოდალური იერარქიის წი-
ნააღმდეგ. ამისათვის „დღითაბრივი კო-
მეფლის“ ავტორი განდევნეს კიდეც ფლო-
რენციიდან. შემდეგ ფლორენციის ხელ-
სუფალნი ბევრი ეველრნენ როვენელებს
(დანტე ქალაქ როვენაში გარდაიცალა)
მიეცათ მათვის დიდი პოეტის ნეშტი,
მაგრამ სასტიკი უარი მიიღეს. ახლა
წმიდა ჯვრის ეკლესიაში მაინც დგას და-
ნტეს სარკოფაგი და ეკლესიის წინ დან-
ტეს ფიგურაცაა აღმართული. არაფერი
ჰქონდათ საერთო ეკლესიასთან პოეტ-რე-
ვოლუციონერ უგო ფოსკოლოს და მხია-
რულ კომპოზიტორ როსინის. „სევილია-
ელი დალაქის“ ავტორის სამარხის წინ
უნებლივთ წავილილინე ფიგაროს არია,
მაგრამ უმალ წავიკვირე ენა, რადგან
შევაჩჩინე, თუ როგორ შემომხედა იქვე
მდგომამა ანაფორიანმა ბერმა, როგორც
ჩანტა, ამ ეკლესიის მსახურმა. მან შე-
მომხედა და... გამიღიმა. მომეჩვენა, თა-
თქოს თვალიც ჩამიკრა. იგი ტუჩებს აც-
მაცუნებდა და იქნებ გუნებაში ჩემთან
ერთად მღეროდა მხიარული დალაქის
არიას. ყველაფერი იცვლება ამ ქვეყნად!

...საშობლოდან დაშორებულებმა თით-
ქმის არ ვიცოდით ჩვენს ქვეყანაში მომხ-
დარი ახალი ამბები. ეს შეტაც ამაფო-
რიაქებელი გრძნობაა. ამიტომ დახარბე-
ბული ვეცით საბჭოთა გაზეთებს, რომლე-
ბიც ჩვენ დავინახეთ მაგიდაზე „იტალია-
სარ კაშშირის“ საზოგადოების ფლორე-
ნციის სექციის ბიბლიოთეკაში. კარადგე-
ში ეწყო რუსული წიგნები. კელლებს
აშვენებდა საბჭოთა პლატარები, ჩვენი
კომინივტების სურათები, თვალსაჩინო-
ებანი რუსული ენის შემსწავლელთათვის.

ვესაუბრეთ სექციის პასუხისმგებელ მდივანს დანილო მაზის. იგი საკმაოდ გამართულად ლაპარაკობს რუსულად. იტალიელი კომუნისტები მოვალედ სთვლიან თავს, რომ იცოდნენ დიდი ლენინის ენა. სექციასთან შექმნილია რუსული ენას შემსწავლელი წრე. საღამოს ჩვენთან სასტუმროში დანილო მაზისთან ერთად მოვიდნენ ამ წრის წევრები, ახალგაზრდა კომუნისტები — ბანკის თანამშრომელი ჭანი ლაძარინი და ერთ-ერთი გამომცემლობის მუშავი კარლო ბარნი. შესანიშნავი ბიჭები არიან. მაშინვე დაგმევობრდით. რუსულ-იტალიურად გაიძა გულათადი საუბარი. მათ გვაცნობეს, რომ ხვალ საღამოს ფლორენციის ერთ-ერთი რაიონის სახალხო სახლში აპირებენ ჩვენთან შეხვედრას. ჩვენ, რა თქმა უნდა, სახარულით დავთანხმდით.

...მ საღამოზე არ ყოფილა არც საქმიანი პრეზიდიუმი, არც მოხსენებები. შეკრებილები გველოდნენ ეზოში. უკრავდა მუსიკა და ახალგაზრდები ცეკვავდნენ. გარშემო ისხდნენ დარბაისელი მოხუცები. უმეტესობა ძველი ცომუნისტები და ყოფილი პარტიზანებიათ, ვითხერა მაზიმ. ეს სახალხო სახლი ცნობილი იტალიელი პარტიზანის ვირჯილით სანტის სახელს ატარებს. ჩვენს გამოჩენას ტაშით შეეგებნენ. ჯგუფ-ჯგუფად შემოვუსხედით მრგვალ მაგიდებს. მაგიდებზე მაშინვე გაჩნდა მუცელგამობერილი დაწული ბოთლები „კიანტით“ და ჭიქები. გაცნობა ლვინის სმით დაიწყო. ძალზე მაინტერესებდა ლვინის სმის იტალიური წესი. არავითარი დაძალება, არავითარი ჭიქის გამოცლა უკანასკნელ წვეთამდე. თვითეული სეამს, რამდენიც სურს. მხიარული განწყობილება კი ყველას ერთნაირად გვეუფლება. ლვინომ აგვიხსნა ენა და თანდათან იბერება საუბარი. კარლო ბარნი გვიწევს თარჯიმნობას. რკინიგზელი ალბერტ ჩიოლი აღტაცებით მიამბობს, თუ როგორ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, ხოლო ლენინგრადში ხელი ჩამოართვა „თვითონ იური გაგარინს“. ჩვენს მაგა-

დასთან მოდის ტანხალალი ჰალარა კუნძა სეამს საბჭოთა ხალხის სადღეგონელოს, რომელმაც იგი გაათვავისუთლა ფაშისტურ საკონცენტრაციო განკვიდან. მასპინძლები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა აღამიანების ცხოვრებისადმი. განსაკუთრებით ბევრს მეკითხებოდნენ საქართველოზე, რადგან ჩვენს შორის ძალიან ბევრი რამ აღმოჩნდა საერთო. მეთან მქონდა ბათუმში გამოცემული წიგნი — პროფ. ნიკო ჭერიშვილის „ქართველი პარტიზანები ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“. შივუორტოდოკუმენტებიც იყო იტალიურ ენაზე. მასპინძლებმა გულით გაიხარეს, როცა შეიტყვეს, ოთხასზე მეტი ქართველი პარტიზანი იბრძოდათ იტალიაში ფაშისტების წინააღმდეგ, ხოლო ქართველთა ერთი რაზმი მუსოლინის შეპყრობაშიც იღებდა უშუალო მონაწილეობას. ზოგიერთებს სმენოდათ ეს ამბავი, პირადადაც ენასათ ქართველები.

გარიბალდიზე ჩამოვარდა სიტყვა. მოვიგონე, თუ როგორ გულმუხურგალელ თანაუგრძნობდნენ ილია ჭავჭავაძის „ივერია“ და იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობა იტალიელ პატრიოტთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. გამოჩნდნენ მოხალისებიც, რომლებიც მზად იყვნენ იარაღით ხელში ებრძოლათ გარიბალდიელთა გვერდით. ისიც ვუთხარი მათ, რომ გარიბალდის რომანი „კლელია“ დიდი ხნის წინათ ითარგმნა საქართველოში. რახან ასე გყვარებით ქართველებს ჩვენი გარიბალდი, მისი სურათი მაქვს სახლში და სამახსოვროდ მოგიძლვით, მათხერა ალბერტო ფალერინიმ. მაგრამ ჩვენ დილაადრიან მივემგზავრებოდით ფლორენციიდან და ალბერტომ ჩვემი მასამართი დაიწერა, გამოგიგზავნიო (მართლაც, დაბრუნებისთანავე მივიღე ალბერტო ფალერინისაგან ბარათი და დაპირებული საჩუქარი).

ერთი ჩვენი თანამესუფრე, პატარა, მთლად გათეთრებული მოხუცი დიდხანს შეჰყურებდა, თუ როგორ ცეკვავდნენ

ვალს იტალიელი ჭაბუკი და რუსი ჭალი-
შვალი, შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა:
— მათ დღეს გაიცნეს ერთმანეთი, მა-
გრამ შეხედეთ, როგორ შეთანხმებულად
ცვერავენ, თითქოს სავანებოდ სწავლობ-
დნენ ამ ცეკვას. აი, ასე უნდა ესმოდეთ
ერთმანეთის ყველა ეროვნების ადამია-
ნებს, ასე შეთანხმებული და ლამაზი უნ-
და იყოს მათი ურთიერთობა.

არასოდეს დამავიწყდება, როცა რე-
ვოლვერის მაგვარი სანთებელათი მოუკი-
და დანილო მაზის სიგარეტს თბილისელ-
შა სტუდენტმა გია გოყიელმა, მან სე-
რიოზულად თქვა:

— რა კარგი იქნება, რომ მალე მხო-
ლოდ ასეთი იარაღი დარჩეს მთელ მსო-
ფლიოში.

თთქოს არ ეგუებოდა ამ მომხიბვლელ
სალამოს, დანტესა და ლეონარდო და
ვინჩის, მიქელ-ანჯელოსა და როსინის
ჭალაქს იარაღისა და ნგრევის ხესნება,
მაგრამ ამ ოციოდე წლის წინათ ორი-
ვემ — ფლორენციამაც და დანილო მა-
ზიმაც საკმაოდ იწვნიეს ომის სუსხი.

* * *

ძეველთაგანვე ნათქვამია, რომ ყველა
გზა რომისაკენ მიემართდება. და თუ რო-
მელიმე გზა მართლა მიიყვანს შეზავრს
ამ „მარალიულ ჭალაქში“, კიდევ ათასამ-
დე გზა და ამდენივე თავსატეხი პრობ-
ლემა წილიკრება მის წინაშე — საით,
რომელ მხარეს წავიდეს, რა ნახოს პირ-
ველად და, საერთოდ, რა შეიძლება გაი-
მეტოს თვალშეუელებლად, რადგან ოთხ-
ხუთ დღეში ყველგან მისვლა და ყველა-
ფრის ნახვა შეუძლებელია.

რომის ემბლემა კოლიზეუმია. იგი
ერთდროულად გამოხატავს სიძველეს, სი-
დიდეს და სიდიადეს. ზუსტად არავინ
იცის, თუ რატომ დაერქვა ამ ელიფსისე-
ბურ ამფითეატრს კოლიზეუმი — სიდი-
დისათვის („კოლოსეუ“—კოლოსალური),
თუ იმიტომ, რომ მის მახლობლად იდეს-
დაც იდგა ნერონის ვეებერთელა ჭანდა-
კვბა.

ვისმენ ვიდის საუბარს. უნგბლივთ ვნეუ-

ჭავ თვალებს და თითქოს ცოცხლდება
გონებაში ბავშვობიდან ლრმად აღეჭ-
დილი ჭოვანიოლის „სპარტაკის“ სურა-
თები: ფარხმალინი გლადიატორები, მა-
სხლით მორწყული არენა, დაჭრილთა
განწირული მშერა... რომაელ მონათა მო-
მავალი ბელადი, მამაცი და ბავშვივით
გულჩვილი სპარტაკი ვედრებით შესცემა-
რის არადამიანურად მოლრიალე ამფი-
თეატრს. იგი მოითხოვს, რომ სპარტაკმა
უკანასკნელი, სასიკვდილო ლახვარი ჩას-
ცეს მისსავე ამნანაგს. ყველაფერი უნდა
გადაწყვიტოს დიქტატორის ზეალმართუ-
ლმა თუ ქვემოთ დაშვებულმა ცერაოთ-
მა...

ძალზე გაგვიკირდა, როცა ჩვენთან
ლეგენდად ქცეულ სპარტაკზე თით-
ქმის არაფერია შემორჩენილი რომში —
არც ერთი სურათი, არც ერთი ქეგლი
მაშინ, როცა უტვინო და სისხლისმსმელი
დაქტატორებიც კი უკვდავყოფილი არიან
გამოჩენილ დიალსტატთა მიერ შექმნილ
ტილოებზე და მარმარილოში.

ჩვენ ყველაზე დიდხანს (ხუთი დღე)
დავყავით რომში, მაგრამ რატომლაც ყვე-
ლაზე ნაკლებად დამახახსოვრდა იგი. მა-
რთებულად შენიშნა დიდმა გოეთემ,
„რაც უფრო შორს გაღისხი ზღვში, მით
უფრო ლრმავდება იგი. ასევე შეიძლება
ითქვას რომჟეც“. შეიძლება იმიტომაც,
რომ უკვე საკმაოდ გაღავილალეთ, გაგი-
ჭირდა ამ ვეება ჭალაქის მთლიანი აღ-
ქმა, მაგრამ მისი ცალკეული აღგიღები
ლრმად აღიბეჭდა მეხსიერებაში. ჩვენ
გმირულად ვიტანდით უძილობას, რომ
რამდენიმე საათით მეტხანს დავრჩენილი-
ყვით კორსოზე (რომის მთავარი ქუჩა)
და მის ორივე თავში მდებარე ჰიაცა დელ
პოპოლოსა და ვენეციის მოედანზე. სა-
ერთოდ, რომის აღქმა ძნელია ფანტაზი-
ის, წარმოდგენის გარეშე. ცოტა რამ მისი
წარსულიდანაც უნდა იცოდე, თუ არა
მნახველი იქნება შეცდომაშიც შეიყვა-
ნოს პატარა მოედანმა, რომელიც „ყვავე-
ლების მინდვრის“ სახელს ატარებს. ერთ
დროს კი პაპის მთავრობა აქ სჭიდა გრე-

ტიკოსებს, აქ გამუდმებით იდგა სახრჩო-ბელა და გიზგიზებდა კოცონები. ამ მო-ედანე 1600 წელს დაწვეს. ჭორდანობრუნო.

რომში ყველაზე მეტად იგრძნობა ეკლესიის მსახურთა სმრავლე. ყველა ნაბიჯზე მოჩანს შავი, ლურჯი, ყავისფერი და ალისფერი ანაფორები. სახედამანებულ ბერებს უკან დასდევენ სულ ნორჩი ყმა-წვილები. იტალიელი ბერები სრულებით არ ჰგვანან ეკლესიის მსახურთ ჩვენს წარმოდგენაში. თავდაპირველად გვივირდა, როცა ვხედავდით, თუ როგორი სისწრაფით დააქროლებდნენ ანაფორაკეცილი კაპუცინები მოტოროლერებს ვიქ-ტორ ემანუელის პროსპექტზე.

რომი თანამედროვე ქალაქის იერს იღებს დამით, როცა სიძველეთა ქეგლები სიბნელეში იძირება და ქუჩებს რეკლამებისა და მაღაზიათა ვიტრინების შუქი აჩირალდებას. რომაელთა უმეტესობა კაფეებსა და ბარებში ატარებს საღამოს. ისინი სათობით უსხედან პირდაპირ ქუჩებში გამოდგმულ მრგვალ მაგიდებს და შეექცევან მსუბუქ ვახშამს, შავ ყავას და გამაგრილებელ სასმელებს. ბარებში ტელევიზორები დგას და ეს მეოცე საუკუნის ყველაზე პოპულარული გასართობი სწერს წიგნის, გაზეთისა და კინოს მაგივრობას. ჩა თქმა უნდა, რომში შესანიშნავად მოწყობილი კინოთეატრებია. ერთერთ მათგანში ღმის სეანსებზე ავტომატურად ორ წუთში გადაიხადა მთელი სახურავი. დარბაზებში, როგორც წესი, თამბაქოს ეწევიან. სეანსები განუწყვეტლივ მისდევს ერთმანეთს. ეკრანებზე ჭარბობს განგსტერულ-კაბოური ფილმები და ეგრეთწოდებული „სტრატიზები“, რომლებიც უჩვენებენ ვარიეტეებისა და კაბარეების პორნოგრაფიულ ცხოვრებას. ასეთ ფილმებს თვითონ იტალიელები ათვალისწინებით უყურებენ, კინოთეატრებში დიდი ხალვათობაა.

იტალიაში გამგზავრების წინ ერთმა ჩემმა თბილისელმა მეგობარმა — მხატვარმა გიგი ცერაძემ, რომელმაც მანამ-

დე იმოგზაურა ამ ქვეყანაში, მითხრა, თუ ბედმა გაგილიმა და რომში ყოფნისას „აიდას“ წარმოადგენენ კარაკალის თეატრში, უთუოდ დაესწარო, დაგვირჩია იღბალი. მრავალჯერ და ბევრგან მინახავს „აიდა“, მაგრამ ასეოთ არასოდეს. რომის საოცერო თეატრი ზაფხულობით ღია ცის ქვეშ, კარაკალის თეატრმებში უჩვენებს სპექტაკლებს. სცენა მოწყობილია ანტიკური ნანგრევებისა და კვიპაროსების ფონზე. რამდენიმე ათასი მაყურებელი ამფითეატრში ზის. ვარსკვლავებით გაჩახახებული ცა და მთვარის შუქი აორკეცებს შთაბეჭდილებას. მომღერალთა ხმებს აძლიერებენ მიკროფონები. საუცხოოდ ულერს სამასკაციანი გუნდი და ორკესტრი. წარმტაცია მოცეკვავეთა ხელოვნება. სცენაზე დაბორცებენ ორკუზიანი აქლებები. გამარჯვებული რადამესი თოხცენიანი ეტლით შემოგრიალდება მოედანზე... ლიდებული, დაუვიწყარი სანახაობაა.

ჩვენ რომიდან მივემგზავრებოდით შთაბეჭდილებებით და ნანახ-მოსმენილით დაღლილნი და გონებადამძიმებულნი. ჩვენი მარშრუტი მიემართებოდა სამხრეთი-საკენ, სადაც გველოდა ნეაპოლი, პომპეა და სამდღიანი დასვენება სორენტოსა და კაპრის ლაუგარდოვან სანაპიროზე.

* * *

— ჩვენთან ამბობენ, იხილავ ნეაპოლს და შემდეგ შეგიძლია მოკვდეო, — გვითხრა ავტობუსის მძღოლმა და იმავე წუთს თითქოს ვეება ფარდა გადაიწიაო, მოსახვევის იქით გამოჩნდა მთელი ნეაპოლის თვალწარმტაცი პანორამა, შორს გატყორცნილი სანაპირო, ანდებით ჩახერგილი ყურე.

მაგრამ, როგორც კი დავეშვით ქვემოთ, და ის იყო სანაპიროზე უნდა გავსულიყავით, მძღოლმა რაღაც უთხრა ლენას, მანაც თანხმობის ნიშნალ თავი დაუქნია და ავტობუსში მკვეთრად მოუხვია მარცხივი. თითქოს კიდევ ერთი ფარდა გადაიხსნაო, ჩვენ აღმოვჩნდით სულ სხვა ნეაპოლში, ქალაქში, რომელსაც აქამდე ვიცნობდით მოგზაურთა ჩანაწერებით,

იტალიულ ნეორეალისტთა ფილმებითა და ედუარდო და ფილიპოს ჭეშმარიტად ხალხური, ეროვნული თეატრით: ჭელებური, ვიწრო ქუჩები მხოლოდ ნეაპოლისათვის დამახსიათებელი სურათებით. სახლების წინ გამოფენილი მრეცავი ქალები და ქუჩების გარდი-გარდმო გაკალთი თეთრეული. ნარეცხი წყალი იღვრება პირდაპირ ქუჩაში. უძრავი ბავშვი ფუსფუქებს გარშემო. მეწვრილმანეთა დახლებზე ერთმანეთშია არეული სანიგავე და სამრეწველო საქონელი. აქამდე არასოდეს არ აღწევს მზის სხივები. ეს შავგვრემანი მამაკაცები ირუჩებან ზღვზე, რომელიც მათ კვებავს.

ჩვენ შევედით ნეაპოლში „კულისებიდან“.

ავტობუსი ჩერდება ერთ-ერთი კაფეს წინ. აქ გველოდება სადილი. გადმოვედით თუ არა, მაშინვე აღმოვჩნდით სათკრად ცნობისმოყვარე შავტუხა ბავშვებში. ვურიგებთ სამკერდე ნიშნებს. ისინი სადღაც გარბიან და თითოს მოჰყავს ათამდე ამხანაგი. ძლივს ვარღვევთ გათ რკალს და შევდივართ კაფეში.

ნეაპოლი განთქმულია მაკარონის წარმოებით და, რა თქმა უნდა, აქაც სპაგეტით გვიმასპინძლდებიან. საიდნლაც გვესმის ვიოლინოს ნაზი ჰანგები. მოხუცა კაცი, მუსიკოსის შთაგონებული მზერითა და მხრებზე დაყრილი ჭალარა თმებით, უახლოვდება ჩვენს მაგიდას და იწყებს სიმღერას. „სანტა ლუჩია!“ ჩვენ უხერხულობას ვგრძნობთ, რომ ეს ღროული კაცი გვადგას თვაზე და აღარ ვაცით, რა ვქნათ — მივიპატიუროთ თუ განვაგრძოთ სადილობა. ყოველ შემთხვევაში, გარშემო მსხლომნი მას არ აქცევენ არავითარ ყურადღებას. მოხუცი ამთავრებს სიმღერას და ლიმილით შემოგვცერის. ვიღებ ჭიბიდან რამდენიმე ლირას და უხერხულად ვუწვდი მას. მოხუცი უარის ნიშანად თავს აქნევს და მთითებს მკერდზე. ცოტათი გულს მომეშვა. მაშინვე ვიხსნი ნიშანს კოსმოსას გამოხატულებით და ვუწვდი მას. „სპასიბო“, — იღმება მოხუცი, ჭდება კუთ-

ხეში და კიდევ დიდხანს გვიცერის. შეცევურებ მას და ვფერობ: იქნებ, ამ მოხუცს უსმენდა თვით გორკი გვიცის გარეშე. ვეღბა ავტობუსმა ძლივს დააღწია თავი დახლართულ ქუჩებს და უცირად აღმოვჩნდით სულ სხვა ნეაპოლში: ისტორიული კოშებითა და მილიონერთა მარმარილოს სასახლეებით ნაგები მუნიციპალიტეტის მოედანი. უცნაური სანახაობა იპყრობს ყურადღებას: ანჯუის ჰერცოგის ციხე-სიმაგრის წინ ირევიან ქალ-ვაჟთა წყვილები შავი ფრაკებითა და თეთრი საქორწილო კაბებითა და ფარტებით. პირველად ვვეგონა, რომ იღებენ კინოფილმს. მძლოლი გვიხსნის, რომ ესენი ახლად გვარდაწერილები არიან. თურმე კვირადღეობით ასე კოლექტიურად იწერენ ჯვარს ნეაპოლში. დავთვალეთ თორმეტი წყვილი.

ნეაპოლში ყველგან ისმის „სანტა ლუჩია“. ასე ეწოდება სანაბიროსაც, რომლითაც ზღვასთან თავდება გორაკების ამფითეატრი. აქ მცირე ხნით ვჩერდებით, რათა დავტკბეთ მართლაც რომ თვალ-წარმტაცი სანახაობით. მთელი სანაბირო მოფენილია სუვენირებით მოვაჭრენით. ჭარბობს ნაირნაირი ნაკეთობა ნია უარებისაგან. ხნიერმა ნეაპოლელმა ლოკოკინები შემოგვთავაზა. რა თქმა უნდა, ყველამ უარი თქვა. მასპინძელს გაუკვირდა, ნუთუ ზღვასთან არც ერთი არ ცხოვრობთო. წამომცდა, მე ზღვისპირა ქალაქიდან ვარ-მეოქვი. მაშინვე ყველაზე დიდი ნიუარა გახსნა, ლიმონის წვენი დააწვეთა ლოკოკინას და გამომიწოდა. რაღაც ვიზამდი, ზღვისპირელთა სოლიდარიტას ნიშნად გიანელით ის ლოკოკინა და საკმაოდ მეგემრიელა.

ამ ღრის ნავი მოგვადგა. მენავემ შაგ უურეში აღმართული ციხე-კოშეისაკენ მიგვითითა და შემოგვთავაზა, იქითენ გასეირნებას ხომ არ ინებებთო. უდრობა მოვიძიზეზეთ. ლოკოკინების გამზიდველმა — უმშერტომ გვითხრა, ამ კოშეში, რომელსაც უცნაური ფორმისათვის „კვერცხის ციხე-სიმაგრეს“ ეძახიან,

თავის ცნობილ ღრეობებს მართავდა რო-
მაჟელი ფეოდალი ლეკულაო. ისიც დას-
ძინა, ბევრი გამოჩენილი ადამიანი და-
იღუპა იქ, მათ შორის კომპანელაცო.

გავდივართ ნეაპოლიტან და სანაპიროს
გასწვრივ სორენტოსაკენ მივემართებით.
მხარემარცხნივ აზიდული ოდესლაც მრის-
ხანე და ცეცხლისმფრქვეველი, ამჟამად
კი საოცრად უწყინარი, კონუსისმაგარი
ვეჭუვი. ცხრამეტი სასკუნის წინათ მის-
მა ლავშმ იმსხვერპლა სამი ანტიკური ქა-
ლაქი. ჩეენ ვინანულებთ ერთ-ერთ მათ-
განს — გაქვავებულ პომპეის.

* * *

...სორენტო! ეს პატარა ქალაქი ყვე-
ლს ხიბლავს თავისი ადგილმდებარეო-
ბითა და შეუდარებელი სილამაზით, მაგ-
რამ თვით სორენტოსა და სორენტოე-
ლებს ვერაფრით გააოცებთ. მათ უნხავთ
ბევრი გამოჩენილი ადამიანი — ბაირონი
და ვალტერ სკოტი, ვაგნერი და ალექ-
სანდრე დიუმა, ვერდი და ლინგფელო,
კუპერი და ოსკარ უაილდი, ნიცშე და
გრიგი, სტენდალი და ბიჩერ-სტოუ...

სორენტოში ცხოვრობდა და ქმნიდა
თავის შესანიშნავ „იტალიურ ზღაპრებს“
მაქსიმ გორგი.

სორენტომ ნახა დიდი ლენინი.

კუნძულ კაპრჩე, რომელიც სორენტო-
დან დახლოებით საათნახევრის საგალ-
ზეა, ვეიჩენენს სახლი, სადაც ცხოვრობ-
და მაქსიმ გორგი და სადაც დიდ პრო-
ლეტარულ მწერალს ესტუმრა ვლადიმერ
ილიას-ძე ლენინი.

მოელი მსოფლიოს ტურისტები ეტა-
ნებიან ამ კუთხეს. ამიტომა, რომ აქ
ყველაფერს ცეცხლის ფასი ადევს. იგა-
ვე სასმელი ან ნივთი, მაგალითად, რო-
მისაგან განსხვავებით, კაპრჩე სამშაგად
და ზოგჯერ მეტად ფასობს!

ყველა სანაბაობიდან განსაკუთრებით
დაგვამახსოვრდა კაპრის სახელგანთქმუ-
ლი „ცისფერი მღვიმე“, რომელშიც შე-
ვეღით ნავის ფსკერზე გაწოლილები.
მღვიმეში ვიზილეთ ბუნების ისეთი საკუ-
ვირველება, ფერთა ისეთი ზღაპრულა-

გამა, რომლის გაღმოცემა არ ძალუმს
არც სიტყვას, არც ფოტოსურას და არც
ფერად ფილმს.

სორენტოში ჩეენი ჯეუფი ცნობილდა
პატარა პანსიონატში. რომელსაც ჰქვია
„კაპცუინები“. სასტუმროს პატრონს სი-
ნიორ სალვადორეს ეს შენობა უქირავე-
ბია ვკლესის მსახურთაგან და სახვლიც
მათ პატივსაცემად შეურჩმევია. ჩეენს
გარდა, აქ ცხოვრობენ ფრანგები, ინგლი-
სელები, გერმანელები... სალვადორე ყო-
ველოვის ვერ უსრულებს კაპრიზებს
მღიდიარ და თავნება ტურისტებს და
ჩეენთან ჩივილით იოხებს გულს. სალ-
ვადორეს შეიღებულიანი ოჯახი ემსახუ-
რება მთელ სასტუმროს. სხვების დასა-
ქირავებლად სახსრები არ ჰყოფნით და
წელზე ფეხს იდგამენ, როგორშე თავი
რომ გაიტანონ. ბარტოლო ჩივის, რომ
ძალში უძნელება მღიდრული ოტალე-
ბის მეტოქეობა.

ერთ სალამოს, პომპეიდან დაბრუნე-
ბულნი, პოლში ვიზივართ და ვისკენებთ.
გაიღო კარები და პირდაპირ ჩეენკენ გა-
მოემართა ზნიერი სანდომინი ქალი. უკან
ტანმორჩილი შავგვრემანი კაცი მოჟყვე-
ბოდა. ქალი მოგვიახლოვდა, ერთხანს
ფაიტირა და შემდეგ წყნარად ჭარბოთქ-
ჭა: — „გამარჯობათ. მე რუსი ვარ“. ეს
თქვა და აღელვებული საგარემლზე ჩა-
მოგდა. მამაკაცი, ალბათ, ქმარი, იდგა და
იმიღლით შემოგვცეროდა.

შემდგებ, ცოტათი რომ დამშვიდდა,
ქალი გავეცნო და გვიამბო თავისი ის-
ტორია. იაბლონსკები იღესაში ცხოვ-
რობდნენ. ოცდაათიან წლებში ლენიშ გა-
იცნო ნეაპოლიტან ჩამოსული გემის კა-
პიტანი და ცოლად გაჟყვა მას. შემდეგ
კაპიტანი გარდაიცვალა და ლენი ხელ-
მეორედ გათხოვდა ნეაპოლელ ნეასაღ-
გურის ჩინონიკებე, იმ კაცზე, რომელიც
მას თან ახლდა.

— წუხელ ჩეენი სახლის წინ მომესმა
რუსულ ლაპარაკი. — გვითხრა მან. —
მოელი ღამე არ მიძინია. მე ხომ თით-
ქმის ხუთი წელია არც ერთ რუსს არ

შევხელრივარ. ამ დილით შევიტყვებოდა თქვენ „კაპუცინებში“ ცხოვრობთ.

შემდეგ მათ შინ მიგვიპატიუეს. სასტუმროს მახლობლად ცხოვრობდნენ თოხსართულინ სახლში. მაშინვე ვიგრძენით, რომ მოვხდით საკმაოდ შეძლებულ ოქაზში. მასპინძლები დაუფარავი სამაყით გვიჩენებდნენ თვით სახლკარს. დაგვალევინეს საკუთარ ვენახში მოწეული ღვინო. შემდეგ დაგვათვალიერებინეს ციტრუსოვანთა და ხეხილის ბალი, ზურები.

მაგრამ ამ ერთგვარ თვითქმაყოფილებას იქით დიასახლისს ვამჩნევდით ნაღველს, სევდას მიტოვებულ სამშობლოზე. როცა სხვა სუვენირებთან ერთად მე მათ ვუსახსოვრე ფოტოალბომი თბილის ხედებით (სხვათ შორის, ელენე სტანისლავოვნა ნაყოფია თბილისშიც და ბათუმშიც), დიასახლისმა კარალიდან გაღმოალავა რუსული წიგნები, გრამიშირფიტები, „მატრიოშკები“ და, ასე გასინჯეთ, ომისდროინდელი წითელარმიული პაპიროსის კოლოფებიც კი. ერთი სიტყვია, ყველაფერი, რაც მას სამშობლოს აგონებს.

ფრთხილად შევეკითხე დიასახლისს, ნუთუ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გაგიწიათ გულმა სამშობლოსაკენ-მეტე.

— მე ამაზე გოცნებობ ყოველ წელს. ხელსაც არაფერი გვიშლის, მაგრამ... — ელენე სტანისლავოვნა ჩაფიქრდა და დასძინა: — ჩემთვის კიდევ უფრო მძიმე იქნება ხელმეორედ განშორება სამშობლოსთან.

...უკანასკნელ საღამოს გვიანობამდე ვისხედით სასტუმროს მინიატურულ ბალში და ვტებებოდით ზოვიდან ამოზიდული კაპრის შუქთა ციმციმით. ჩვენთან ერთად იყო ბარტოლო სალვალორე და ჩვენ ვსაუბრობდით ორ კვირაში ნასწავლ იტალიურ ენაზე. ასეთი ღმერთი თავისთვალი ითხოვდა მუსიკას და ვაკიყითხეთ, ტელევიზორი ან რადიომიმღები

ხომ არ მოგეძებნებათ სასტუმროში-თქო. ბარტოლომ მოგვიბოდაშა, აქ ტურისტები დასასვენებლად ჩამოდიან და სიწყის არ ამობინებენ. და კადეც... აღარ დაგვიმალა, ტელევიზორი და რადიომიმღებიც ძალიან ძვირი ლირსო.

შემდეგ სალვალორე სადღაც წვიდა და მცირე ხნის შემდეგ ჰოლიდან შემოგვესმა რიოალის ხმა და ვიგონას სიმღერა: „დაბრუნდი სორენტოში!“

იქითკენ გავემართეთ. ვხედავთ, რომ ას უზის თვით ბარტოლო და მის აკმანებენტზე მღერის მასპინძლის ჭალიშვილი — თორმეტი წლის ნია.

სალვალორე ვაზერ გამდოგვებავდა და გაგვილიმებდა. ვგრძნობდით, ეს იმპროვიზებული კონცერტი მან მოაწყო ჩვენს პატივსაცემად.

მღეროდა ნია გატაცებით, მთელი გრძნობით ღა მისი სიმღერები, რომლებიც ჩვენ მანმდე მრავალჯერ მოგვემინა, მით უფრო მომხიბვლელად უდერდა აქ, სორენტოში, საიდანაც ისინი მოედო მთელ ქვეყანას.

სასტუმროში ისმოდა მხოლოდ ნიას სიმღერა. აქეთკენ მოემართებოდნენ სასტუმროს ბინადარნი და ყველანი — ფრანგები, რუსები, გერმანელები, ინგლისელები, ქართველები, შევდები, იტალიელები — ვულიმოლით ერთმანეთს და, ალბათ, ყველანი გუნებაში თავის ხმას აყოლებდა ნიას წყრიალა ხმას.

შემდეგ ვმღეროდით ყველა და არავინ არ ფექტობდა ძალზე.

მეზობელ სახლში, ალბათ, არ ეძინა ელენე სტანისლავოვნას და თრთოლვით ისმენდა ჩვენებურ „მოსკოვურ საღამოებსა“ და „სულივოს“.

* * *

მეორე დილით დავტოვეთ სორენტო. იმავე გზით, მხოლოდ ამჯერად უკან, სამხრეთიდან ჩრდილოეთით, გადავსერეთ იტალია. თვალის ერთი გადავლებით ვეთხოვებოდით ქალაქებს, საღაც ჩვენ დავყავით დაუვიწყარი ორი კვი-

რა — ნეაპოლი, რომი, ფლორენცია, ვენეცია, ბოლონია...

საზღვრისპირა თარგიზიოში გამოგვემ-
შვილობა ჩვენი ლენა. ეს პატარა ქალი
იდგა სადგურის ბაქანზე, დიდხანს გვი-
ქნევდა ხელს და მის შავ თვალებში
ბრწყინვდა ცრემლი.

ალპების გვირაბებში საშინელი სისწ-
რაფით მიჰქროდა მატარებელი და თვი-
თეული ჩვენგანი ფიქრობდა იტალიაში
ნანახსა და განცდილზე.

და ჩვენ კიდევ ვფიქრობდით იმაზე,
რაც უნდა გვენხა და ვერ ვნახეთ ამ
კონტრასტების ქვეყანაში.

ჩვენ ვერ შეეხვდით ჩოჩარიის ხრიო-
კებზე მცხოვრებ გლუსეის და მხოლოდ
სპასობლოში დაბრუნების შემდეგ შე-
ვიტყვეთ, სწორედ იმ ხანებში იქაურობა
მოცული იყო გაფიცებითა და გლეხთა
გამოსხლებით.

ჩვენ არ ვყოფილვართ სამხრეთის რა-
იონებში და აღშფოთებული ვისშენ-
დით ნეაპოლიდან დამგზავრებული პა-
ლერმოელის ნაამბობს სიცილიელ „მაფა-
იათა“ სისხლიან თარეშზე, რომლის ალა-
გმვა ვერაფრით ვერ მოახერხს იტალიის
მთავრობაში.

ჩვენ არ გვინახავს ვენეცია შემოდვეუ-
ბის წვიმების დროს, როცა წყლით იტენ-
ბა ქვედა სართულებში მცხოვრებთა ბი-
ნები.

ჩვენ არც იმ აღილებში ვიყავით. სა-
დაც იტალიელებთან ერთად სისხლს
ღვრიდნენ ფაშისტთა წინააღმდეგ მებრ-
ძოლი საქართველოს შეილები.

კიდევ ბევრი რამ არ გვინახავს იტა-
ლიაში, რასაც, სამწუხაროდ, არ ითვა-
ლისწინებდა ჩვენი ტურისტული მარშ-
რუტი.

...ალპებში მიჰქროდა მატარებელი და
ბორბლების დაგდაგში თითქოს გვესმო-
და სალვადორეს გოგონას ნიას სიმღე-
რა — „დაბრუნდი სორენტოში“... ეს სი-
მღერა კვლავ გვეპტიფებოდა იტალიაში
და, თუ ჩვენ ისევ ვეწვევით იტალიას,
ძალიან გვინდა, ვნახოთ ყოველივე, რაც
არ გვინახავს და კიდევ ის, რომ ეს ქვე-
ყანა იყოს უკეთესი, ვიდრე ახლაა.

რომში არის შადრევანი, რომელშიც
კველა, ვისაც სურს კვლავ დაბრუნდეს
იტალიაში, ტრადიციულად აგდებს მო-
ნეტებს.

ჩვენც ჩავაგდეთ მონეტები ამ შალრე-
ვანში.



გრიგოლ ბაბილონი

განუხრელი კულტურული აღმაპლობის გზები

ოცი წელი გავიდა საბჭოთა კავშირ-ჩეხისლოვაკიის მეგობრობის, ურთი-ერთდახმარებისა და ომისშემდგომი თა-ნაშრომლობის ხელშეკრულების დადე-ბის დღიდან, რომელმაც უდიდესი რო-ლი შეასრულა ჩეხი და სლოვაკი ხალ-ხების ცხოვრებაში.

1945 წლის 9 მაისს საბჭოთა კავშირის მიერ ფაშისტურ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვების შედეგად ჩეხისლოვაკიის ხალხებმა მიიღეს თავისუფლება და გა-ნახორციელეს მთელი რიგი დემოკრატი-ული გარდაქმნები. ეს გარდაქმნები წა-რმოებდა პროლეტარიატსა და ბურჟუა-ზიას შორის პოლიტიკური ძალაუფლე-ბისათვის შეუპოვარი ბრძოლის ვითა-რებაში, რაც დასრულდა 1948 წლის თე-ბერვალში პროლეტარიატის ბრწყინვალე გამარჯვებით. ჩეხისლოვაკიის მშრო-მელებმა თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადაჭრით უკუგდეს რეაქციის ყოველგვარი ცდა აღედგინა

კაპიტალიზმი და გზა გაიკაფეს სოციალი-ზმის მშენებლობისაკენ.

სახალხო მეურნეობის სოციალისტურ-მა გარდაქმნაშ მოითხოვა კვალიფიცი-ური კადრების მომზადება, ახალი ინტე-ლიგენციის შექმნა, რისთვისაც საჭირო-იყო სახალხო განათლების გარდაქმნა.

ჩეხისლოვაკიის პროგრესული მასწავ-ლებლობა ჯერ კიდევ ომამდე დიდი წინთ-ადრე იბრძოდა სკოლის დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნისათვის, მაგრამ ამაოდ. სახალხო განათლების ძირეული გარდაქმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1948 წლის თებერვლიდან — რეაქციაზე საბოლოო გამარჯვების შემდეგ. 1948 წლის 21 ივნისს ეროვნულმა კრებამ მი-იღო კანონი ერთიანი სკოლის შემოღე-ბის შესახებ. ამ კანონით ჩეხისლოვაკი-აში შემოღებულია სავალდებულო და უფასო სწავლება ზოგადსაგანმანათლებ-ლო რეაქციან სკოლაში. რვაწლიან სკო-ლებთან ერთად არსებობენ თერთმეტ-

წლიანი და საშუალო პროფესიული სკოლები, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებელები. იმ ბავშვებისათვის, რომელთა მშობლები დღით დაკავებული არიან საზოგადოებრივი შრომა-საქმიანობით, სკოლების უმრავლესობაში — შექმნილია გახანგრძლივებული დღის კლასები. გარდა ამისა, შექმნილია მთელი რიგი სალმოს სკოლები და კურსები მუშა და გლეხი ახალგაზრდობისათვის, სადაც ისინი იღებენ საშუალო განათლებას. ფართოდაა განვითარებული დაუსწრებელი საშუალო და უმაღლესი სწავლებაც.

სახალხო მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად სისტემატურად იზრდება სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვი. ასე, მაგალითად, თუ 1937 წელს ჩეხოსლოვაკიაში იყო 1.368 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 1950 წლისათვის არსებობდა 1.839, ხოლო 1956 წელს — 9.259 სკოლა, კ. ი. დაახლოებით შვიდგურ მცტი, ვიზურე 1937 წელს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სხვა საკრებთან ერთად ისწავლება რუსული ენა, და სსრ კავშირის კონსტიტუცია.

გარდა სკოლებისა, რუსული ენის შესწავლა წარმოებს სპეციალურ სახალხო კურსებზე. მარტო ერთ — 1955 წელს სახალხო კურსებზე ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, სასოფლო-სამეურნეო კომპერატივებში რუსულ ენას სწავლობდა 216 ათასი კაცი.

სახალხო განათლების მნიშვნელოვან ჩვენს წარმოადგენს სკოლამდელი აღზრდა. აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდე ჩეხოსლოვაკიაში თითქმის არ არსებობდა ბავშვთა ბაგები, 1959 წელს კი იქ მუშაობდა ორმოცი ათასი ბავშვთა ბაგი. სახელმწიფო ყოველნაირად ზრუნვს აგრეთვე საბავშვო ბალების ქსელის გაფართოებისათვის.

სწრაფი ტექნიკური გითარდება უმაღლესი განათლება. ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში იყო ცხრა უმაღლესი სასწავლებელი. 1956 წლისათვის კი მათი რიცხვი გაიზარდა ორმოცამდე. შევრ უმაღლეს

სასწავლებელთან შექმნილია საღამოს და დაუსწრებელი განყოფილება. სხვათა შორის, ცალკე არსებობს რუსული ენის ინსტიტუტი. საგულისსხვო, სტუდენტთა რაოდენობის მხრივ, კოველ 100 ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით, ჩეხოსლოვაკიას სსრ კავშირის შემდეგ მეორე აღგილი უკავია მსოფლიოში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მოზრდილ მოსახლეობაში. ამას მოწმობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნა და მისი განუხრელი გაფართოება. რესპუბლიკის უდიდესი ბიბლიოთეკაა, კომენტარის სახელმწიფო ბიბლიოთეკა. გარდა ბიბლიოთეკა-სამკიონებელოებისა, არსებობს სხვადასხვა ტაბის 380 მუზეუმი და ოცდაოთხი სამხატვრო გალერეა. მუზეუმებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პრაღის ეროვნული მუზეუმი, ეროვნული სამხატვრო გალერეა, ეროვნული ტექნიკური მუზეუმი, ლენინს, დვორუჟავისა და სხვათა მუზეუმები.

ფართოდ ვითარდება თეატრალური და მუსიკალური კულტურა. ჩეხოსლოვაკიაში არის 76 სტაციონარული თეატრი, მათ შორის თორმეტი საოპერო.

ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში 1948 წელს იყო მხოლოდ თვრამეტი თეატრი, აქედან სლოვაკიაში სამი. 1956 წელს კი სლოვაკიაში უკვე თერთმეტი დრამატული თეატრი მუშაობდა. არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფელ აღგილებშიც შექმნილია და მოქმედებს ბევრი შესანიშნავი პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივი. მარტო დედაქალაქ პრაღაში ჯერ კიდევ 1956 წლისათვის იყო 10-მდე დიდი თეატრი.

უკანასკნელ წლებში დიდად წაეიდა წინ ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფია, რომელმაც შექმნა მრავალი ცნობილი ფილმი. რესპუბლიკიაში 1955 წლისათვის იყო ოთხი ათასი სტაციონარული კინოთეატრი და ცამეტი ათასი ხმოვანი სა-

პროექტით აპარატი. პრაღაში, ბრატი-
სლავაში, ბრნოში და სხვ. მუშაობს კი-
ნოსტუდიები, ხოლო პრაღაში — კინემა-
ტოგრაფიის ინსტიტუტი. მარტი ერთ —
1954 წელს ჩეხოსლოვაკიის კინემატო-
გრაფიულმა მრეწველობამ გამოუშვა 529
დოკუმენტური და მეცნიერულ-პასულა-
რული კინოფილმი. ამ ფილმებში ასახუ-
ლია ახალი ცხოვრება, ახალი საზოგადო-
ებრივი ურთიერთობანი, ხალხთა მეგო-
ბრობა, მშვიდობისათვის ბრძოლა და
სხვ.

ასევე დიდი მიღწევებია მოპოვებული
ქვეყნის რადიოფიგაციის საქმეში. საქმა-
რისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში
ყოველ სამ-ოთხ მცხოვრებზე 1961 წელს
მოდიოდა ერთი რადიომიმღები.

სახალხო ხელისუფლება ყოველმხრივ
უწყობს ხელს ჩეხებისა და სლოვაკების
ეროვნული მუსიკალური კულტურის გა-
ნვითარებას. ჩეხოსლოვაკია ცნობილია
ბრწყინვალე მუსიკოსებით და კომპოზი-
ტორებით, რომლებიც ქმნიან შესანიშნავ
ნაწარმოებებს. მუსიკისა და ქორეოგრა-
ფიული ხელოვნებისადმი დიდი სიყვა-
რულის მაჩვენებელია ეროვნული საპე-
რო თეატრისა და სახალხო არმიის ფარ-
თოდ ცნობილი ანსამბლის შექმნა.

სწრაფად განვითარდა და აყვავდა მე-
ცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება.
ძველ ჩეხოსლოვაკიაში თითქმის არ იყო
სამეცნიერო დაწესებულებები, ხოლო
1953 წლისათვის მათი რიცხვი 48-მდე
აღწევდა, რომლებშიც მუშაობდა 1.619
შეცნიერი თანამშრომელი. 1952 წელს
შექმნა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა
აკადემია 90-მდე სამეცნიერო დაწესე-
ბულებით, რომელთაც ხელმძღვანელო-
ბებ გამოჩენილი მეცნიერები. დაარსდა
აგრძელებელი სლოვაკიის მეცნიერებათა აკა-
დემია.

ჩეხოსლოვაკიის უახლესი კულტურის
შექმნასა და მეცნიერების განვითარება-
ში დიდ როლს ასრულებს კავშირუთი-
ერთობა საბჭოთა კავშირთან, მისი კულ-
ტურის წარმომადგენლებთან. ჩეხოსლო-

ვაკიელ მეცნიერებს მჭიდრო კავშირი
აქვთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკა-
დემიასთან, რომლისგანაც ისინი ყოველ-
თვის იღებენ ძმურ დახმარებას.

დიდი ყურადღება ექვევა ლიტერატუ-
რისა და საგამომცემლო საქმის განვი-
თარებას. ასე, მაგალითად, 1959 წელს
ჩეხოსლოვაკიაში გამოიცა 4.800 წიგნი
51 მილიონი საერთო ტირაჟით, 1960
წელს კი 5.818 წიგნი 59 მილიონადე
ტირაჟით. 1955 წლისათვის ყოველ ერთ
პცხოგრებზე მოდიოდა 27 წიგნი. იგივე:
ითქმის პრესის შესახებაც. რესპუბლი-
კაში გამოდის 688 სხვადასხვა გაზეთი და
უურნალი. ამას ემატება 1.282 საფარი-
კო-საქართველო მრავალტირაჟითი გაზეთი
და 269 სასოფლო გაზეთი.

მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება
სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში ვითარ-
დება თანამედროვეობის კველაზე მოწი-
ნავე იდეების — მარქსიზმ-ლენინიზმის
იდეების საფუძველზე. მშრომელთა ფარ-
თო მასებში ბურჟუაზიული იდეოლოგიის
ყველა გავლენის აღმოფხვრისა და კო-
მუნისტური იდეების გავრცელების მიზ-
ნით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარ-
ტია აწარმოებს უღილეს მუშაობას. გან-
საკუთრებული ყურადღება ეთმობა კო-
მუნისტებისა და ყველა მშრომელის პო-
ლიტიკურ განათლებას. მრავალი ათასი
კაცი სწავლობს პოლიტსკოლებსა და
წრეებში, დამოუკიდებლად ან საღამოს
კურსებზე, სადაც ეცნობიან მარქსიზმ-
ლენიზმის კლასიკოსების ნაშრომებს,
ეუფლებან სკოლა და ჩეხოსლოვაკიის
კომუნისტური პარტიის ისტორიას. დიდი
ტირაჟით გამოიდის კ. მარქსის, ფ. ენგელ-
სის, ვ. ლენინის, ნ. ხრუშჩინის თხზუ-
ლებები.

ჩეხმა და სლოვაკია ხალხებმა შედარე-
ბით მოკლე ისტორიულ დროში მოიპო-
ვეს შესანიშნავი მიღწევები სამეურნეო,
პოლიტიკური და კულტურული ცხოვ-
რების ყველა დარგში. ახლა სოციალი-
სტურ ჩეხოსლოვაკია კულტურისა და
განათლების განვითარების მხრივ ერთ-

ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

ისე, როგორც ყველა სოციალისტურ
ქვეყანაში, ჩეხოსლოვაკიაშიც ხორცი-
ელდება დიდი ლენინის გენიალური წი-
ნასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ
მუშებისა და მშრომელი გლეხების ხე-
ლისუფლების დამყარებით, მეცნიერები-
სა და კულტურის დარგში ყველა მონა-
კოვარი, ტექნიკის ყველა სასწაული გახ-
დება საყოველთაო-სახალხო საკუთრებად

და არასოდეს კაცობრიობის გონება და
გენია არ იქნება გამოყენებული ძალა-
ღობის საშუალებად, ექსპლოტაციისა,
და ჩაგვრის საშუალებად.

სოციალისტური ჩეხოსლოვაკია საბ-
ჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრა-
ტიის მეგობრულ ქვეყნებთან ერთად
მთელ კაცობრიობას უჩვენებს ახალ,
ბედნიერი ცხოვრების შექმნის მაგა-
ლითს.



ზუგა შიდიაზვილი

სიმონ ჩიქოვანის მხატვარი აზერცხების სკეციზის შესახებ

(რამდენიმე ჯერადა)

სიმონ ჩიქოვანი თანამედროვე ქართული ლექსის ერთ-ერთი დიდოსტატია. მის მღილარ შემოქმედებას თავიდან ბოლომდე სიახლისა და ორიგინალობის შეკედი აზის. მიუხედავად იმისა, რომ ფერის ცვალება და კილოს შეცვლა დასკირდა, რათა ახლოს მოსულიყო ჩვენს დღევანდელობასთან, დღევანდელ ახალ ადამიანთან, ს. ჩიქოვანის ხმა დარჩა განუმეორებელ და ბოლომდე ორიგინალურ ტონად ქართულ პოეზიაში.

სიმონ ჩიქოვანის ისევე, როგორც ყველა კეშმარიტი ხელოვანის, შემოქმედებითი გზა არ ყოფილა სწორხაზოვანი. ხელოვანი ხომ უპირველეს ყოვლისა ადამიანია, ხოლო ადამიანი ხანდახან ცდება... ამიტომ არის, რომ ს. ჩიქოვანი არა მარტო „სიჭაბუქის ბორძივზე“ ლაპარაკობს, არამედ უფრო შორსაც მიდის და გულწრფელად მიმართავს მამულს, ხალხს:

„მეც ვახმაურე ჩემი ნაღარა,
ომას მიღებავდა განვლილი წლები,
თუ გაზაფხულიც თოვლია მახარა,
რა ვუყოთ მერე, ხანდახან ვცდები.“

ეს „ხანდახან“, უფრო სწორად, უწინ. დღეს ჩვენ ს. ჩიქოვანის გამარჯვებს უფრო ვართ მიწვეული, ვიდრე შეცდომებს.

სიმონ ჩიქოვანმა თავიდანვე „ხალხის გული გაინაშილა“ და იქვე პოვა შთაგონების უშრეტი წყარო და დღემდე არ უღალატია არც თავისი მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, არც თავისი მხატვრული კონცეფციისათვის.

სიმონ ჩიქოვანის პოეზია მრავალმხრივი და ბევრისმომცველია; გარდა გამოსახვის საშუალებათა დიდი სიახლისა, მას, როგორც მეტად თავისებურ პოეტს, ახასიათებს უაღრესად მდიდარი და ინდივიდუალური შინაგანი სამყარო.

სწორედ ეს მრავალმხრიობა, ბევრისმომცველობაა მიზეზი იმისა, რომ ს. ჩიქოვანის ლექსში ხშირად ერთდროულად გვხვდება როგორც მგზნებარე მოქალაქეობრივი პათეტიკა, ისე წმინდა სუბიექტური ხილვა მოვლენისა თუ ნივთისა, ანდა უაღრესად რთული, ფილოსოფიურ ასპექტში იყვანილი მსჯელობები. მისი ლექსი ყოველთვის მკვრივად არის შეკ-

რული და არათუ რამე ზედმეტი სტრიკნი, ზედმეტი სიტყვაც კი არ ხვდება ყურს — დანახვის მრავალფეროვნება განცდის მრავალფეროვნებას იწვევს. ლექსის კითხვისას იგრძნობა დიდი სივრცე, უსაზღვროება, პაერი...

უაღრესად თანამედროვე და მოწინავე ორგორც იდეურად, ისე მხატვრულად, მკვეთრი ინდივიდუალიზით გამოჩეული ლექსი ს. ჩიქოვანისა მოქნილია და დინამიური, როგორც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება; ინტელექტუალურია და ჯანმრთელი, როგორც ჩვენი დღევანდელი ადამიანი.

ერთი სიტყვით, ს. ჩიქოვანი რთულა აღქმების, მეტად ძნელი პოეტია და ეს, რა თქმა უნდა, აძნელებს წერას მის პოეზიაზე. ს. ჩიქოვანის ლექსების უკანასკნელ დიდ კრებულს კრიტიკოსი ადვილად ვერ მოერევა, მსგავსი პრეტენზია არც ამ მცირე წერილს გააჩნია. მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა, რამდენიმე ფრქი, ს. ჩიქოვანის ლექსებით გამოწვეული...

* * *

პლასტიკა ს. ჩიქოვანის პოეზიის ისეთი მხარეა, რომელსაც ყველა ნათლად ხედავს. პლასტიკური წარმოსახვა — ეს არის ხელოვანის უაღრესად კეთილშობილური უნარი, არა მარტო გვითჩრას, არამედ გვიჩვენს კიდევაც ის, რის შესხებაც გვესაუბრება. თავის მხრივ დაძაბულობას ქმნიან ის მიმართებები და ასლციაციები, რომელსაც წარმოსახვის საგანი იწვევს პოეტის ფანტაზიაში და შემდეგ თვით ნაწარმოებში.

არიან დიდი პოეტები, რომელთა ვირტუოზობის საფუძველი სიტყვის მიმოხრა, სიტყვის სურნელებაა და რომელთა სხვა ენაზე თარგმნა ძნელი ან, უფრო ზუსტად, შეუძლებელია, რადგან შეტად ღარიბულად გამოიყურების, როგორც კი მშობლიური ენის სტიქის მოწყვეტენ. ერთნაირად ამაღლელებელია როგორც ორიგინალში, ისე თარგმანშიც

ისეთი პოეტების შემოქმედება, რომელნიც სიტყვასთან ერთად კარგად ფლიბენ ფერისა და ხაზს, ე. ი. „არა მარტო გვეუბნებიან, არამედ გვიჩვენებიც კიდევაც...“ და რაც უფრო პოეტურია ეს „ჩვენება“, მით უფრო სრულფასოვანი იქნება იგი, რომელ ენაზეც არ უნდა ითარგმნოს (არ გვსურს ვინმემ ივიქტოს, თითქოს ამ სიტყვებით ვამცირებდეთ „სიტყვის“ პოეტებს, ანდა რამე უპირატესობას ვანიჭებდეთ „მხატვარს“ პოეტებს, — აქ, უბრალოდ, სხვა ენაზე თარგმნის ავარგიანობის „საიდუმლოებაზეა“ ლაპარაკი).

დღიდი ხანია ცნობილია, რომ სიმონ ჩიქოვანი ფერს ლექსის უმთავრეს ფაქტორად თვლის. მართლაც, თუ კარგად დავუკვირდებით, ფანა ფერი არ ქმნის ვარწყობილებას, რომლის გარეშე ლექსი აღქმა წარმოუდგენელია? ს. ჩიქოვანის შემოქმედებაში ეს სამი ფაქტორი — სიტყვა, ფერი, ხაზი — ოსტატურად არის გამთლიანებული და მისთვის ორგანულად დამახასიათებელია.

რადგან საუბარი სიტყვაზეც ჩამოვარდა, ისიც უნდა აღინიშვნოს, რომ ს. ჩიქოვანი აქაც დამახასიათებელ და განსაკუთრებულ პოზიციებზე დგას. ცნობილი ანბანია, რომ თუ მკვეთრად არ გომოქუნდა მწერლის მიმართება ენასთან, სიტყვასთან, ისე ძნელია ვილაპარაკორ მასზე, როგორც გარკვეული ფასეულობის შემოქმედზე.

როგორც შეა საუკუნეების ოქროშედელი ძვირფას ქვას, როგორც არქიტექტორი შუშასა და ბეტონს, ისე ეპურობა ს. ჩიქოვანი ქართულ ენას, ანდა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვათ, რომ ალქიმიკოსის ფანატიკური ექსტაზით ეკიდება იგი სიტყვას. უბრალო, ხშირად ერთი შეხედვით მეტისმეტად უფროულ სიტყვას ს. ჩიქოვანი ურთულესი პოე-

ტური ცნებების გამოსახატავად ხშარობს და ოქამიკუსებისავან განსხვავებით იშ- გიათად ცდება თავის ექსპერიმენტებში.

* * *

„ფეტქ კენკავლნენ სულში
ჭიწილები...“

ეს არის ერთი სტრიქონი „ფიროსმა- ნის ღამეებიდან“.

როდესაც მსგავს გამოთქმას ჭაწყლე- ბი, არ შეიძლება არ დაფიქრდე იმაზე, თუ რა უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს პოეზიას, თუ რამდენად თვით- მყოფი (სულერთაა, დიდი თუ საშუალო, გთავარია — თვითმყოფი!) შეიძლება იყოს მწერალი. მწუხარების განცდა ათასაირად გამოხატულა ხელოვნებაში, თითქოს როგორდა შეიძლება ამ გრძნობის გადმოცემა სიტყვიერ პლატიკაში, მაგ- რაც უცებ —

„ფეტქ კენკავლნენ სულში
ჭიწილები!“

და ეს გამონაკლისი კი არ არის — ს. ჩი- ქვანის პოეზია თავიდან ბოლომდე ასე- თი ორიგინალური და სურათოვანია.

აზრის ჩიქვანისეულ გადმოცემაში არის რაღაც მათემატიკური პრინციპი — ერთი საგანი ან ცნება ხსნის მეორეს, მეორე — მესამეს და ა. შ. მაგალითად, წვიმა სულ ორ სტრიქონში:

„წვეთი წყდება თუ პინევა ფეტვი,
თუ ფრთის შრიალი მოუნდა
არწივს...“

ორი მეტად რეალისტური და პოეტური ასოციაცია, ერთი ხილვით —

„წვეთი წყდება თუ პინევა ფეტვი“, მეორე სმენით —

„თუ ფრთის შრიალი მოუნდა
არწივს“. ზოგიერთს მსგავსი განზოგადება პოე-

ტური სახისა უარყოფითად მიჩნია, ზო- გი ამას კოსმიურობას უწოდებს აგრეთ- ვე უარყოფითი მნიშვნელობით. სინამდ- ვილები აქ საქმე გვაქვს მკვეთრ პოეტურ ხილვებთან, უარესად მგრძნობიარე პო- ეტურ თვალთან და სმენასთან, ურობ-

ლისოდაც წარმოუდგენელია ნამდვილი პოეზია.

ამ წერილის დასაწყისში ვიხმარე არც თუ მთლად ზუსტი გამოთქმა — „მნელი პოეტი“. აქ საშუალება გვერდევა დავა- ზუსტოთ იგი. მთელი სიძნელე ს. ჩიქვანის პოეზიისა სხვა, უკვე გარკვეულ ფაქტორებთან ერთად, იქმნება კიდევ ერ- თი შისვის დამახასიათებელი თვისე- ბითაც. კერძოდ, არის მოვლენა, არის სა- განი, რომელიც მთავარია და რომლის გარშემო თავს იყრიან სხვა საგნები თუ მოვლენები, რომლებიც ხსნიან, აზუს- ტებენ და ამთავრებენ მას. მეტიც, ს. ჩი- ქვანი თვითონ საგანშივე პოულობს სულ სხვა ნივთს, რომელსაც შემდეგ გვერდში ამოუყენებს მთავარს და ამით კიდევ უფრო ამძაფრებს, მეტ დინამიკა- სა და ექსპლესიას აძლევს აღქმის მო- მენტს (დაახლოებით იგივე მოვლენა შენიშნა გ. მარგველაშვილმა. მართალია იგი, როდესაც წერს, რომ საგანს სიმონ ჩიქვანი ხედავს „არა ერთ სიბრტყეში, არამედ მის უკველა განზოგადებაში“... და, რაც მთავარია, „ხედავს მის მიღმაც, მის გარშემოც“).

„წვიმა მიპყრობს თუ წკრიალი
შუშის,

თუ ციო ეშვება ბეწვები ფეხსვის?“

ამგვარი მეტალი შერწყმა ასეთი შო- რეული საგნებისა დღდ გამბედაობას მოითხოვს მწერლისაგან. აქ ქროგვარი რი- სკოთან გვაქვს საქმე... და შეიძლება ვთქვათ: რაც უფრო შორეული საგნებია შოქცეული ერთ სიბრტყეშე, მით უფრო ახალია ფრაზა (ხოლო სიახლე ყოველთ- ვის უშუალობის საწინდარია). ს. ჩიქვანი სრულიად ჩვეულებრივად ამბობს:

„შენი ფეხის ხმა მევნა თქორი...“

იგი ისეთივე უშუალობით ლაპარა- კობს ქახილის ფერზე, როგორც რომე- ლიმე მეოცეხარისხოვანი მწერალი ფო- თლის ფერზე ილაპარაკებდა.

რისთვის ვამახვილებთ ყურადღებას სიმონ ჩიქვანის ლექსების ამ მხარე- ებზე, ანდა რისთვის ვხმარობთ სიტყვა.

„ძნელს“? ჭერ ერთი, ამით ხაზს ვუს-
ვამთ იმას, რომ ს. ჩიქოვანი მეტად თა-
ვისებური და თვითმყოფი ხელოვანია და
ამას გაგება თუ გარკვევა ესაჭიროება და,
შეორეც, განსაზღვრება „ძნელი“ ან
„რთული“ მიგვითოთებს იმაზე, რომ ს.
ჩიქოვანი თავისი ნატურით თანამედრო-
ვი ოსტატია; ამას ისიც უნდა დაემატოს,
რომ დღეს, როდესაც ლექსის „წერა“
ერთი შეხედვით მეტისმეტად გაიოლდა
და ბევრს შეუძლია გარითოს ოთხი
სტრიქონი, საღაც ლექსს მოჩენებითად
შეიძლება არც ჟლდეს რამე, — სწო-
რედ ეს სირთულე პოეტიკისა და შინა-
არსის სიღრმე განასხვავებს სიმონ ჩიქ-
ოვანს სხვადასხვა ფერმერთალ და ულო-
ნო მწერლებისაგან. რა თქმა უნდა, პო-
ეტიკის სირთულესა და შინაარსის სიღრ-
მეს უნდა ახლდეს ყველასათვის მისაწვ-
ლომი აზროვნების მანერა, მაღალი იღე-
ურობა. ეს კარგად ესმის სიმონ ჩიქო-
ვანს. უამისოდ იგი ვერ იქნებოდა სიმონ
ჩიქოვანი:

„ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.

აბა შეაღვით ერთმანეთს მთები,
მთები შემკული სხივების სირმით,
აშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.

გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმულდა ხევით.
წყალი მეუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით.

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
უძი ძლეული გაფრენილ ცხენით
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთად აღბეჭდილი ქართველის
აწმენით.

შეხეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს
და გამოჩენდება სამშობლი ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.
ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.“

* * *

წვიმა ს. ჩიქოვანის სტიქია. არც ერთ
პოეტს ბუნების რამე მოელენა არ და-
უსახავს შთაგონების ასეთ მნიშვნელო-
ვან მომენტად.

წვიმაში, მართლაც, არის რაღაც იდუ-
მალი, რაღაც განკუნებულად ლამაზი და
ღრმა. ყველა ადამიანმა იცის, რომ წვიმა
საოცრად ცვლის განწყობილებას, ხასი-
ათს, ფერებს. ორი დიდი ხნის ნაცნო-
ბი აღამანის სულიერი ურთიერთობაც
კი სულ სხვანაირ ელფერს იღებს წვიმი-
ან ამინდში. ს. ჩიქოვანის საუკეთესო
ლირიკულ ლექსებში წვიმის წვეთების
ხმაური ისმის.

დაწყებული 1925 წლიდან, როცა ოც-
დარი წლის პოეტი წერდა:

„წაველით შორს, ხეებიდან

მოშორებული,

ტრიალ მინდორზე ორი ტანი
ისრისებური.

მთით ქარიშხალი ივდრის სიმგბს
მოაშრიალებს,

თითქო უანგია წვეთთა ხმებით
შესრულებული:

მოვგისწრო წვიმამ...“

და შემდეგ:

„წვიმის თმებიდან გავიგონებთ
ნესტიან ტრიროლს

და თბილი ტანი ველარ იტანს
დაშვებულ წვიმას“

(ამავე ლექსშია კლისიკური შედარება
წვიმისა ანკესებთან, რომელიც საოცრად
ჰგავს კულისევიჩის ნახატებს — პორ-
ტებს, წვიმიან კონკრეტასა და შიშველ
ანქებიან ბარეასებს), დღემდე ს. ჩიქო-
ვანი შვიდად მიაბიჯებს თქორში და ფი-

ქრობს თავის მშვენიერ ფიქრებს, რო-
მელთაც ჩვენც კარგად ვიცნობთ ლექსე-
ბით — „საუბარი წვიმაში“, „ეგ საუბარი
შევწყვიტოთ წუთით“ და სხვ.

„ჯერ წვიმის გამო ვერაფერს გეტევი,
თუმცა თბილისში მოვარდა თქეში,
თუთა ცვივა თუ იპნევა ფეტვი,
წვიმით მევსება გაწვდილი პეშვი.
წვეთი წყდება თუ იპნევა ფეტვი,
თუ ფრთის შრიალი მოუნდა

არწივს?

მე პირველ ქუჩილს სიყრმიდან
ვეტრფი,
აწვიმს კრწანისს და მთაწმინდას
აწვიმს.

სმენა და ფიქრი მივაპყროთ
წვეთებს,
გაშლილი ქოლგით ჭაღრებთან
შევდგეთ,
წვიმა ეხვევა იმედის სვეტებს
და მთაწმინდისკენ მიფრინავს
შემდეგ.

წვიმა მისყრობს თუ წურიალი შუშის,
თუ ცით ეშვება ბეწვები ფესეის?
შენი თვალები მინთია გულში,
წვიმაში შენი, ძახილი მესმის.

წვიმა წავა და გაქრება ნესტი,
ზვალ ცისარტყელა შეგვხედება ორი,
წვიმის ლოლინში მრავალგზის
შევცდი,

შენი ფეხის ხმა მეგონა თქორი.
მე შეშინია მთის გაღმა სეტყეის,
სადაც ვაზებზე მტევნები ბრწყინავს.
შენ ჩემზე უკეთ ვერავინ გეტყვის,
როგორ მოჰყვება ტრფიალი

წვიმას“...

(„საუბარი წვიმაში“).

მრავალ ლექსში პოეტი წვიმას განუ-
წებულადაც იყენებს, სახის ან განწყო-
ბილების შესაქმნელად:

„...ჩამავალი მზე ტატრებში
დათრთის,
ლრუბელი თითქო თეთრი ბეწვია,
შენი მყუდრო ხმა სიმღერისათვის
მთაში ვით წვიმა წამომეჭია“.

„შენს თმას ატალის კეჭილს
ვადარებ
და შინ თქორებით მოვეჩარებდა“
(„ბარათი ტატრიდან“)

„არ ცივდება დედის ხმა და სისხლი,
ქართლის ნისლით სახე დაებანა,
მწვერვალივით უხდებოდა ნისლი,
მისა თმები წვიმას დაემგვანა“
(„ქართველი დედა“)

მოუხედავად იმ მშვენიერებისა, რომე-
ლიც წვიმას, როგორც ბუნების მოვლე-
ნას, თავისთავად ახასიათებს, მაინც არის
მაში რაღაც შინაგანი მელანქოლია, მუ-
შე მორუხო ფერები და დაღლილი, და-
ღლილი ერთფეროვანი სევდა. სიმონ
ჩიქოვანი აქაც ახერხებს სინათლის კო-
ნებას მიშუქებას და ნამდვილი ფერწე-
რული ოსტატობით აბნევს მიმწუხე-
ბაში მხიარულ ტონებს:

„თქორში წითელი ვარდები
ჰყვავის“...

* * *

ამ შეიძლება ს. ჩიქოვანზე ლაპარაკო-
ბდე და რამდენჯერმე არ მოგიხდეს მხა-
ტვრიბასთან, კერძოდ, ფერწერისთან
პარალელების ძიება.

ის, რომ ს. ჩიქოვანი მეტაფორულად
აზროვნებს და ლექსის სურათოვნება მი-
სი ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, უკვე
აღიარებული კეშმარიტებაა. იყო ცდები
სიმონ ჩიქოვანის პოეტური სახეების პი-
რდაპირ ფერწერულ სფეროში გადატა-
ნისა და მის შუქზე განხილვისა, მაგრამ
ერთი მომენტი ყოველთვის ავიწყდებო-
დათ კრიტიკოსებს...

პოეზია სახეებით აზროვნებაა (ეს კლა-
სიკური განმარტება თითქმის კველა კრი-
ტიკულ წერილში გვხდება; ვერც აქ
ავუარეთ გვერდის...), მაგრამ გააჩნია რო-
გორი სახეებით! თუ თანამეტროვე მწე-
რალი, რაც არ უნდა პროგრესული იდე-
ების მატარებელი იყოს იგი, აზროვნებს
მოძველებული და ღრმომჭმული სახე-
ებით, ისიც ხმა იცავს სახეებით აზროვ-
ნების პრინციპს, მაგრამ საბოლოო გამში
რას კლებულობთ?

ამიტომ, როცა დგება საკითხი პოეტის
ნათესაობაზე ფერწერასთან, აუცილე-
ბელია აღინიშნოს, თუ რამდენად ახალია,
რამდენად თანამედროვეა მისი მიღომა,
მისი მიმართება „ხილულ მშენებასთან“.

„სამეგრელოს საღამოებში“ დოინჯშე-
მოყრილი ქალი შედარებულია დოქთან.
თავი დავანებოთ იმის ძიებას, თუ რო-
გორი სახეა ეს პოეზიის თვალსაზრისით
და მოვაქციოთ ფერწერის სფეროში. სა-
ით წაგვიყანს საგნების ასეთი დანახვა?
ჩემი აზრით, ასეთი დამოკიდებულება
სამყაროსთან, ასეთ ხაზებში მისი აღქმა
და, საერთოდ, ამგვარი პერსპექტივა ნიგ-
ორის ხილვისა პირდაპირ მიღის უახლესი
სახვითი ხელოვნების მიჯნასთან.

პაბლი პიკასოს (რომელსაც, როგორც
ამბობენ, ძალიან უყვარს პოეზია) აქვს
ერთი საკამად ცნობილი ტილო „პოლ
პიკასო სახედროზე“ (1923 წ.). არ ვაცი,
იცნობდა თუ არა ამ სურათს ს. ჩიქოვა-
ნი, როდესაც წერდა:

„...და შენ უშგულში, როგორც
ვარსკევლავი,
თეთრი სახედრით მწუხრზე
ჩახვევი.“

ის გარენული სხვაობა, რომ ერთ
შემთხვევაში ბიჭუნა ზის სახედარზე, ხო-
ლო მეორეში ქალი, ძალიან ცოტას ნიშ-
ნავს. მთავარია, რომ ეს ორი სახე-
სურათი პრინციპში, სილამაზის თავისე-
ბურ დანახვასა და აღქმაში ერთმანეთს
ჰგავს.

გარდა იმისა, რომ ჩვენ საქმე ვვაქმნს
უაღრესად საინტერესო პოეზიასთან,
არის კიდევ ერთი გარემოებაც, რის გა-
მოც ლირს ასეთი პარალელების მონახ-
ვა, — ეს ცოცხალი მაგალითია იმისა,
თუ როგორი უნდა იყოს დღეს მწერლის
გზა, რომ არც ეროვნულ ნიადაგს მოწ-
ყდეს და არც თავისი ეპოქის მოწინავე
მხატვრულ აზროვნებას ჩამორჩეს.

უველასათვის ცხადია, რომ ტრადიციულ
გაგრძელება მის განმეორებაში კი არ
მდგომარეობს, არამედ ამაღლებაში, ახა-

ლი და ახალი პორიზონტების აღმოჩენა.
ში. იყო ტრადიციული — ეს ნიშნავს
იყო უაღრესად მოწინავე, რადგან ჩვენ
მიზნებსა და იდეებს ვლებულობა ტრადი-
ციულით და არა მზამზარებლ ლიტერა-
ტურულ-მხატვრულ ფორმებსა და ფაქ-
ტურას.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ს. ჩიქო-
ვანისა ესეც კარგად იცის. ლექსში „გუ-
რამიშვილის და ვაჟას ფერი“ პირდაპირ
მიგვითითებს, თუ რა ლრმა ფესვებით
არის იგი დაკავშირებული ჩვენი დიდი
ლიტერატურის ტრადიციებთან, თავის-
ლირსეულ წინამორბედებთან:

გურამიშვილის და ვაჟას ლარი,
სიმართლის მთქმელი, მე ვარ მესამე-
მათთან ყანები მეონდა ზიარი
და მძიმე უღლით ბევრჯერ ვეწამე..

* * *

თავისი ხასიათით ეპოსი, ცხადია, არა-
თუ იტანს თხრობას, არამედ მისი პირ-
დაპირი ამოცანა სწორედ პოეტური
თხრობაა, მაგრამ მეოცე საუკუნეში, რო-
დესაც პროზის ენა ისე დაიხეწა, რომ
პოეზიის ენისაგან დიდად არ განსხვავ-
დება, როდესაც პროზის ფორმა და გამო-
სახვის საშუალებანი ესოდენ გაიზარდა,
დიდი ლირიკოსები საერთოდ ერიდებიან
ეპოსს, მისი ძველი ტრადიციული გავე-
ბით.

ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენაა,
რადგან თუ რამე ზღვარი კიდევ დარ-
ჩა პროზასა და პოეზიას შორის, ეს იმით
უნდა გამოიხატებოდეს, რომ პროზში
ვერ ითქვას პოეზიაში სათქმელი, ხოლო
პოეზია უნდა მოიქცეს რაინდულად და
ის, რაც პროზაშიც აღვილად (და შეიძ-
ლება გაცილებით უკეთესადაც) გაკეთ-
დება, პროზასე მიანებოს.

მართალია, ცნობილი არ არის, ს. ჩი-
ქოვანის თვალსაზრისი ამ საკითხზე, მა-
გრამ თავისი პოემით, თავისი მხატვრუ-
ლი პრეტრიცით იგი მთლიანად ამ მისაზ-
რების მხარეზე დგას.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ ტრ-

პიური მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იშვერებოდეს პოემა ღლეს (რომ ხალ-ჯმა ბოლომდე წაიკითხოს).

ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თით-ქოს ყველა ს. ჩიქვანივით უნდა წერ-დეს, — ყველა უნდა ეცაღოს, რომ თავი დააღწიოს მომაბეზრებელ რითმიან თხრობას, ე. ი. მოკლედ რომ ვთქვათ, პოემის, ეპიკური ნაწარმოების კომპო-ზიცია, არქიტექტორისა მცენობად უნდა განსხვავდებოდეს მოთხრობის, რომანის აგებულებისაგან... სხვა პრინციპი, ვფიქ-რობთ, ღლეს მიუღებელია.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ ლე-ქსების ციკლია, თემატიკურად გაერთი-ანებული. პოემის ყოველი თავი ცალ-კეული ლირიკული ლექსია და ძავე დროს ეს ლექსები ისეა შეკრული, ისე კანონზომიერად ვითარდება თხრობის ელემენტი და სიუჟეტი, რომ საბოლოოდ იგი ამბის მოცულობით არაფრით ჩამო-უვარდება კლასიკურ პოემას.

ა) ნაწარმოებზე ბევრი ღამერილა, ამიტომ არ მინდა სიტყვა გამიგრძელდეს, მაგრამ ერთი მაინც აუცილებლად უნდა ალინიშნოს. პოემის ცალკეულ ლექსებში სიმონ ჩიქვანმა ისეთ შემოქმედებითს სიმაღლეებს მიაღწია, რაც რუსთველის, ილასა და ვაჟას შემღევ იშვიათი იყო გადაკურ ჭანრში.

„გამოთხოვება და ომში წასვლა“ არამცთუ უძლიერესი ადგილია პოემისა, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია ს. ჩიქვანის მთელ შემოქმედებაში:

„...მეამება სამაია,
ივერიის ღვთისმშობელის ბაია.
შენი თვალი ღია სამარეა,
შენი კაბა ჭრელი ჭიამაია.“

სხვა საუკეთესო თვისებებთან ერთად, ამ ლექსში სიმონ ჩიქვანმა გამოამუ-ლოვნა მუსიკის უაღრესად დახვეწილი გრძნობა. რიტმი ამ ლექსისა საცურად კეთილხმოვანი და უჩვეულოა.

„მეორე მინაწერში“ არის ასეთი სტროფი:

„ხმების ოსტატი არა ვარ, ვიცი,
ხმა მიწყდება თუ მშვიის ყური,
მე მხოლოდ ხილულ მშვენებით

და ბალს მიაგავს პატარა პული“ გვ. გვ. გვ. გვ.

ის, რომ ს. ჩიქვანი „ხილულ მშვენე-ბით იწვის“ — დაგვინილი ჭეშმარიტე-ბაა, რადგან ეს მხარე მისი პოვზისა ისე მკაფიოდ არის წინწამოწეული პო-ეტის შემოქმედებაში და ისე ადვილად დასანახავია, რომ კრიტიკოსს ამის დასა-მტკიცებლად ბევრი კვლევა-ძიება, არ და-სჭირდება: აიღებ ს. ჩიქვანის ნებისმი-ერ ლექსს და დარწმუნდები, რომ იგი მართლაც „ხილულ მშვენებით იწვის“. კრიტიკოსები გაბედულად დაეთხხნენ პოეტს ამ საკითხში. ასევე ერთხმადვე იმეორებენ ისინი, რომ სიმონ ჩიქვანი არ არის „ხმების ოსტატი“, რომ მუსიკა-ლური სახეები უცხოა მისთვის.

მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვერც პოეტს, ვერც კრიტიკოსებს.

რომ არაფერი ვთქვათ ს. ჩიქვანის მთელ რიგ ლირიკულ ლექსებზე, რომ-ჰქებითაც პოეტმა არაერთი უაღრესად ნათელი და დახვეწილი მუსიკალური სა-ხე შექმნა, საკმარისია მოვიშველიოთ „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და დე-ბულება, რომ ს. ჩიქვანი „ხმების ოს-ტატი“ არ არის, უკუგდებულ იქნება. „გამოთხოვება და ომში წასვლა“, „შე-მღერება“, „მოსკოვში შესვლა“, „ლო-დინი ვსესვიარსკოვში“ და ბევრი სხვა თითქმის სრულიად ახალი სიტყვაა ქარ-თული ლექსის მუსიკალური სრულყო-ფის საქმეში:

„კვირა დილით ცას სწვლებოდა
თლილი

მრავალი გუმბათის სინათლე:
ჩინურ კედელს გაღმოეგდო ჩრდილი
და ჩრდილში ცხოვრება ინატრე.
თვალებს გჭრილა უთვალავი ჯვარი,
ჩუქურთმით მორჭმული კარები,
გუგუნებდა ხანდაზმული ზარი
და ზარებს უხმობდნენ ზარები.“

თოვლი იწვა თუ სპერაცი ხავსი?
გეგონა დასრულდა წრიალი.
მარხილები ბუდეების მსგავსი,
მიპქროლნენ ეკვენების წერიალი...
(„მოსკოვში შესვლა“)

მიუხედავად იმისა, რომ „სიმღერა და-
ვით გურამიშვილზე“ ცალკეული ლირი-
კული ლექსებისგან აგებული პოემაა,
რაც, ერთი შეხედვით, უარყოფითად უნ-
და მოქმედებდეს მის მთლიანობაზე, იგი
მაინც ინაჩინებს საგრძნობ მონუმენ-
ტურობას. ამ უკანასკნელის საიღუმლო-
ება არ არის ძნელად ასახსნელი: მონუმე-
ნტურობას ქმნის თვით დავითის დრამა-
ტული სახე, მისი სულიერი სიდიადე და
სისტემა, რომელიც ასეთი დიდი სი-
მართლითა და მღელვარებით გამოძერწა
სიმონ ჩიქოვანმა. ხომ მონუმენტური იქ-
ნებოდა დავით გურამიშვილის ქანდაკე-
ბა მხატვრის მიერ ს. ჩიქოვანის გულ-
მოდგინებითა და გემოვნებით შესრუ-
ლდებული...

შემთხვევითი არ არის, რომ პირველ
რიგში პოემის გარეგნულ თვისებებზე
შეგაჩერეთ ჩვენი ყურადღება. თუ პო-
ემის ფორმა, მხატვრული გამოსახვის სა-
შუალებანი ახალი და ორიგინალურია,
აგვალელვებს და დაგაფაქრებს, არ შე-
იძლება მისი შინაარსიც იმავე სიმაღლე-
ზე არ იდგეს.

პოემის მინიშვნელობა მისმა ეპოქალუ-
რმა ჩეხონანსმაც განაჩლვრა. მართა-
ლია, „სიმღერის“ გმირი დავით გურა-
მიშვილია, ისიც მართალია, რომ იგი შე-
სანიშნავად დახატა ს. ჩიქოვანმა, მაგრამ
პოემა ასეთ აღიარებას ვერ მოიპოვებდა,
რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ დავი-
თის პიროვნების გაშუქებით ამოწურ-
ლიყო.

დავით გურამიშვილი საბაბი გახდა
ს, ჩიქოვანის მოგზაურობისა საქართვე-
ლოს ისტორიის ერთ-ერთ უძნელეს და
უაღრესად ტრაგიკულ ეპოქაში. დ. გუ-
რამიშვილი ერთ-ერთი მსხვერპლია იმ
ეროვნული ტრაგედიისა, რომელსაც თვი-
თონვე მოუნახა მეტისმეტად ლაკონიუ-

რი და ზუსტი სათაური — „ქართლის
ჭირი“.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ —
წინაპაროთ სევდის გაზიარება, და რაც
მთავარია, ეროვნული ისტორიული სახე-
დასხვა ეპოქების გამთლიანების ცდა,
რაც ეროვნული შეგნების მთავარი პა-
რობაა თავისთვავად.

და, მეორეც, პოემა დაიწერა 1942 წელს,
დოიდი სამამულო ომის დროს და მისი
მებრძოლი პათოსი, მისი ჩრდენა, ადამი-
ანური ოპტიმიზმი არანაკლებ მნიშვნე-
ლობას ანიჭებდა უშუალოდ იმ დროი-
სთვის, — ისტორიაში ქართლის ჭირი
კერძოდ ქართლის ჭირია და მეტი არა-
ფერი, ხოლო პოეზიას „ქართლის ჭირი“
შეუძლია აიყვანოს ეპოქის, კაცობრიონ-
ბის განსაცდელის ასპექტში.

დაბოლოს, „სიმღერა დავით გურამი-
შვილზე“ — ეს არის ეპოქათა მიმართე-
ბა. თუ პოემის დასაწყისში თვითონ ს.
ჩიქოვანი გადადის საუკუნეთა მიღმა, პო-
ემის დასასრულს უკვე გურამიშვილის
აჩრდილს უხმობს ჩვენს სინამდვილეში
და ხდება ერთგვარა შედარება ქართლის
ჭირისა და დღევნდელი ბედნიერი სა-
ქართველოსი.

* * *

ს. ჩიქოვანი მშევიდი, ჩაფიქრებული
პოეტია. ასეთ პოეტებს კრიტიკოსები ინ-
ტელექტუალურს უწოდებენ. მაგრამ მის
შემოქმედებაში არის მომენტები, რო-
დესაც ჩვეულ წონასწორობას კარგავს
და მოვლენებს ისეთ მძაფრ სახეებში წა-
რმოგვიდგენს, ისეთ უჩვეულო გაქანე-
ბაში, რომ ხშირად მკითხველიც იძულე-
ბულია მასთან ერთად ამოვარდეს კალა-
პოტიდან:

„მცხეთის ღამე გახლართულა

სუროში,
ქვას ატყვია ძველი დროის ჭვარტლი-
სერაფიტი წევს გარანდულ კუბოში,
მისი თმებით მორთულია ქართლი“.

„მისი თმებით მორთულია ქართლი“...
უჩვეულოა თითქოს, მაგრამ უზარმაზარი
პოეტური სახეა. ისეთი სახეა, რომ ვერც

ილუვი, ვერც დასაბუთებ, თუ რატომ
მოგწონს, სიტყვები ზედმეტია, შეიძლე-
ბა მრავალსიტყვაობით გააფურო კიდეც-
იქნება, ერთადერთი დასაბუთება ამ
სტრიქონისა თვითონ ლექსია თავისი
მთლიანობით, თავისი მეტისმეტად
წრფელი და ამაღლებული პათოსით
(„ფიქრი სერაფიტზე“ ციკლიდან „არმა-
ზის აჩრდილები“).

კიდევ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძ-
ლება ამავე ლექსის მიხედვით, რომე-
ლიც გვიჩვენებს ს. ჩიქოვანის კადევ
ერთ მეტად დამახასიათებელ თვისებას,
უაღრესად საინტერესოსა და ინდივი-
დუალურს. როდესაც სიმონ ჩიქოვანი
ისტორიას ეხება, როდესაც ისტორიულ
პიროვნებაზე წერს, ერთ სიბრტყეზე
ათავსებს წარსულსა და დღევანდელობას.
ისპობა დროის ზღვარი და ხდება უშუ-
ალო შეხება და სწორედ ამ მომენტში
აღწევს ლექსი თავის პოეტური სიმძაფ-
რის კულმინაციას. ამისათვის ან თვითონ
პოეტი გადადის წარსულში, ანდა, პი-
რიქით, წარსულის აჩრდილებს ათანა-
დროულებს (ეს უკანასკნელი სიტყვა პი-
რობითია). ცხადია, ეს ყველაფერი ყო-
ველგვარი ანაქრონიზმისა და დისონან-
სის გარეშე ხდება, წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში ნამდვილ პოეზიასთან არ გვექნებო-
და საქმე (არ შეიძლება აქ არ ვახსენოთ
ზოგიერთი თანამედროვე ევროპელი მო-
დერნისტი). ცნობილია, რომ მათი პოე-
მების პერსონაჟები ერთდროულად ის-
ტორიული პირები და ჩვენი საუკუნის
„ოდისეას“ გმირი ტელემაქე და ლონ-
დონის რომელიმე ციარე კონტორის
ქლერკი ან ბირჟის მაკლერი... აქ, რა
თქმა უნდა, პოეზიაც და ისტორიაც
თვითმიზანია).

თუ როგორ ოსტატურად, როგორ და-
მაგრებლად აქეთებს ს. ჩიქოვანი დრო-
თა შერწყმას, ეროვნული ისტორიის ერ-
თიან ნაკადად პოეტურ გაღმოცემას, სა-
ქმარისია გავიხსენოთ თუნდაც მისი „სე-

რაფიტის გამოხმობა“ ციკლიდან „არმა-
ზის აჩრდილები“.

„ქარიშხალმა დაგვიმსხვრია დატბაზი,
ფრთამომტყდარი დაგვერაროდ არმაზი.
არმაზი.

იმ დროიდან მტკვრის ნაპირზე
გელოდი,
დავიღალე, მოიგვალვა ველობი.
ახლა შეგხვდი, მოშრიალდი
კალმდი,
კვლავ მიმღერე, რასაც ძველად
გალობდი.
უხსოვარ დროს რომ ვგალობდით
მე და შენ,
ორ მდინარედ შემოსულნი
მცხეთაში.

დამიჯერე, მეწვის სულის სანათი,
მოგიტანე ხილით ხავსე კალათი“.

* * *

პოეზია აღამიანური, მეტისმეტად აღა-
მიანური მოვლენაა. ამიტომ იგი სხვა არა
არის რა, თუ არა სიყვარული, ან სიძუ-
ლვილი, — უფრო კი სიყვარული, ისევე,
როგორც ცხოვრებაში.

სიმონ ჩიქოვანის პოეზია — სიყვა-
რულის პოეზიაა. პოეტის მიერ სიყვა-
რულისადმი, საყვარელი ქალსა და უახ-
ლოესი მეგობრებისადმი მიძღვნილი
ლექსები გაერთიანებულია ციკლ-
ში — „თანდაყოლილი გრძნობები“. ეს
სათაური მრავლისმეტყველია. პოეტი-
სათვის სიყვარული ისევე ბუნებრივია,
ისევე თანდაყოლილია, როგორც გრძნო-
ბა ხედვისა და გრძნობა სმენისა და, შე-
იძლება ითქვას, რომ ს. ჩიქოვანის არა-
ერთი რომელიმე ციკლი, არამედ მთელი
შემოქმედება შეგვიძლია გავერთიანოთ
სათაურით — თანდაყოლილი გრძნობე-
ბი, რაღაც მთელი მისი პოეზია უდიდე-
სი სიყვარულის გრძნობით არის გაუ-
დენთილი.

ს. ჩიქოვანს აქვს შამულის გულწრფე-
ლი, აღამიანური სიყვარულით გამთბარი
ბევრი ლექსი. მაგრამ პოეტს უშუალოდ

სამშობლოზე რომც არ დაეწერა რაიმე, მაინც გარევეული იქნებოდა მისი თვალ-საჭრისა: ს. ჩიქოვანის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია დიღი განცდით, დიღი ერთგულებით, პასუხისმგებლობით სალხისადმი, მამულისადმი:

ნანგრევის სურო, გრემის თეთრი გუმბათი, თუ ზღვაში გასული გემის მაღალი ანძები, — ყველაფერი, რაც მშობლიურია, რაც სამშობლოს ნაწილია, — ს. ჩიქოვანის ზრუნვისა და სიყვარულის საგანი ხდება. სამშობლოს თვით უმცირესი ტბაც კი ზოგჯერ პოეტის საუკეთესო ლექსების შექმნის მიზეზი ხდება:

„ცისკარმა შვა მთებში რიწა, თუ შენ ცალ თვალს გაელვიძა. მთის უბეში ჩაჭედილა, ეგებ ცრემლი ჩარჩა ცირას, ბინდში ტბა წევს, როგორც დილა და შენ გნატრობ ამ ტბის პირას“. („რიწას ტბაზე თქმული“).

ს. ჩიქოვანს უყვარს და მისი სიყვარული განუყოფელია. ალბათ, ამიტომ არის, რომ ლექსებში, სადაც სამშობლოს სიყვარულზეა საუბარი, ყოველთვის ტრიალებს ლანდი საყვარელი ქალისა,

როგორც მამულის მცირე, მაგრამ განუყოფელი ნაწილი, და სიყვარელი ქალი-საღმი მიმართულ ლექსებში ფონი ყოველთვის მამულია, სამშობლო, როგორც მიზეზი მათი ერთიანობის, მათი სიყვარულის. ერთ-ერთ აღრინდელ ლექსში ს. ჩიქოვანი წერდა:

„შეწე ვიფიქრო თუ

სამშობლოზე...“

ეს სიჭაბუკეშია ნათქვამი, შემდგომ მისი სიყვარული, მისი ფიქრი დაიხვეწა, დაიწმინდა და ჰარმონიულ მთლიანობად იქცა — სამშობლო და შენ... შენ და სამშობლო... სიყვარულის განაწილება ან შეიძლება, სიყვარული ერთია, მთლიანია...“

ესეც ს. ჩიქოვანის პოეზიის ერთი თვისებათაგანია.

ამით პოეტი კიდევ ერთხელ უსვამს ხახს ადამიანისა და მიწის, იმ მიწის, რომელზეც ადამიანი გაჩენილა, გაზრდილა, — ერთიანობასა და განუყოფლობას:

„შენი ყელი ვარ, შენი საყვირი და შენი უესვიც მალე ვიქნები...“

გულწრფელად უთხრა ს. ჩიქოვანმა თბილისის მიწას, საქართველოს.



ვაცო გოგოლაძე

იღია ჭურჭელის ეპიური „ეცნაური კახავი“

ამ წერილის მიზანია მყითხველს გა-
ახსონოს ილია ჭავჭავაძის ერთი დაუმ-
თავტებელი ეტიუდი „უცნაური ამბავი“,
რომელშიც იგი ეხება ბავშვის აღზრდას,
მასწავლებლისა და სკოლის დანიშნულე-
ბის საკითხებს.

ცნობილია, რომ ილია სკოლისაგან მო-
ითხოვდა ბავშვის წრთვნას და მეცნიერე-
ბათა საფუძვლების შესწავლას. „წუროვ-
ნა სხვაა და სწავლა სხვა, — წერს
ილია. — წუროვნა მიმართულია ზნე-
ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და
სწავლა-კი—გონების გახსნასა და მსჯელო-
ბის გაძლიერებაზე. საკმაო არ არის, რომ
კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიე-
ღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანა-
ვე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-
კაცობის შემძლებელობაც ჰქონდეს. ეს
კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებელო-
ბა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძღვევა აღა-
ვიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია
და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო
ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნე-
ბელია“ (თხზ., ტ. IV, გვ. 293, 1955 წ.).
აქ ილია, როგორც ვხედავთ, უპირატე-
სობას ანიჭებს ბავშვის წრთვნას, გასში
„ზნე-ხასიათის“ შემუშავებას, „კაი-კა-
ცად“ აღზრდას.

ეტიუდი „უცნაური ამბავი“ ილიამ და-
წერა 1893 წელს. მისი მთავარი გმირი
სოლომანი ერთი ულარიბესი სოფლის
მღვდლის შეილია, რომელსაც თავისი
ბეგითობით ჯერ სემინარიაში გამოუჩე-
ნია თავი და შემდეგ უნივერსიტეტში. მა-
რთალია, უნივერსიტეტში მხოლოდ ორ
წელიწადს სწავლობდა, მაგრამ მუყაითო-
ბითა და წიგნების სიყვარულით საკმაო
ცოდნა მიიღო. სოლომანმა ორ ისურვა
ქალაქში დარჩენა, სადაც მას შეეძლო
უკეთ მოეწყო საკუთარი ცხოვრება, და
მამა-პაპის მიწურს დაუბრუნდა. სავული-
სხმოა, რომ მამა-პაპურ ქოხში მკვიდრ-
თაგნ არავინ დარჩენია—არც უშობლები,
არც და-ძმა, მაგრამ მაინც იქ ერჩივნა
ცხოვრება, სადაც დარწეულა მისი აკვანი.

სოლომანი მუშაობას იწყებს სოფლის
მწერლად და თვიურად იღებს თუმანს.
ცხოვრობს ლარიბად, მაგრამ ბელის კმა-
ყოფილია, ჩაკირკიტებს წიგნებს, ეწაფე-
ბა ცოდნას. იმავე სოფლის მკვიდრი და-
ვითი გაოცებულია სოლომანის საქციე-
ლით, უკვირს, რად იკადრა ამ განათლე-
ბულმა კაცმა სოფლის მწერლობა, რისი
გაკეთებაც უბრალო დიაკვანსაც კი შე-
ეძლო. ამიტომ იგი ურჩევს სოლომანს ალ-
საზრდელად აიყვანოს ბავშვი. სოლომანი

მას უპასუხებს: „აი, ნეტავი, შენის დღეგრძელობით, ეგ შემეძლოს და უკეთესს საქმეს მე ვერ ვიჩინდი. უნდა გითხრა, ჩემო დავით, ჩემი სიზმარი ცხოვრებისა, დიალ, სწორედ სიზმარი, მარტო ეს საქმეა. ბევრსა ვცდილობ წიგნით, ხილვით, თუ სმენით, რომ წრთვნა ყრმისა ვისწავლო, შევიგნო და მაგ, ჩემის ფიქრით, უუდიდეს საქმეს ისე მოვყიდო ხელი, ისე ვემსახურო. მაგ საქმის სიყვარული სემინარიიდანმევ დამყვა და დღეს-აქამძლე ჩემს ჭეუა-გონებას მაგ საქმეს ვანდომებ. ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია. რასაც ერთი მიკმადლებს ბაქშს, მეორემ უნდა წრთვნას და პზარდოს. მე თუ ამ მიწურს დავანებებდი ოდესმე თავს, მარტო მაგ საქმისათვის. დიდი გაბედვა კი უნდა, რომ ეგ საქმე კაცმა თავს იდოს“ (თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 476).

ეს ილიას პედაგოგიური კრედოა. ყრმის წრთვნას იგი უკეთილშობილეს საქმედ თვლის, მაგრამ განა ყველას შეუძლია ეს დიდი საქმე? არა. ილია გმობს ზოგიერთი ადამიანის გამბედაობას ხელი მოკიდოს მასწავლებლობას, ბავშვის წრთვნას, როცა საამისო ცოდნა და მონაცემები არ გააჩნია. სოლომანიც კი, ეს ნიჭიერი, განათლებული და ცხოვრების გამგები ადამიანი, თანაც მასწავლებლობის მეოცნებე, ვერ ბედავს იყისროს ყრმის აღზრდა. სოლომანმა იცის, რომ „თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და ამან შენ“, ეს კი სოფლის სკოლაში, სადაც ბევრი ბავშვი სწავლობს, შეუძლებლად მიაჩნია.

ბოლოს, დავითმა დაიყოლია სოლომანი აღზარდოს, ცოდნა, კაცობა მისცეს ამირინდო დებედაძის ერთადერთ ბავშვს პატივოს, რის გასამრჩელოდაც თვიურად მიიღებდა ორ თუმანს, ბინას და ჭამა-სმითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა.

როგორც ეტიუდიდან ჩანს, დავითი კეთილშობილი ადამიანია, რომელსაც ენანება უსწავლელი მშობლების ამარად

დარჩენილი ბავშვი. რატომ? მოვუსმინოთ თვითონ დავითს.

„ჩემს სიცოცხლეში ბალლი ბევრი მანახავ და მაგისთანა კი ჭერ არა მაგრა ხელში ცოცხალი, მალხაზი ბიჭია, და თუმცა ხუთი-ექვსის წლისაა, მაგრამ უეცრად რაღაც მოუვლის ხოლმე, ჩაფიქრდება, თითქო რთული აზრი რამ გამოვივანდა და იმისი გამოხსნა უნდაო. მაშინ სახეზე აშეარად დაეტყობა ხოლმე, რომ მისი პატარა ტკინი და გული იძვრის და მუშაობს... მის დედ-მამას, რომელთაც გაგრებით უყვართ შეილი, არ ესმით ეს სულის ძვრა პატარა ადამიანისა“ (იქვე, გვ. 479).

დავითი უყვება სოლომანს ერთ შეტაც საინტერესო ეპიზოდს. სადილზე მშობლებს ხაშლამა შემოუტანიათ. „დედაში იღო — და ერთი ნაჭერი დაუდო შეიღლოთ თევზე. ბავში ჭერ წასწვდა ნაჭერს, მაგრამ, თითქო რაღაცამ დაუშეალაორ ხელი პატარში გაუჩერდა.

— დედა, — ჰეითხა პატარამ, — ხორცი საიდამ არის?

— როგორ თუ საიდამ? ძროხას დაპკვლენ და იქიდამ.

— მერე ცოდო არ არის?

— არ ვუყოთ, რომ ცოდოა, — უთხრა დედამ.

სოლომანს როგორდაც ეჩებლიტა ამისთანა პასუხი დედისა, შეპკრთა და ისე უეცრად გაინძრა, თითქო ეტკინა რამეო. დავითმა ეს ვერ შენიშნა და განაცრდო:

— არ მინდა!. — სთქვა ბავშვა და თევზი თავის კერძით იქით გადასდგა“.

რამდენი არ ეხევწენნ მშობლები, რამდენი არ ემუდარენნ — ეჭამა ხორცი, პატარკო მაინც უარზე იდგა და ხორცს ხელი არ ახლო. კიდევ მეტიც, „მთელი სადილი აღარც ხმა ამოუღია, აღარც პირი მუკარებია რისთვისმე...“

დავითი დიდად გააკვირვა პატიკოს საქციელმა, მაგრამ ეს სრულებით არ ვაკვირვებია ბავშვის ბუნების კარგად მცოდნე სოლომანს. „...ბავშის ბუნება საიღუმლოთა საიდუმლოა, — ამბობს სოლომანი. — ბავში იგივ ადამიანია და მით

უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაქით ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქვის, და არა სხვილ და სრულ ასოვ- ბით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიყვირდეს, რომ რასაც დიდ მდი- ნარეში გპოლობთ, იმას მის პატარა სა- თავეშიც ვხედავთ. ბავში სათავეა, დასაწ- ყისია დიდის ადამიანისა”.

სოლომანს უკვირს, რომ უსწავლელმა შშობლებმა დროზე იფიქრეს შეილის. სწა- ვლა-აღზრდისათვის. მაგრამ ირკვევა, რომ მათ ეს არ უნდოდათ, განსაკუთრებით დედას. მხოლოდ კეთილმა დავითმა, რო- მელმაც გუმანით შეიცნ ბავშის ნიჭი- ერება და ენანებოდა მისი უსწავლელად გარჩენა, დაიყოლია ისინ.

საქმე დავითის სურვილისამებრ გადა- წყდა.

სოლომანი სიხარულით ჰკიდებს ხელს პატარა პატიკოს აღზრდა-წრთვნას. კიდევ მეტი, მას ღრმად სწამს, რომ პატიკო ის ხნულია, რომელიც მზად არის თვესლის მისაღებად, რომ პატიკოსაგან კაცური კაცი დადგება.

საინტერესოა სოლომანისა და ბავშის პირველი შეხვედრა.

დავითმა სოლომანი დილაადრიან მა- იყვანა ამირინდოს ოჯახში. გახარებული შშობლები ტებილად შეეგვენენ მასწავ- ლებელს, თან ბავშის დაუწყეს ძებნა, რომელსაც ბუდიდან ჩამოვარდნილი ბა- რეკი ბუჩქიდნ გამოჰყავდა. სოლომანის რჩევით, ბავშემა ბარტყი დედაჩიტს ჩა- უსვა ბუდეში. ამ შემთხვევამ მეგობრო- ბის ხიდი გასდო სოლომანსა და პატიკოს შორის. ამით კმაყოფილმა სოლომანმა თავის უბის წიგნში ჩასწერა: „დღეს 15 მაისს 18... წლისას, ჩემი პირველი გაკ- ვეთილი იყო. ღმერთო შენით!.. ბავში ძალიან მომეწონა. ძნელი დასაწყისი სწავლა-წრთვნისა ერთ დღეს მომიხერხ- და: მე და ბავში დავმევობრდით. ბეჭ- ვის ხიდი გავიარე...“

სამწუხაროდ, ეტიუდი იქ წყდება. ვერ ვიტყვით, რომ მოთხრობა არ გაეგრძე- ლებინოს ილიას. იქნებ, გაარჩელა კი-

დევაც, მაგრამ დაიკარგა. ერთი კი აშგა- რაა — ეს ეტიუდი სავსებით ეხმაურება და ემთხვევა იმ შეხედულებებს, პომლე- ბიც ილიამ თავისი წერილების ცილში „პედაგოგის საფუძვლები“ განაცითარა.

როგორც ცნობილია, ილიამ ამ სტატი- ებში მიმოიხილა გამოჩენილ პედაგოგთა და მოაზროვნეთა დებულებები სკოლის, მასწავლებლის, გარემოს შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ: 1. იყო მასწავ- ლებელი, ყრმათა მწრთვნელი ნიშნავს იმას, რომ თვით იყო მომზადებული, ნას- წავლი, ნაკითხი, ცხოვრებაში ღრმად ჩა- ხედული; 2. პედაგოგი შეიძლება იყოს ის, ვისაც შეუძლია მთელი არსებით შე- იყვაროს აღსაზრდელი, თავის მხრივ თა- ვი შეავგაროს აღსაზრდელსაც („მეგობ- რობის ხადი“ გადოს); 3. სკოლა ბავშ- ვებს უნდა აძლევდეს არა მარტო მეცნი- ერულ ცოდნას, არამედ კიდევაც წრთვნი- დეს, ზრდიდეს ნამდვილ ადამიანს. საუკე- თესო ადამიანური თვისებებით, ისეთი თვისებებით, როცა კაცი სამართლიანია, შემბრალეა, ქველმოქმედია, სიკეთის მთე- სველია; 4. არა მარტო მასწავლებელი და სკოლა ზრდის ბავშვს, არამედ გარემოც. „იმ წრეს, საცა ბავში პირველ ხანიდამვე პტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისჭედ. ბავშის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამი- ტომაც წრე, საცა ბავში და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე“ (თხზ., ტ. IV, 1955 წ., გვ. 292).

„სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, — ამბობს ილია, — ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის, წრთვნას... გაუძვევს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავ- ლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბო- ლო-მოუბმელი წადილია სკოლისა“ (იქვე, გვ. 297).

ილიას აზრით, ბავშვს არავითარ შემთ- ხვევაში არ უნდა მივცეთ იმაზე მეტი მა-

შალა შესასწავლად, რასაც ვერ მოერე-
ვა. თავისი დებულების დასამტკიცებლად
მას მოაქვთ ვრცელი ამონაწერები იმ გა-
მოჩენილ პედაგოგთა თხზულებებიდან,
რომლებიც წინააღმდევები არაან სკოლას-
ტრიისა, როცა ბავშვებს აზეპირებინებენ
გრამატიკას, არითმეტიკას, გეოგრაფიას,
ისტორიას და სხვა საგნებს ისე, რომ
მოსწავლეებმა არც კი იციან რისთვის
სწავლობენ, სად და როდის შეიძლება
დასჭირდეს მათ ეს ცოდნა, ხოლო „კაცთ-
მოყვარეობა და სამართლიანობა“ მათ-
თვის მიუწვდომელი რჩება.


„კაცურის კაცობის თავი-და-თავი ღირ-
სება, — დაასკვნიდა ილი ჭავჭავძე, —
ეს ორი გრძნობაა. თუ სამართლიანი ხარ
და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ,
სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და
უმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქ-
მალ ყოფნის ნებას გრძნობა სამართლია-
ნობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში,
საცა აფლის წურვით უნდა ჰყიდულობ-
დეს თვითონეული თავის კერძს ცხოვრები-
სას, და კეთილის-მომქმედიც იქნები, რა-
დგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს
გრძნობა კაცთმოყვარეობისა... და სკო-
ლაშ სწორედ ამისთანა შვილი უნდა გა-
უზარდოს ქვეყანას, ამისათვის გაუხსნას
გონება, ამისათვის გაულოს გული“ (იქვე,
გვ. 299).

ერთი სიტყვით, ილია ჰუმანიზმის პრი-
ნციპებს იზიარებს. აკრ. ასე ლაღად ილა-
პარაკებს იგი სოლომანს, როცა გაიგო
პატიკოს „შემცოდებელი“ გულის შესა-
ხებ. ადამიანი, მისი აზრით, უნდა შექმა-

როდეს ცხოვრებას, ამასთან უნდა აფასე-
ბლნენ, პატიკოს სცემლნენ ადამიანის ღირ-
სებას. ილია აღტაცებულია რტალიელი
ჰუმანისტის პიკო-დელა-მირანდოლას
მსჯელობით, მისი დებულებებით. „ამ პი-
კოს სიტყვით, — წერს ილია, — აი რას
უბრძანებს ღმერთი პირველს კაცს აღამ-
სა: „მე შენთვის, ადამი, არავითარი სა-
მუღამო ბინა და სადგური არ მომიცია,
არავითარი სამუღამო და უცვალებელი
საქმე არ ამიჩნია. ეს იმისთვის, რომ სა-
ცა შენ გამოს, იქ იცხოვრო, რაც გინდო-
დეს, ის საქმე აიჩინო. მე შენ არც სა-
სიკვდილოდ გამიჩნიხიხარ, არც უკვდავად
დამინიშვნიხარ. ეს იმისთვის, რომ შენ
თითონ იყო შენის თავის მკეთებელი და
ისეთი სახე მიიღო, როგორიც შენ თითონა
გსურს: შენ შეგიძლიან პირუტყვამდინაც
ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზამღინაც ზე
ახვიდე“ (იქვე, გვ. 302).

რასაკვირეველია, ეს მაშინ, ანტაგონის-
ტურ კლასებად დანაწილებულ საზოგა-
დოებაში შეუძლებელი იყო, მაგრამ ღლეს
კი ნამდვილად შეუძლია ადამიანს იყოს
თავისი თავის მკეთებელი და ისეთი სა-
ხე მიიღოს, როგორიც მას სურს.

სტატიათა მთელი მაცილის („პედაგო-
გიის საფუძვლები“) შესწავლა იმ დასკვ-
ნამდე მიგვიყვანს, რომ ილიას უცდია
ჰუბლიცისტურ წერილებში გამოცემუ-
ლი დებულება მხატვრულად ეჩვენებინა.
ამიტომ ადვილი წარმოსადევნია, თუ რო-
გორ წარმართავდა და დამთავრებდა იგი
ეტიულს „უცნაური ამბავი“.



ესთეტიკურის არსის შესახებ

ამ უკანასკნელად დიდი ყურადღება დაეთმო ესთეტიკურის არსის კვლევას.

იმართება ღისებუსიები, წარმოებს პოლე-
მიკა პრესაში. ეს ასეც უნდა იყოს. რომ
არაფერზე ედავათ, მეცნიერები ვერც ვე-
რაფერზე შეთანხმდებოდნენ. მაგრამ თა-
ვისთავად ცხადია, დავა-პოლემიკა უნდა
წარმოებდეს და მოწინააღმდეგეთა შე-
თანხმება მოხდეს პრინციპულ საფუძ-
ველზე, მარტინისტულ-ლენინური მეთო-
დის გამოყენების საფუძველზე.

ჩვენ ამ თვალსაზრისით დაგვაინტერე-
სა კრებულმა „ლიტერატურის თეორიი-
სა და ესთეტიკის საკითხები“, რომელიც
ახლახან გამოაქვეყნა საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლო-
ბაში. ივი მოაზარა ამავე აკადემიის ჩუს-
თაველის სახელობის ქართული ლიტე-
რატურის ინსტიტუტის ლიტერატურის
თეორიის განკოფილების კოლექტივმა.
კრებულში მოთავსებული შრომები ატა-
რებს არა მარტო ცალკეულ იერორთა
ინდივიდუალურ იერს — მასში ჩანს კო-
ლექტივისათვის დამახასიათებელი მრა-
ვალფეროვნებაც.

წიგნი იწყება პროფ. მამია დუდუჩავას
შრომით „ხელოვნების ესთეტიკური არ-
სის შესახებ“ და ჩვენც მის გარშემო

გვსურს შევაჩეროთ მკითხველის ყურა-
დღება.

ცნობილია, რომ ხელოვნება უდიდეს-
ზემოქმედებას ახდენს აღმიანის სულიერ
სამყაროზე, რასაც განაპირობებს თვით
ხელოვნების სპეციფიკა, მისი ესთეტი-
კური არსი. ამ უკანასკნელთან დაკავში-
რებულია რიგი პრობლემებისა, რომელ-
თაგან პროფ. მ. დუდუჩავა გამოყოფს და-
სპეციალურად განიხილავს სინამდვილი-
სადმი ხელოვნების დამკიდებულების
საკათხს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის
გარშემო დიდი ხნის წინათ დაწყებული
დავა დღესაც გრძელდება. ზოგიერთი ეს-
თეტიკოსი ურთიერთგამომრიცხველი პრი-
ნიციპების შერიგებით ცდილობს საკითხის
გადაწყვეტის, ზოგს კიდევ მხოლოდ სა-
პირისპირ შეხედულებებზე გადაქვეს-
აქცენტი, ხოლო ზოგიერთი ისეთ ბეჭ-
ვის ხიდს აგებს, რომ თუ მასზე გადი,
მხოლოდ შემმეცნებლის თვისებებით შე-
იზოდდები; თუ კი არა — ვულგარული
მატერიალიზმის ტკივეობაში აღმოჩნდები.

პროფ. მ. დუდუჩავა შემოქმედებით
ესთეტიკურს, როგორც ხელოვნების
თვითმყოფ, სპეციფიკურ მოვლენას, გა-

ნინილავს სინამდვილის მშვენიერებასთან შისა დამოკიდებულების გარშემო არ-სებული კონცეფციების დამაჯერებელი ანალიზის ფონზე. იგი ცხადყოფს, რომ ცნობილი თეორიებისა და დებულებე-შის ცალმხრივი კომენტირება ტრადიცი-ასთან კავშირის ცველაზე ცუდი ფორმაა. მხედველობაში გვაქვს მშვენიერების ჩე-რინიშევსკისეული განსაზღვრების „უსა-კულო თანამეზომილების“ ნიმუშად მი-ჩნევა და უკრიტიკო კონცეფციად გამო-ცხადება. ჩვენი აზრით, პროფ. მ. ღულუ-ჩიგა სწორად იქცევა, რაცა მშვენიერე-ბის ჩერინიშევსკისეული გაების მარქს-ისტულ-ლენინური ანალიზისას ეყრდ-ნობა ღიძი რუსი ფილოსოფოსის არა მარტო ცალკეულ გამონათქვემებს, არა-მედ მთელ მის თეორიას, ამ თეორიის ში-ნაგინ ერთიანობას.

რომ მიჩქმალოს ჩერინიშევსკის მსოფლ-მხედველობის შეზღუდულობა, რაც ეს-თეტიკურის არსის გაებაში გამოვლინდა, ზოგიერთი ესთეტიკოსი აცხადებს, თით-ქოს მისი ესთეტიკური თეორია არ და-იყვანება გამონათქვამაძლე „მშვენიერება არის ცხოვრება“, ზოგის აზრით კი დე-შულება „მშვენიერება არის ცხოვრება“ ხელოვნებას არ ეხება, იგი თითქოს ეხება იმას, რაც მშვენიერია თავისი არსით. მა-გრაც პროფ. მ. ღულუჩავსთან ერთად მი-გვაჩნია, რომ ეს, არის ჩერინიშევსკის დი-დი შემკვიდრეობის შესწავლისა და გა-მოყენების მიუღებელი პოზიცია, მისი ესთეტიკური თეორიისათვის რაღაც გა-რეანი საყრდენის მოძებნის ცდა. იმ რას წერს ჩერინიშევსკი მშვენიერების არ-სის შესახებ: „მე ვლაპარაკობ იმაზე, რაც მშვენიერია თავისი არსით და არა მარტო იმიტომ, რომ მშვენიერად არის გა-მოხატული ხელოვნების მიერ, ვლაპარა-კობ მშვენიერ საგნებზე და მოვლენებ-ზე“ (საჩუქრები წიგნი, გვ. 7). პროფ. მ. ღულუჩავს მიაქვს აგრეთვე სხვა არ-გუმენტები, რომლებიც ცხადყოფნა, რომ ჩერინიშევსკის მიხედვით ნამდვილი მშვენიერება სინამდვილის საკუთრებაა,

ხოლო ხელოვნება უფრო დაბალ ფორმა-ში მდეორებს იმას, რაც სინამდვილეშია მოცემული.

საგულისხმოა, რომ სინამდვილისად და ხელოვნების ურთიერთობის ჩერინიშევ-სკისეულ გაებას ცენიალმდევებოდნენ წარსულის გამოჩენილი მოღვაწეები. ასე, მაგალითად, ბელინსკი წერდა: „ხელოვ-ნებაში სინამდვილე უფრო ჰგავს სინა-მდვილეს, ვიდრე სინამდვილეში—და გა-მოგონებაზე დამყარებული ნაწარმოები ყოველ ნამდვილ ამბავზე მაღალია“ (იქ-ვე, გვ. 28). ასეთსავე თვალსაზრისს ივი-თარებს ილია ჭავჭავაძეც. მისი სიტყვით, „არყოფილისა ყოფილად“ ქმნა მარტო შემოქმედს შეუძლია. მოაქვს რა ბევრი სხვა არგუმენტიც, პროფ. მ. ღულუჩა-ვა დაასკვნის; რომ მშვენიერების ჩერ-ინიშევსკისეული გაება არა მარტო ვერ ცხადყოფს მშვენიერების სპეციფიკურ არსს, არამედ ობიექტურად კალევაც გა-მორიცხავს მის. მაშასადამე, შეუძლებე-ლია პირდაპირ გამოვიყენოთ როგორც საერთოდ მშვენიერების, ისე კერძოდ სი-ნამდვილესთან ხელოვნების ესთეტიკური დამკიდებულების ჩერინიშევსკისეული გაება.

მ. ღულუჩავა დადებითად აფასებს ამ საკითხში ჩერინიშევსკის ერთ-ერთი მიმ-დევრის ვ. ვანსლოვის სიფრთხილეს, რაც მიგარული იყო ნატურალიზმის წი-ნააღმდეგ; მაგრამ ვანსლოვი მონც არ დგას სწორ პოზიციაზე. მართლაც, იგი (ვანსლოვი) არ უარყოფს ხელოვნების ესთეტიკური არსის მნიშვნელობას, ე. ი. აქ ზუსტად არ მიკვება ჩერინიშევსკის, მაგრამ იმ კვლევა-ძეებასთან დაკავშირე-ბით, რომ ხელოვნება მახნის მოვლენებ-საც ასახავს, წინააღმდევობაში ვარდება და ერთსა და იმავე მოვლენაში ორი კა-ნონზომიერების აღიარებამდე მიღის. პროფ. მ. ღულუჩავა გულისტკოვილია; წერს, რომ ხელოვნების ესთეტიკური არ-სის ობიექტივისტურ-ნატურალისტურმა გაგებაშ თავი იჩინა ავტორთა ძლიერი კოლექტივის ისეთ შემაჯამებელ ნაშრომ-

ში, როგორიცაა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლები“.

სარეცენზიონ ნაშრომის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ესთეტიკური დამკიდებულება სინამდვილესთან ხელოვნებაში ვლინდება მხოლოდ მხატვრული ასახვის ასპექტში და, მაშასადამე, იგი ხელოვნების საგანი კი არ არის, არამედ განსახოვნების პროცესის სპეციფიკურ მხარეს განეკუთვნება და ხელოვანის ესთეტიკურ იდეალს გამოხატავს.

ჩვენი აზრით, მ. დუდუჩავა სწორად არავავს სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობას და მათ შორის დიალექტიკურ კავშირს ამყარებს. მისი მტკიცებით, სინამდვილის მშვენიერება ობიექტურად არ არსებობს, მაგრამ მთელი თავისი არსებით ობიექტური მოვლენაა. საგნისა თუ მოვლენის მშვენიერად ან მათინგად მიჩნევა უკველთვის თვით საგნის, მოვლენის თვისების შეფასებას გულისხმობს

გარკვეული ესთეტიკური იდეალის თვალსაზრისით. ნამდვილი მხატვრული ქმნალება არა მარტო ობიექტურია, არამედ ობიექტურადაც არსებობს. ხელოვნების მიერ იდეალურობა ესთეტიკური განსჯის ბუნებაში კი არ პოულობს ახსნას, არამედ თვით ხელოვნების ესთეტიკურ არსში. მაშასადამე, ის სპეციფიკური საფუძველი, რომლის გამო ხელოვნება გარკვეული ობიექტური საზღვრებით ხასიათდება და საყოველთაოა, თვით ხელოვნებაშია მოცემული. ეს არის ხელოვნების სპეციფიკური ანუ იგივე ესთეტიკური არსი, რომელსაც ხელოვნება ქმნის „სილამაზის კანონების მიხედვით“.

ამრიგად, პროფ. მ. დუდუჩავას სარწმუნო ღასკვნით, ხელოვნების ესთეტიკური არსი არის თვითმყოფი, სინამდვილის ესთეტიკური ოირსებიდან სრულიად დამოუკიდებელი მოვლენა. სინამდვილის მშვენიერება ხელოვნებაში აისახება როგორც საგნებისა და მოვლენების ერთ-ერთი მხარე და არა როგორც შემოქმედებითი ესთეტიკურის საფუძველი.

დ. კილაძე,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



କ୍ଷେତ୍ରମନ୍ତ୍ରୀରୀଳିଙ୍ଗ ଦାସାଧ୍ୟତାଙ୍କ 6/II 1964 ଫ୍ରେଶ୍ ସାମଗ୍ରୀଙ୍କ ଥିଲ୍ 5 ଟାକା ୪୦.
ଶ୍ରୀମତୀ ନଂ 372, ଫୋନ୍ 00611, ପ୍ରାଚୀଲିଙ୍କ କୋମା 60X92. ବ୍ୟାପାରି 2.600.

* * *

ସାମ୍ବନ୍ଧିତ କ୍ଷେତ୍ରମନ୍ତ୍ରୀରୀଳିଙ୍ଗ ସାମଗ୍ରୀଙ୍କ ମହାରାଜାଙ୍କରୀଙ୍କ ପରିପାଳନକାରୀ
ପାଠ୍ୟକାରୀଙ୍କ ପାଠ୍ୟକାରୀଙ୍କ ପାଠ୍ୟକାରୀଙ୍କ ପାଠ୍ୟକାରୀଙ୍କ
(ଲୋକ୍ସେମଦ୍ଦୁରଗୀଳ, 22)

6 33/56



ვალი 40 ვაკ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литературули Аджара“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118